



# საქართველოს ბიბლიოთეკა



**ბიბლიოთეკა  
კანდემიისას**



# ბათუმის საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკები



ბათუმის პირველი საბიბლიოთეკო კურსეები. 1929







საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: [sakartvelosbiblioteka@gmail.com](mailto:sakartvelosbiblioteka@gmail.com)

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

- მთავარი რედაქტორი: **მაია მიქაბერიძე**
- საკატიო რედაქტორი: **ალექსანდრე ლორია**
- სარედაქციო კოლეგია: **გულნარა სტურუა  
რუსუდან ასათიანი  
დალი მაჩაიძე  
გიორგი ჩუბინიძე  
მირიან ხოსიტაშვილი**
- ტექნიკური რედაქტორი: **ლოლა სანაია**
- დიზაინი: **გიგი გელაშვილი**
- დაკაბადონება: **სოფო ტარყაშვილი**

საქართველოს ბიბლიოთეკა №2(79) – 2020; გამოიცემა 2000 წლიდან.  
© საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ფოტოები აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელიდან“.

**გარეკანზე ფოტო: ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა**

ISSN 1512-0880  
[www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)  
[www.gela.org.ge](http://www.gela.org.ge)



[www.fb.com/magazineLibraryofGeorgia](https://www.facebook.com/magazineLibraryofGeorgia)



## საქართველოს ბიბლიოთეკა

*საქართველოს სიბიბლიოთეკა ასტორიას*  
**რუსუდან ასათიანი**  
მიმართვა მკითხველისადმი

3

*ჟაყინაძე „საქართველოს ბიბლიოთეკის“ სტრატეგიული კვლევის*  
**რედაქტორის წარდგინება**

4

**მაია მიქაბერიძე**  
რედაქტორისაგან

5

*ბიბლიოთეკები საქართველოს უკანმზიკაში განვითარების სწავლების მიზნით*

**მზია ხოსიტაშვილი**  
ბიბლიოთეკა ტურიზმის ეკონომიკისა და მასპინძლობის ინდუსტრიის სამსახურში

6

**შორენა ოსიპოვა**  
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც ტურისტული ობიექტი

8

**ბორის კომახიძე**  
ინდუსტრიული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები დასავლეთ საქართველოში

10

**რუსუდან ასათიანი**  
ბიბლიოტურიზმი - 6 მიზეზი, თუ რატომ უნდა ეწვიოს ტურისტი ბიბლიოთეკას

13

**მანანა სამაშვილი**  
სულხან-საბა ორბელიანის ევროპული ოდისეა

15

*ზენაძე ოქტაია*

**ნინო ხვედელიძე**  
ერსარდ რეკვირი და ბეჭდვითი ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი

19

*ბიბლიოთეკაშეკრება: სიბიბლიოთეკა საქართველოში*

**თინათინ ლომჯარია**  
საბიბლიოთეკო ფონდები: მართვა, აღრიცხვა

23

*საქართველოს ბიბლიოთეკები ჯანდაცვის პოლიტიკაში*

**ნანული ცხვედიანი**  
აქ, ამ სახლში...

27

*საქართველოს ბიბლიოთეკები: იასონის ოქტაია და ილიაშვილი*

**ნატალია ქყონია**  
აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

29



*საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები*

**ლოლა სანაია**  
ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკა და COVID-19

32

*უბიჟეჩა*

**ესმა კუნჭულია**  
ქართული პური - ერის მუხსიერების ადგილი

34

**ნოდარ შოშიტაშვილი**  
„პატარა საქართველო“ კუს ტბის ფერდობზე

37

*ქაჩაყაი უბიჟეჩა*

**მარიამ მარჯანიშვილი**  
ევროპელი ქალის კვალი კერძეული ეპისტოლეებში

41

*ელქები სემინარული საქართველოს ზღისკარი*

**ირმა კეკელიძე**  
ფოტოგრაფია, როგორც წარსულის გასაღები

45

*ჩუკურა, მიმსილია, მთაბრუნველები*

**ალექსანდრე ლორია**  
ისტორიული სიმართლის დასაცავად

48

**ნინო დოფიძე**  
მკითხველის დღიური

50

*სეოგურა*

**დავით გიგინეიშვილი**  
სალამო ციურხის ოპერის თეატრში

51

**ანა გვირიშვილი, თორნიკე რობაქიძე**  
ართ უბანი

53

*ლიხისკარი მასკოთეატრი*

**რომანოზ ფერაძე**  
მღვდელმონაშე გრიგოლ ფერაძის სახლ - მუზეუმი ბაკურციხეში

54

*მღვდლები*

**ლევან თაქთაქიშვილი**  
ლევანდარული ქალბატონი - კლარა რამიშვილი

55

**ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები**  
თინა ჭურაძის ხსოვნას

56

**გორის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები**  
ნაადრევი გამოსათხოვარი - ნანა აბრამიძე

57

*საქართველოს ბიბლიოთეკა ქსეჯი*

**მოვლენები, ფაქტები**

58

**COVID-19-თან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ბიბლიოთეკებისათვის**

61





**საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია**

*ძვირფასე ჰეიბუელო,*



**რუსუდან ასათიანი**

საქართველოს საბიბლიოთეკო  
ასოციაციის პრეზიდენტი

უკანასკნელ წლებში საკმაოდ აქტუალური გახდა შემდეგი საკითხი – თუ როგორ შეუძლიათ ბიბლიოთეკებს საზოგადოებისთვის უკეთესი მომსახურებების მიწოდება ახალი ტიპის სოციალურ გარემოში. ბიბლიოთეკა უკვე დიდი ხანია აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ბეჭდური მედიით მომსახურების ფუნქციით. XXI საუკუნის ბიბლიოთეკა არის ცოდნის გაზიარების მრავალფუნქციური სივრცე, რომელსაც მომხმარებელი არამხოლოდ წიგნის წასაკითხად იყენებს.

ჩვენი ჟურნალის, „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მეორე ნომრის ერთ-ერთი მთავარი თემაა - „ტურიზმი და საქართველოს ბიბლიოთეკები“, რაც ბუნებრივია, ვინაიდან მსოფლიოში შეინიშნება ტენდენცია, რომელიც თანამედროვე გარემოში კულტურული ინსტიტუტებისა და ტურიზმის ღრმა ინტეგრაციის გზით ბიბლიოთეკების მდგრადი განვითარების ახალ მიმართულებას გულისხმობს.

როგორც საზოგადოებრივი კულტურული დაწესებულება, ბიბლიოთეკა შეუცვლელი კულტურული ლანდშაფტია და წარმოადგენს კულტურული და სულიერი მახასიათებლების მიკროსამყაროს. ბიბლიოთეკების ტურიზმის ინდუსტრიასთან ინტეგრაცია გულისხმობს ორივე ინსტიტუციის განვითარების საჭიროებას. ელექტრონული ინფორმაციის ეპოქის დადგომასთან ერთად, ბიბლიოთეკები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კულტურული ტურიზმის განვითარების საკითხში. ბიბლიოთეკას, როგორც მთავარ საინფორმაციო წყაროს შეუძლია აქტიურად გამოიყენოს თავისი უპირატესობები, რაც გულისხმობს საინფორმაციო რესურსების შეგროვებას და მომსახურების ფუნქციების გაფართოებას. ბიბლიოთეკარები ასევე უნდა გაეცნონ კულტურული ტურიზმის განვითარების ტენდენციებს და გააძლიერონ მომსახურება ტურიზმის სფეროში. ამავდროულად, ბიბლიოთეკისა და ტურიზმის ინტეგრაცია ბიბლიოთეკებს საშუალებას მისცემს უფრო მეტი სახელმწიფო და სოციალური ინვესტიციის მოძიების შესაძლებლობას, რაც მათთვის სტაბილური განვითარების მნიშვნელოვანი გარანტიაა.

დღეს საქართველოს ბიბლიოთეკების ძირითადი ნაწილი ვერ ფუნქციონირებს კორონავირუსის მსოფლიო პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა შევაჩეროთ განვითარებაზე ფიქრი. ბიბლიოთეკა თავად არის ერთ-ერთი კულტურული ღირსშესანიშნაობა, რომელიც ტურისტებისთვის საინტერესო შეიძლება იყოს. იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ჩვენ შევძლებთ ჩვეულ რეჟიმში მუშაობას და ჩვენი ბიბლიოთეკებიც ტრადიციულ სერვისებთან ერთად ჩაერთვებიან მსოფლიო ტრენდში, რომელიც გულისხმობს ბიბლიოთეკას, როგორც ტურისტულ ცენტრსა და ტურისტულ ღირსშესანიშნაობას.

**გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს!**





### **წარმოგიდგენთ ჩვენი ჟურნალის ახალ მთავარ რედაქტორს, ქალბატონ მაია მიქაბერიძეს**

ქალბატონ მაიას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან დაიწყო მუშაობა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში.

1999 წელს დაინიშნა საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის საარქივო ფონდის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ეროვნული დისერტაციებისა და ავტორეფერატების, ასევე ქართული წიგნების (1629-1954 წწ) რეტროსპექტული ელექტრონული კატალოგები.

მაია მიქაბერიძე 2007–2009 წლებში ილიას უნივერსიტეტში კითხულობდა სალექციო კურსს „ინფორმაციული წიგნიერება“. 2014 წლიდან დღემდე, როგორც ლექტორი, მონაწილეობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. აქტიური მონაწილეა ეროვნული ბიბლიოთეკისა და, ზოგადად, საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრებისა. აქვეყნებს წიგნთმცოდნეობითი შინაარსის სამეცნიერო სტატიებს, მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში. არის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აღმანახ „მწიგნობარის“ რედაქტორის წევრი. წიგნის სახით გამოიცა მის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიები: ილია ჭავჭავაძე: ბიობიბლიოგრაფია. [წ.] 2: 1907-2007 (თბ., 2007 წ. - თანაშემდგენელი), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემები, 1861-2012: ბიბლიოგრაფია (თბ., 2013 წ.), ბაჩანა ბრეგვაძე. ბიობიბლიოგრაფია (თბ., 2016 წ.), კალისტრატე ცინცაძე - მისი და მასზე: ბიბლიოგრაფია (თბ., 2017 წ.), რაულ ჩილაჩავა: ბიობიბლიოგრაფია (თბ., 2019 წ.), რუსთველოვური ლიტერატურა. VI: ანოტირებული ბიბლიოგრაფია 2001-2005 (თბ., 2019 წ. - თანაშემდგენელი). მაია მიქაბერიძის რედაქტორობით მომზადდა წიგნები: ბიბლიოთეკარი პოეტი. I და II (2015 და 2016 წწ), ბიბლიოთეკარი პროზაიკოსი (2017 წ.).

მ. მიქაბერიძე წლების განმავლობაში თანამშრომლობს ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკასთან“, აქვეყნებს სტატიებს, 2015 წლიდან გახდა ამ ჟურნალის რედაქტორის წევრი.

წარმატებებს ვუსურვებთ ქალბატონ მაიას ამჯერად ჟურნალის მთავარი რედაქტორის პოზიციაზე.

**ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კოლეგია**





# იუპიტერის

უპირველეს ყოვლისა, სარედაქციო კოლეგიის სახელით მინდა გამოვხატო დიდი პატივისცემა ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ერთ-ერთი დამაარსებლისა და 20 წლის განმავლობაში მისი უცვლელი რედაქტორის, ბატონ ალექსანდრე ლორიას მიმართ. ფასდაუდებელია ბატონი ალექსანდრეს მიერ გაწეული შრომა, როგორც საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის, ასევე ქართული საბიბლიოთეკო ჟურნალისტიკის წინსვლისა და განვითარების საქმეში. ჩემთვის დიდი პატივი და, ამავე დროს, საპასუხისმგებლოა მისი დაწყებული საქმის გაგრძელება.

ამ ნომრიდან ბატონი ალექსანდრე ჟურნალის საპატიო რედაქტორია. იგი კვლავაც აგრძელებს ჩვენთან თანამშრომლობას თავისი რჩევებით, შენიშვნებით და, რაც მთავარია, უაღრესად საინტერესო წერილებით.

ახლა კი წარმოგიდგინებ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ წლევიანდელი წლის მე-2 ნომერს, რომელიც აგრძელებს ამ გამოცემის 20-წლიან ისტორიასა და ტრადიციებს. „საქართველოს ბიბლიოთეკა“ არის, უპირველესად, საბიბლიოთეკო-პროფესიული გამოცემა, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. მასში გამოქვეყნებული მასალების ძირითადი თემებია საბიბლიოთეკო საქმე და წიგნთმცოდნეობა. ამავე დროს, მათთან ერთად ქვეყნდება ქართულ ლიტერატურასთან, ქართულ კულტურასთან, საქართველოს ისტორიასთან და, ზოგადად, საქართველოსთან დაკავშირებული წერილები, როგორც ისტორიულ, ასევე დღეისათვის აქტუალური საკითხების ქრილში.

წინამდებარე ნომრის ერთ-ერთ მთავარ თემად შევარჩიეთ „ტურიზმი და საქართველოს ბიბლიოთეკები“. საქართველო ტრადიციულად ტურისტული ქვეყანა იყო. ამას ხელს უწყობდა ქართველი კაცის მენტალიტეტი, რომელიც სტუმარს ღვთის გამოგზავნილად მიიჩნევდა. ბიბლიოთეკას, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, შეუძლია, დადებითი როლი ითამაშოს ტურიზმის განვითარებაში.

ჩვენი ჟურნალი, თავისი პროფილიდან გამო-

მდინარე, ყოველთვის აქვეყნებდა საბიბლიოთეკო პროფესიული ხასიათის მასალებს. არც ეს ნომერია გამონაკლისი. ყველას გვესმის, რომ ბიბლიოთეკა წიგნების საწყობი არ არის. მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია წიგნების აღრიცხვა-დახარისხება და სხვა უამრავი სპეციფიკური სამუშაოს ჩატარება, რომლებსაც ცოდნა სჭირდება. ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ ამ ნომრით იწყებს საბიბლიოთეკო საქმისწარმოებისათვის საჭირო მეთოდური წერილების სერიის ბეჭდვას, რომელიც გამოადგებათ როგორც გამოცდილ, ასევე ახალბედა ბიბლიოთეკარებს.

ჩვენი მკითხველებისთვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ახალი რუბრიკა - „ფოტოებით შემონახული საქართველოს ისტორია“. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ოჯახებში, ადგილობრივ მუზეუმებსა და არქივებში შემონახულია ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ფოტოები, რომელთა ავტორების შესახებაც არაფერი ვიცით ან მწირი ინფორმაცია გავაჩინა მხოლოდ. ეს ადამიანები ფოტოებს უღებდნენ თანამოქალაქეებს, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს, ადგილობრივ ხედებს და თავისთვის შეუმჩნევლად (ან, იქნებ გამიზნულადაც) ქმნიდნენ თავიანთი ქალაქების ფოტომატიანეს. გვინდა, გთხოვოთ, მოგიწოდოთ - მოიძიეთ თქვენი კუთხის ძველი (XIX-XX სს) ფოტოები, ასევე ინფორმაცია ფოტოგრაფთა შესახებ. ამით თქვენ წვლილს შეიტანთ საქართველოს ისტორიის შეუსწავლელი საკითხების კვლევაში. თქვენ მიერ ამ თემაზე მოპოვებულ მასალებს, წერილებს ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ პერიოდულად გამოაქვეყნებს თავის ფურცლებზე. ერთად შევქმნათ საქართველოს ისტორიის ფოტომატიანე!

მაია მიქაბერიძე



**ბიბლიოთეკები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამსახურში: ჭურიზმი**



**მზია ხოსიტაშვილი**  
სოციალური მეცნიერებების დოქტორი

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების დონე და კეთილდღეობა ეკონომიკის ზრდის დინამიკით განისაზღვრება. ტურიზმი ძალიან ბევრი, სწრაფად განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის კატალიზატორად იქცა. ეკონომიკის ამ მიმართულების განვითარება იწვევს სავალუტო შემოსავლებისა და დასაქმების ზრდას, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ასპარეზზე გატანას და მათი შენარჩუნების ფინანსურ უზრუნველყოფას. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ტურიზმი ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებს შორის.

ტურიზმი მე-19 საუკუნეში წარმოიშვა, იმ დროს, როდესაც საზოგადოებამ განვითარების გარკვეულ დონეს მიაღწია. ახალი შთაბეჭდილებები, დასვენება, გადაადგილება ტურიზმთან ასოცირდება. Tour - ფრანგული სიტყვაა და სამოგზაურო მარშრუტს, გასეირნებას, გადაადგილებას ნიშნავს. დღეს უკვე ძნელად წარმოსადგენია თანამედროვე ადამიანის ცხოვრება აქტიური ან პასიური დასვენების, გართობის, მუზეუმებისა და საგამოფენო სივრცეების სტუმრობის, სხვადასხვა ქვეყნების ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობების მონახულების გარეშე. ტურიზმი სხვადასხვა კულტურათა გაცნობის საუკეთესო საშუალებაა და ხშირად ადამიანებს უცხოელთა მიმართ სტერეოტიპებად ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების შეცვლაშიც ეხმარება.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბოლოდროინდელი კვლევის თანახმად, ქვეყანაში ტურიზმის სფერო სწრაფი ტემპით

## ბიბლიოთეკა ტურიზმის ეკონომიკისა და მასპინძლობის ინდუსტრიის სამსახურში

ვითარდება. ტურიზმის სექტორის ზრდის მიხედვით, საქართველო ერთ-ერთი მონინავე ქვეყანაა და ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის მაჩვენებელმა მსოფლიო ტურიზმის ზრდის მაჩვენებელსაც კი გაუსწრო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთავრობა და სამხარეო ადმინისტრაციები ადგილობრივი მოსახლეობისთვის მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მითითებების გათვალისწინებით, მიმართულებების მიხედვით ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ტურისტულ ინდუსტრიაში მონაწილეობისა და ახალი ტურისტული პროდუქტის შეთავაზებისთვის, ოჯახური სასტუმროების გაფართოებისა და მონადირის ქოხების მოწყობისთვის. გათვალისწინებულია აღნიშნული ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული „სიღარიბის დაძლევის მექანიზმების“ დანერგვა ტურისტულ ბიზნესში. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ბევრი ოჯახური სასტუმრო გაიხსნა და ტურისტულ პროდუქტსაც ადგილობრივი გიდი თუ მასპინძელი გვთავაზობს.

ტურიზმი ეკონომიკის განვითარებაში შეტანილი წვლილის გარდა გავლენას ახდენს ადამიანის ფასეულობათა სისტემაზე, შემოქმედებით პოტენციალზეც. დარგის განვითარებას მრავალ კულტურულ ორგანიზაციასთან ერთად ხელი უნდა შეუწყონ ბიბლიოთეკებმა. ბეჭდური თუ ელექტრონული სახით არსებული საინფორმაციო რესურსები ბიბლიოთეკებს ტურისტული დარგის ერთ-ერთ აქტიურ რგოლად გადააქცევენ.

**ქვეყნის საინტერესოდ წარმოჩენისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გიდეების და მასპინძლების განათლების დონეს, საქართველოს კულტურისა და ისტორიის ცოდნას, ფართო თვალსაწიერს. მუნიციპალურ ბიბლიოთეკებს ინფორმაციისა და ლიტერატურის შეთავაზებით თვალსაჩინო დახმარების განწევა შეუძლიათ გიდეების, გამყოლებისა და ტურიზმის ინდუსტრიით დაკავებული ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის.**





ბიბლიოთეკებში მხარეთმცოდნეობითი მუშაობის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივ ტურ-ოპერატორებს, საინტერესო გახადონ ტურისტული მომსახურება. მხარეთმცოდნეობა ხომ მშობლიური მხარის, ისტორიისა და კულტურის სიღრმისეულად გაცნობის, ბუნების თავისებურებების შესწავლის საშუალებას იძლევა. IFLA-ს „სახელმძღვანელო მითითებებში საჯარო ბიბლიოთეკებში მომსახურების განვითარების შესახებ“ მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ მხარეთმცოდნეობითი მასალები აუცილებელია მხარის ისტორიის მასალების აქტიური შეკრების, შენახვისა და პოპულარიზაციისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული მეთოდურ მითითებაში „მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ორგანიზაცია საჯარო ბიბლიოთეკებში“ წარმოდგენილი მასალები ბიბლიოთეკარების გარდა გიდებსა და საოჯახო ტურიზმში დასაქმებულებისთვისაც იყოს ცნობილი.

ბოლო წლებში შიდა ტურიზმზე მოთხოვნა უფრო გაიზარდა, რასაც 2020 წელს კოვიდ-19 ვირუსის გავრცელებამ და სხვა ქვეყნებში მოგზაურობის აკრძალვამაც შეუწყობ ხელი. საგანმანათლებლო თვალსაზრისით ქვეყნისთვის ტურიზმის ეს სახეობა მეტად მნიშვნელოვანია. ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებზე მეტ-ნაკლებად განათლებულ ადამიანს აქვს გარკვეული ინფორმაცია. ექსკურსია, მოგზაურობა დასამახსოვრებელი ხდება, თუ გიდი კონკრეტული კუთხის შესახებ ნაკლებად ცნობილი, მაგრამ დადასტურებულ ინფორმაციებს ფლობს.

ყველას გვქონია ქვეყნის შიდა ტურებში მონაწილეობის გამოცდილება. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც საოჯახო ტურისტულ ბიზნესშია ჩართული, უმეტესწილად გადაუმოწმებელ ინფორმაციებსა და ხალხში არსებული გადმოცემების მიხედვით უყვება ტურისტს ამა თუ იმ ტრადიციაზე, ძეგლზე, მაშინ, როდესაც საქართველოს თითქმის ყველა სოფელს აქვს ბიბლიოთეკა და ინტერნეტთან წვდომა. სტატისტიკის მიხედვით, სვანეთში 75 მოქმედი ბიბლიოთეკაა; იმერეთში - 184; გურიაში - 54; კახეთში -105; სამეგრელოში - 123 და ა.შ.

**ზიდებისა და საოჯახო ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულებს შეუძლიათ ისარგებლონ სოფლად ბიბლიოთეკებში არსებული ფონდებით და გამოიყენონ საქმიანობაში: შეისწავლონ ის ლეგენდები და თქმულებები, რომლებიც კონკრეტულ ადგილს სხვა კუთხით წარმოაჩენს, ამბები ისტორიული თუ ლიტერატურული გმირების შესახებ, გამოიკვლიონ ადგილობრივი მოსახლეობის გამორჩეული ტრადიციები, რიტუალები და ა.შ.**

განსხვავებული მიზნობრივი ჯგუფები სხვადასხვაგვარ მიდგომას მოითხოვენ ტურისტულ პროდუქტზე, ძეგლსა თუ ტრადიციაზე. ეროვნულ სპორტულ ღონისძიებასა და წეს-ჩვეულებაზე კი ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი და შესაბამისი ინტერესების გათვალისწინებით მიწოდებული. ყველაფერი კი უნდა ემსახურობდეს ვიზიტორის კმაყოფილებას და აღძრავდეს მეორედ დაბრუნების სურვილს.

თანამედროვე ბიბლიოთეკების საქმიანობა ქვეყნის განვითარების მიმართულებისა და დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმი, ექსკურსიები სკოლის მოსწავლეებისთვის ბიბლიოთეკის არქიტექტურისა და ისტორიის შესახებ, ღვინის დარბაზი, ფოლკლორის დარბაზი, ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმი, ქართული ემიგრაციის მუზეუმი და შეთავაზებული მომსახურებები მოწმობს ორგანიზაციის ხელმძღვანელების პროგრესულ მიდგომებსა და ბიბლიოთეკის, როგორც კულტურისა და განათლების, თავისუფალი დროის გატარების ადგილის მნიშვნელობის წარმოჩენას.

ამ თვალსაზრისით ბიბლიოთეკარებს უჩნდებათ პერსპექტივა რუტინული საქმიანობა სხვა, საინტერესო კუთხით წარმოაჩინონ.

**შესაძლებელია ბიბლიოთეკის იმიჯის - როგორც ტურისტული დარგის აქტიური წარმომადგენლის ფორმირება. ამგვარი საქმიანობა ბიბლიოთეკებს არა მხოლოდ ტურისტულ ბიზნესთან თანამშრომლობის შესაძლებლობას უხსნის, არამედ მხარეთმცოდნეობით საქმიანობას მნიშვნელოვანს და აუცილებელს ხდის, განსაზღვრავს ახალი საბიბლიოთეკო მომსახურების პერსპექტივებს.**

არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების ფარგლებში შესაძლებელია დაინტერესებულთათვის მოგზაურთა კლუბების შექმნა, ახალი, ნაკლებად ცნობილი და საინტერესო ტურისტული მარშრუტების შედგენა, კონფერენციების ჩატარება სხვადასხვა კუთხეების შესახებ. ამ მხრივ მისასალმებელია ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის საქმიანობა, რომელიც ბოლო წლებშია საერთაშორისო კონფერენციებს უძღვნის საქართველოს სხვადასხვა კუთხეების კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური, ლიტერატურული თუ სხვა საკითხების გაცნობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, მუნიციპალურ ბიბლიოთეკებს დიდი დახმარების განევა შეუძლიათ ტურიზმით დაინტერესებული ან საოჯახო სასტუმროების ბიზნესში დასაქმებული ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, მკითხველებისა და გიდებისთვის ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნასა და მიმზიდველად წარმოჩენაში.



**შორენა ოსიპოვა**

ბიბლიოთეკა ჩვენი კულტურული მესხიერებაა. მდიდარი კულტურული ისტორიის მქონე ყველა ერს აქვს ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც აგროვებს მშობლიურ ენაზე დაბეჭდილ გამოცემებს და ასრულებს ეროვნული ბიბლიოგრაფიული ცენტრის ფუნქციას. ეროვნული ბიბლიოთეკა ასახავს ერის ისტორიას. მაგალითად, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში თავმოყრილია სამხრეთ კავკასიაში დაბეჭდილი გამოცემები, რადგან თბილისი მეცხრამეტე საუკუნეში კავკასიის ცენტრალურ ქალაქად ითვლებოდა და კულტურული ცხოვრება ჩვენს ქალაქში ვითარდებოდა. სწორედ თბილისში დაარსდა პირველი სტამბა, გამოიცა პირველი გაზეთი, შეიქმნა ბიბლიოთეკა და ა.შ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა კულტურული ტურიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ობიექტია. მისი ისტორია თითქმის 200 წელს ითვლის. 1846 წელს დაარსებულმა საჯარო ბიბლიოთეკამ განვითარების გრძელი გზა გაიარა ეროვნულ ბიბლიოთეკამდე. ბიბლიოთეკამ მრავალი ბინა გამოიცვალა - განთავსებული იყო მეფისნაცვლის სასახლეში, ალექსანდრეს ბაღში სპეციალურად მისთვის აგებულ შენობაში, კავკასიის მუზეუმში, სობოროშიც (ტფილისის სამხედრო ტაძარი) კი, ვიდრე დღეს ყველასთვის ცნობილ შენობებში განთავსდებოდა.

ბოლო დროს მსოფლიოში შეიმჩნევა ახალი ტენდენციები - ბიბლიოთეკა აღარ არის მხოლოდ ის ადგილი, სადაც სტუდენტებს, მკვლევარებს და უბრალოდ კითხვის მოყვარულებს შეუძლიათ მუშაობა, არამედ ერთგვარი კულტურული ცენტრია, სადაც ტარდება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, ეწყობა საგამოფენო სივრცეები, იქმნება საგანმანათლებლო ცენტრები და მუზეუმები. ამგვარ პრაქტიკას მსოფლიოს წამყვან ბიბლიოთეკებში ვხედავთ. საბედნიეროდ, საქა-

## საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც ტურისტული ობიექტი

რთველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას აქვს შესაძლებლობა, ქართულ საზოგადოებას შესთავაზოს ამგვარი სივრცე, რაც, ჩვენი აზრით, კითხვის პოპულარიზაციას და, შესაბამისად, განათლებისა და კულტურის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

ბიბლიოთეკების შენობები საინტერესოა ტურისტული თვალსაზრისითაც. გუდიაშვილის ქუჩაზე, ოდესღაც ქალაქის ფინანსურ ცენტრში მდგომი ეს ნაგებობები მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისში გავრცელებული მოდერნის და ნეოკლასიციკლური სტილით არის ნაშენი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსი სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობაშია განთავსებული. ანატოლი კალგინის მიერ ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებზე დაყრდნობით დაპროექტებული ეს შენობა მკვეთრად გამოირჩევა თავისი განსხვავებული იერსახით. დეკორის დამუშავება ეკუთვნის ჰენრიხ ჰრინევსკის, ფასადების ჩუქურთმები - ოსტატ აგლაძეებს. მეორე კორპუსში განთავსებული იყო ვოლგა-კამის საზოგადოების ბანკი. ნეოკლასიციკლური სტილის ეს ნაგებობა გაფორმებულია ანტიკური სიუჟეტებით, აქვე გვხვდება მეოცე საუკუნის დასაწყისში პოპულარულ ინდუსტრიალიზაციის ამსახველი ბარელიეფები. მოდერნის სტილში შესრულებული მესამე, ადმინისტრაციული კორპუსი, რომელშიც ადრე სახელმწიფო ბანკი ფუნქციონირებდა, ოდნავ სახეცვლილი სახით შემოგვრჩა - მოდერნისტული მორთულობის ნაწილი საბჭოთა პერიოდში განადგურდა (მაგალითად, მოიხსნა შენობის თავზე მდგომი არწივი). მოდერნისტული მიმართულება შიდა ინტერიერის წამყვან ფორმებსა და ვიტრაჟულ გადახურვაში ვლინდება.

**საზოგადოების დაინტერესებამ განაპირობა ბიბლიოთეკაში შიდა ექსკურსიების მოწყობა. განსაკუთრებით პოპულარულია ტურიზმის ეს მიმართულება სკოლის ასაკის ბავშვებში, რომლებიც ხშირად რეგიონებიდან ჩამოდიან.**

დამთვალეიერებლები სტუმრობენ შენობებს, სამკითხველო დარბაზებს და რამდენიმე შიდა სამუზეუმო სივრცეს.

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ სხვა ფორმითაც გაუხსნა კარი ფართო საზოგადოებას. მესამე კორპუსის საგამოფენო დარბაზში ეწყობა გამოფენები,



ნიგნის პრეზენტაციები, კონცერტები და სხვა ღონისძიებები.

ახალი საინტერესო მიმართულებაა ემიგრაციის მუზეუმი. 2015 წელს ბიბლიოთეკაში გახსნილი ემიგრაციის დარბაზისა და 1994 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებული ემიგრაციის მუზეუმის ბაზაზე საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2020 წელს გაიხსნა ემიგრაციის მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია ქართვე-

წელს გაიხსნა იშვიათ გამოცემათა განყოფილების ბაზაზე. ალბათ გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ტურისტული თვალსაზრისით, ეს ყველაზე პოპულარული ადგილია ჩვენს ბიბლიოთეკაში. დაარსების დღიდან დღემდე მუზეუმს ათასობით ქართველი და უცხოელი დამთვალიერებელი ესტუმრა, მათ შორის დიდი ადგილი უკავია სასკოლო ექსკურსიებს, რომლებსაც გარკვეულ წილად საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს. წიგნის მუზეუმ-



ლი ემიგრანტების უმნიშვნელოვანესი არქივები, მათ შორის, მაგალითად, ლევილის არქივი. მუზეუმი საინტერესოა როგორც მკვლევარებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვისაც. უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკა დღესაც ზრუნავს ამ კოლექციის გამდიდრებაზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დარბაზი, სადაც მრავალ სხვა საინტერესო ექსპონატს შორის დაცულია „დედა-ენის“ ყველა გამოცემა. ეს დარბაზი მკითხველსაც ემსახურება და მრავალი მკვლევარისთვის მნიშვნელოვან მასალებს მოიცავს.

დამთვალიერებელთა ინტერესს იწვევს ჰენრიხ ჰრინგის სახელობის ხელოვნებისა და პოლონური ლიტერატურის დარბაზი, რომლის კედლები და ჭერი სწორედ ამ პოლონელი მხატვრის მიერ არის მოხატული. პოლონეთის საელჩოს დაფინანსებით ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შემდეგ სტუმრებს საშუალება აქვთ, აღიქვან ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსის კედლის მხატვრობის პირვანდელი სილამაზე. ამ დარბაზში მსურველები სრულიად უსასყიდლოდ სწავლობენ პოლონურ ენას პოლონეთის საელჩოს მიერ ორგანიზებულ კურსებზე.

წიგნის მუზეუმი ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2017

ში დამთვალიერებლებისთვის მოწყობილია სამი მუდმივი ექსპოზიცია: „ვეფხისტყაოსნის“ დარბაზი, სადაც თავმოყრილია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის გამოცემები ქართულ და უცხოურ ენებზე, ძველნაბეჭდი ქართული წიგნების გამოფენა და ილია ჭავჭავაძის კაბინეტი, სადაც დაცულია ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა და მისი კუთვნილი მაგიდა. დროდადრო ეწყობა აგრეთვე ცვლადი თემატური გამოფენები. დამთვალიერებლებს მეგზურობას უწევს იშვიათ გამოცემათა განყოფილების თანამშრომლები, რომლებიც დამთვალიერებლების სურვილის მიხედვით, მათ საუბრებს უტარებენ.

ბიბლიოთეკაში კიდევ არაერთი საინტერესო სივრცეა, მაგრამ, სამწუხაროდ, პანდემიის პირობებში გართულდა დამთვალიერებლების მიღება, თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით მოიძებნა გამოსავალი - ვირტუალური გამოფენები. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალურ გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ <https://www.nplg.gov.ge>. ეროვნული ბიბლიოთეკა და მისი თანამშრომლები იღვნიან იმისთვის, რომ შენარჩუნდეს განვითარების ეს ტენდენცია და ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც საინტერესო ადგილი შიდა და გარე ტურიზმისთვის, საინტერესო სიახლეებით დაგიბრუნდეთ.

**ბორის კომახიძე**

ანთროპოლოგიის დოქტორანტი

გლობალიზაცია, პოსტმოდერნიზმი და ფიზიკური საზღვრების აღქმის ცვლილება შესაძლებლობას აძლევს თანამედროვე ადამიანს გაიფართოვოს ფიზიკური აღქმების თვალსაზრისი და მსოფლიოს ერთი წერტილიდან მეორეში სულ რამდენიმე საათში იმოგზაუროს ყოველგვარი ტექნიკური პრობლემის გარეშე. ტურიზმი, როგორც დაქვემდებარებული ეკონომიკა სახელმწიფოთა ეკონომიკური მოგებისა და საერთაშორისო პოლიტიკური ინტერესების წარმართვის მექანიზმს წარმოადგენს.

ტურიზმის ინდუსტრიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს საინდუსტრიო ტურიზმი. ხშირად, როდესაც საუბარია ტურისტული მარშრუტების დაგეგმარებაზე ადამიანების წარმოდგენაში იქმნება სტერეოტიპული ხედვა, რომ ტურისტული ღირსშესანიშნაობა შეიძლება იყოს უძველესი მატერიალური ან სულიერი კულტურის ძეგლი და მისი გაცნობის პროცესი. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მოდერნული კულტურული მემკვიდრეობა, რადგანაც მოდერნული არქიტექტურა, პოლიტიკური და ეკონომიკური ფასეულობები თანამედროვე ყოფას განსაზღვრავს, დღევანდელი ცხოვრების წესის მაფორმირებელი და მასტიმულირებელია, ამიტომ მოდერნული ურბანული ინდუსტრიული მემკვიდრეობის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება. ურბანული ტურიზმის კონცეფცია გულისხმობს ურბანულ სივრცეში მიიზიდოს ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტები და ადგილობრივები ჩართოს ტურისტულ ეკონომიკურ წარმოებაში. ქალაქების ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტი ვიზიტორთა ინტერესის მთავარი ობიექტია. პოსტმოდერნიზმის ეპოქაში მოდერნული საინდუსტრიო ქალაქების ეპოქა დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალა-

## ინდუსტრიული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები დასავლეთ საქართველოში

ქებში საინდუსტრიო ინფრასტრუქტურებმა საკუთარი ფუნქცია დაკარგეს და ეკონომიკურად კერძო პირთა ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობად იქცნენ. საინდუსტრიო ტურიზმზე საუბრისას ბოროსი, მარტინი და პელი (2013, 108) აღნიშნავენ, რომ ადგილები რომლებიც წარსულში მახინჯ და არამიმზიდველ სივრცეებად მიიჩნეოდნენ დღესდღეობით იპყრობენ ყურადღებას, როგორც მიმზიდველი ტურისტული მიმართულებები. ინდუსტრიული ტურიზმის ყურადღების ობიექტი წარსულში ან ჯერ კიდევ მოქმედი ინდუსტრიულ წარმოებასთან დაკავშირებული შენობები და სივრცეებია. ერთ-ერთი პირველი საინდუსტრიო საწარმო, რომელიც ტურისტებისთვის გაიხსნა ამერიკის, ლინჩბურგის ჯეკ დენიელის საწარმო იყო. საინდუსტრიო ტურიზმისადმი მზარდ ინტერესზე მიუთითებს ზოლფერეინის ნახშირის საბადო ჰესენში, რომელიც ადგილობრივი კულტურული განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან იუნესკოს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. ამ რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის 35000 საინდუსტრიო ადგილია (Boros, Martyn, Pal. 110).

ბოროსის, მარტინისა და პელის განმარტებით ინდუსტრიული ტურიზმი ხშირად დაკავშირებულია დეინდუსტრიალიზაციასთან, რაც ნიშნავს რეგიონში საინდუსტრიო საქმიანობის შემცირებას და ლოკალური ეკონომიკის კრიზისს წარსულში არსებული ეკონომიკური ინდუსტრიული აქტივობების მოშლის გამო. ინდუსტრიულ ტურიზმს ამ ადგილებში შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ რესტრუქტურეზაციას და ცხოვრების წესის გაუმჯობესებას (Boros, Martyn, Pal. 2013, 108). ინდუსტრიული ტურიზმის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირებულობა და სწავლება, მისი განვითარების დროს ადგილობრივი და ცენტრალიზებული სახელმწიფო სტრუქტურები უნდა უჭერდნენ მხარს ინდუსტრიული ტურიზმის წახალისებას, მაგალითად ინტერაქციული საინფორმაციო ცენტრის მოწყობით, სადაც ადამიანები





ცოდნას მიიღებენ საინდუსტრიო მემკვიდრეობის შესახებ. ტურიზმმა ხელი შეიძლება შეუწყოს მწარმოებელ კომპანიებსაც მოსახლეობაში მათი წარმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მხრივ. ბევრი კომპანია იყენებს ინდუსტრიულ ტურიზმს ბრენდისადმი ერთგულების შესანარჩუნებლად. ვიზიტორები ეცნობიან პროდუქციას. ვიზიტორები საწარმოებში ვიზიტის დროს ასევე რწმუნდებიან იქ დასაქმებული ადამიანების საქმიანობის საჭიროებაში (Boros, Martyn, Pal. 108). როგორც დეინდუსტრიალიზაციის შედეგი, ინდუსტრიული ტურიზმი ბელგიის ვალონიის ერთ-ერთი ეკონომიკური მიმართულებაა. რეგიონალური ტურისტული სააგენტოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია საინდუსტრიო სივრცეები და მათი რეკლამირება. ისინი ხელმძღვანელობენ პრინციპით, რომ არ უნდა იქნეს დავიწყებული ან უარყოფილი ინდუსტრიული წარსული, მიუხედავად იმისა რამდენად ცუდი გამოცდილება უკავშირდება მას მაგალითად გარემოს მიმართ ზიანის მიყენების მხრივ (Boros, Martyn, Pal 2013, 110). ინდუსტრიული ტურიზმის განვითარების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო აქტივობა იყო 2002 წელს შექმნილი ინდუსტრიული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი (ERIH), კამპანია, რომლის წევრებიც იყვნენ დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები და გერმანია. წევრთა მთავარი მიზანი იყო შეექმნათ საერთაშორისო ქსელი, რომელიც თავის წვლილს შეიტანდა ინდუსტრიული ტურიზმის განვითარების პროცესში. მათი აქტივობების მიმართულება იყო ერთობლივი მარკეტინგული პრინციპების შექმნა, ტრენინგები და გამოცდლების გაცვლა, პროექტი 2007 წელს დასრულდა, თუმცა ეს ქსელი დღემდე არსებობს (Boros, Martyn, pal 2013, 110).

გრინი აღნიშნავს, რომ ინდუსტრიული ტურიზმი სამუშაო სივრცეში რეკრეაციაა, ესაა ადგილი სადაც საქმე და დასვენება თანაარსებობს (Green 1994, 16). ეკონომიკური თვალსაზრისით ინდუსტრიული ტურიზმი უპირატესია სამომხმარებლო ტურიზმისაგან, რადგანაც თუ სამომხმარებლო ტურიზმში წარმოება დამოკიდებულია მომხმარებელსა და მის მოთხოვნაზე, საინდუსტრიო ტურიზმში პროდუქტის წარმოება მიმართულია ინდუსტრიის წარმართვისაკენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდუსტრიულ ტურიზმში ორიენტირი მიმართულია არატურისტული სიკეთეების წარმოებისაკენაც და ტურისტებისკენაც, მაშინ როდესაც სამომხმარებ-

ლო ტურიზმი მიმართულია მხოლოდ ტურისტებისაკენ (Frew 2015, 35).

ინდუსტრიული ტურიზმის განვითარების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის დაფინანსების სიმცირე და ასევე პოტენციური მარშრუტების მდებარეობა ეკონომიკურად კრიზისულ სივრცეებში, რომელიც შემოსავალს ამცირებს. ასევე გასათვალისწინებელია კომპანიების მზაობა გახსნან საინდუსტრიო საწარმოები მნახველებისათვის. ბოროსი მარტინი და პელი მიიჩნევენ, რომ გამოცდილების არქონამ შესაძლებელია გამოიწვიოს საინდუსტრიო წარმოების მიმართ ნეგატიური განწყობები (Boros, Martyn, Pal 2013, 109).

საქართველოს თანამედროვე წარსული, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული პერიოდის კულტურული მემკვიდრეობა საინდუსტრიო ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს სახავს. ამის მაგალითი მარგანეცისა და ქვანახშირის წარმოების შედეგად განვითარებული ურბანული სივრცეები ჭიათურა, ტყიბული და ზესტაფონია, რომელიც ერთვება ფოთის საპორტო ინფრასტრუქტურაში და ამ ქალაქის ურბანულ განვითარებაშიც თავის სათქმელს ტოვებს. მოდერნიზმი, რომელიც დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციასთან და მძიმე მრეწველობის განვითარებასთან, მუშა-ხელს და დამატებითი დამხმარე რესურსების განლაგებას მოითხოვს სამრეწველო ტერიტორიის მიმდებარედ. ამიტომ იქცა საინდუსტრიო ქალაქები მოდერნული პერიოდის მსოფლიოში ეკონომიკის მთავარ ცენტრებად და რესურსების მობილიზაციის მხრივ დაწინაურებულ სივრცეებად. ინდუსტრიალიზაცია და მოდერნიზაცია მსოფლიომ სხვადასხვა გზით გაიარა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა და განვითარების პერსპექტივები ერთნაირად ისახებოდა მეცხრამეტე საუკუნიდან, მეოცე საუკუნის დასაწყისში სამყარო ორ პოლუსად გაყოფას იწყებს, რომლის ერთ მხარეს კაპიტალიზმი, ხოლო მეორე მხარეს სოციალიზმი ბატონდება. ინდუსტრიალიზაცია და ურბანული განაშენიანება მოდერნული ეპოქის მსოფლიოში წარმართა ამ ორი იდეოლოგიის ქრილში, რამაც გავლენა მოახდინა როგორც ეკონომიკაზე ისე პოლიტიკასა და კულტურაზე.

საქართველოსთვის მოდერნიზმის კაპიტალისტური და სოციალისტური გაგება ცნობილი იყო. ჯერ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფმა ქვეყანამ, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს გავლით



ერთმანეთთან აკავშირებდა ევროპისა და აზიის კონტინენტებს, ნიკო ნიკოლაძის აქტიური ჩარევით მოახერხა მოდერნიზმისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ფაქტორის რკინიგზის გაყვანა საქართველოში, რომელიც შავი ქვის მარგანეცის წარმოების საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ჭიათურაში შავი ქვის წარმოებამ დააჩქარა ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს. შედეგად კი ჩვენს ქვეყანაში გაჩნდნენ ისეთი ცნობილი კაპიტალისტური კომპანიის წარმომადგენლები როგორც იყო მაგალითად გერმანული „სიმენსი“. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად იწყება ტყიბულში ქვანახშირის, ჭიათურაში მარგანეცის მოპოვების პარალელურად ამ ქალაქების გაშენება, ფოთში ნიკო ნიკოლაძის აქტიურობით ფართოვდება პორტი, ხდება ქალაქის ევროპული წესით დაგეგმარება, ხოლო კომუნიზმის გარიჟრაჟზე დაჩქარებული წესით მიმდინარეობს ურბანიზაცია-ინდუსტრიალიზაცია, რასაც შედეგად მოჰყვება ზესტაფონის ფეროკუმენადნობთა ქარხნის აშენება, რომელიც პირველი მძიმე საინდუსტრიო საწარმოა საქართველოში. ზესტაფონის ფეროკუმენადნობთა ქარხნის მშენებლობა კომუნიზმის დამყარებამდე იყო გადანყვებილი, თუმცა საბოლოოდ საბჭოთა პერიოდში მოხერხდა მისი მშენებლობის დასრულება და ქალაქის ურბანიზაციაც კომუნისტურ წესს მიჰყვა. გარდა ჭიათურის, ტყიბულის, ზესტაფონის, ფოთის ინდუსტრიალიზაციისა და ურბანული დანიშნულებისა ეს ქალაქები წარმოადგენენ სივრცეებს სადაც ხდებოდა იდეოლოგიის სიმბოლური რეპრეზენტაცია.

დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთ საქართველოსაგან ტრადიციული სამინათმოქმედო საქმიანობის კუთხით ეკონომიკურად ნაკლებად მომგებიანი იყო, თუმცა ეს ტერიტორია ინდუსტრიული წარმოების კერად იქცა. ჭიათურიდან მარგანეცის წარმოებამ, ტყიბულიდან ქვანახშირის წარმოებამ, შეკრა ჭიათურა-ზესტაფონი-ტყიბული-ფოთის საინდუსტრიო კვანძი და ამ ქალაქების განვითარებაც რკინიგზის ხაზით მიუყვებოდა დასავლეთ საქართველოს შავ ზღვამდე. საბჭოთა მოზაიკები, საწარმოო შენობა-ნაგებობები, მეცხრამეტე საუკუნის ევროპული და მეოცე საუკუნის კომუნისტური არქიტექტურა ამ ქალაქების ყოველდღიურობის ნაწილია. ჭიათურა საბაგიროების, მარგანეცის, მოზაიკის, საბჭოთა იდეოლოგიის გამოვლინების ქალაქი, ტყიბული ასევე მაღაროების, კომუნისტური არქიტექტურისა და მოზაიკების

ქალაქი იდეოლოგიების რეპრეზენტაციის ადგილებია, რომლებიც შესაძლებელია იქცნენ ღია მუზეუმებად მსოფლიოსთვის იმის საილუსტრაციოდ თუ რას წარმოადგენდა სოციალისტური ბანაკი, რა მოუტანა პოსტკომუნისტურმა ტრანზიციებმა საქართველოს საინდუსტრიო ურბანულ სივრცეებს, ასევე რა არის ნეოლიბერალიზმი და რა შედეგები მოჰყვება დემოდერნიზაციას. ზესტაფონი მოდერნულისა და პოსტმოდერნულის ერთმანეთთან შეპირისპირების ქალაქია, სივრცე სადაც ფეროკუმენადნობთა ქარხანა წარმართავს ქალაქის ყოველდღიურობას და წარმოადგენს მძიმე საინდუსტრიო ქალაქის ნიმუშს, რომელიც კომუნისტური საქართველოს პირმშოა. ფოთი ნიკოლაძის ევროპული კონცეფციით გადატვირთული საპორტო ქალაქი და მისი განაშენიანება-დაგეგმარებით უნიკალური სივრცეა შავ ზღვაზე, რომელსაც საბჭოთა წარსულის კვალიც დააჩნდა და მეოცე საუკუნის კაპიტალისტური და კომუნისტური მოდერნული იდეების შერწყმის ნაყოფია. ამ ქალაქებს შემოგარენში არქიტექტურული ნიმუშები აკრავს, რომლებიც მათ უნიკალურობას უსვამს ხაზს. ესაა სამრეწველო ქალაქები, რომლებიც სავსეა ცოცხალი ურბანული ლეგენდებით და მისი მაცხოვრებლები ყვებიან არა ერთ რეალურ თუ აბსურდულ ამბავს ქალაქის განაშენიანების, ინდუსტრიალიზაციისა და მათი მსოფლიო ისტორიული კონტექსტის შესახებ.

საინდუსტრიო ტურიზმი ნაკლებად მიმზიდველ დარგად შეიძლება მიიჩნეოდეს, თუმცა იგი აქტუალური მიმართულებაა კონკრეტული პერიოდით დაინტერესებული მკვლევრების და ვიზიტორებისთვის. პოპულარიზაციის შემთხვევაში გააჩნია პერსპექტივა, როგორც დარგს, ისე ქალაქს ახალი ეკონომიკური რესურსის გაჩენის მხრივ, რისი აშკარა დასტურიც ამ ქალაქებიდან ჭიათურაა, რომელიც ქართველი და განსაკუთრებით უცხოელი ტურისტებისათვის მიმზიდველ სივრცეს წარმოადგენს.

### ლიტერატურა

1. Boros L., Martyn Z., Pal V. (2013). "Industrial Tourism – trends and opportunities", Forum geografic. Studii și cercetări de geografie și protecția mediului, Volume XII, Issue 1 (June 2013), pp. 108-114
2. Green, S. (1994). Industry tourism. Environmental Interpretation, 9(3), 16-17.
3. Frew A. E (2015). "Industrial tourism theory and implemente strategies" In Advances in Culture, Tourism and Hospitality Research. Published online: 08 Mar 2015; 27-42.



# ბიბლიოთურიზმი – 6 მიზეზი, თუ რატომ უნდა ეწვიოს ტურისტი ბიბლიოთეკას


რუსუდან ასათიანი

**რა სარგებელი მოაქვს ბიბლიოთეკას ტურისტებისთვის?**

შესაძლებელია ტურისტს დასჭირდეს ბიბლიოთეკა, რადგან ბიბლიოთეკას აქვს მრავალი რესურსი, რომლითაც უშუალოდ შეიძლება სარგებლობა მოგზაურობის დროს.

წინააღმდეგობის გარდა, ტურისტებისთვის შესაძლებელია მრავალი მათთვის სასარგებლო მომსახურების შეთავაზება. როგორც ინტერესიც არ უნდა ჰქონდეს ტურისტს, ბიბლიოთეკა შეიძლება გახდეს ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი მოგზაურობისთვის, როგორც დასათვალიერებლად, ასევე სხვადასხვა მომსახურების მიღების უფასო საშუალებად.

ამ სტატიაში წაიკითხავთ 6 მიზეზს, თუ რატომ შეიძლება დაინტერესდეს ტურისტი ბიბლიოთეკით:



ში მდებარეობს და ასევე საჯარო ბიბლიოთეკა ბოსტონში, რომელიც ტურისტებს სთავაზობს ტურებს ხელოვნებისა და არქიტექტურის მიმართულებით.

## 1 უფასო ექსკურსია ქალაქში ან სოფელში (გააჩნია სად არის ბიბლიოთეკა)

მოგზაურობისას ტურისტები ცდილობენ მიიღონ მაქსიმალური ინფორმაცია და ნახონ რაც შეიძლება მეტი ღირსშესანიშნაობა იმ კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე, სადაც მოგზაურობენ. ტურისტებისთვის ხშირად საინტერესოა ადგილობრივი მაცხოვრებლების თვალთ დაანახული ქალაქი ან სოფელი. ბიბლიოთეკას შეუძლია შესთავაზოს ტურისტებს ექსკურსიები, რომლებიც საშუალებას მისცემს სტუმრებს გაეცნონ ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს, ფაქტებს და გადმოცემებს. ასეთი ბიბლიოთეკების კარგი მაგალითია ჰადსონის ბიბლიოთეკა, რომელიც ოჰაიოს შტატ-

## 2 ბიბლიოთეკა – როგორც ქალაქის ღირსშესანიშნაობა

თითქმის ყველა ტურისტი, რომელსაც სურს მისთვის უცნობი ქალაქის დათვალიერება, პირველ რიგში შეარჩევს ქალაქის გამორჩეულ შენობებს. ამ თვალსაზრისით მსოფლიოში საკმაოდ ბევრი ბიბლიოთეკაა მოხვედრილი ტურისტული ღირსშესანიშნაობების სიაში, მაგალითად ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკა და ასევე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

## 3 უფასო ინფორმაცია

ინტერნეტი დღეს მოგზაურისთვის ერთ-ერთი ყველაზე საჭირო რამ არის. ბიბლიოთეკების უმრავლესობა კი ამ მომსახურებას უფასოდ გასცე-



მს. ტურისტს შეუძლია მივიდეს ბიბლიოთეკაში და ისარგებლოს უფასო და ულიმიტო ინტერნეტით.

#### **4 ტურისტისთვის საჭირო მასალების ამობეჭდვა**

ბიბლიოთეკას შეუძლია მოემსახუროს ტურისტს მისთვის საჭირო მასალების ამობეჭდვით. საქართველოში ბევრ ბიბლიოთეკას შეუძლია გასცეს მსგავსი მომსახურება და ამით მოიზიდოს მეტი მკითხველი.

#### **5 მოსასვენებელი/თავშვების ადგილი**

ტურისტებისთვის ექსკურსიების დროს ძალიან მნიშვნელოვანია მყუდრო, მოსასვენებელი ადგილის პოვნა, სადაც ისინი შეძლებენ დაჯდომას, ელექტრონული მოწყობილობების დამუხტვას, შეკრებას და დასვენებას. ზოგიერთ საჯარო ბიბლიოთეკას შეუძლია ტურისტის უზრუნველყოფა ყველა ამ პირობით, რაც ბიბლიოთეკას ტურისტისთვის შეუცვლელ ადგილად აქცევს.

#### **6 ბიბლიოთეკა**

##### **როგორც მულტიმედია ცენტრი**

ტურისტებს მოგზაურობის ყველა გეგმა კარგ ამინდზე აქვთ გათვლილი, მარგამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამინდი გაფუჭდეს და გარეთ სეირნობა გახდეს შეუძლებელი. ასეთ შემთხვევაში, ცუდ ამინდში ტურისტს შეუძლია ბიბლიოთეკაში უყუროს სასურველ ფილმს, მოუსმინოს მუსიკას, ითამაშოს სამაგიდო თამაშები. ზოგიერთ ბიბლიოთეკას შეუძლია მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი მულტიმედია სერვისების შეთავაზება.

ყველა ჩამოთვლილი ვარიანტი

გამოსადეგია ტურისტებისთვის, რომლებსაც სურთ მოგზაურობისას დრო გაატარონ მხიარულად და შინაარსიანად.

ბიბლიოთეკები კი რჩება საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, განუყოფელ ნაწილად და ემსახურება განურჩევლად ყველა მომხმარებელს. ტურისტებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ ეს შესაძლებლობა, რათა მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია და მომსახურება, ასევე გაეცნონ თუ რა გავლენა აქვს ბიბლიოთეკას იმ სოციალურ გარემოში, რომელშიც ფუნქციონირებს. ბიბლიოთეკებმა კი თავის მხრივ უნდა მეტად მრავალფეროვანი გახადონ თავიანთი სერვისები, რათა მოიზიდონ რაც შეიძლება მეტი ტურისტი, რითიც ისინი გაზრდიან მომხმარებელთა რაოდენობას და ამასთანავე შეიძენენ კიდევ ერთ თანამედროვეობისთვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. ბიბლიოთეკას, სხვა თანამედროვე სერვისებთან ერთად, ნამდვილად შეუძლია ტურისტული ცენტრის ფუნქციის შეთავსებაც.







**მანანა სამაშვილი**

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, საქონლის გასაღებისთვის ახალი ბაზრების მოძიების თუ ნადავლის მოპოვების სურვილმა არაერთ ვაჭარსა და მეკობრეს ალუძრა ინტერესი აქამდე შეუსწავლელი ადგილების „მოხილვის“ და ახალი აღმოჩენების გასაკეთებლად. ზოგიერთი მოგზაურის ინტერესი განსხვავებული იყო: წმინდა ადგილების მოსალოცად გრძელ გზას გადიოდნენ სტუდენტები და პილიგრიმები; მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებასთან ერთად კი გამოჩნდნენ მოგზაურები, რომელთა ინტერესების სფეროში შედიოდა უცხო ქვეყნების გეოგრაფიის, ბუნების, რესურსების, ეთნოგრაფიისა და კულტურის შესწავლა. ევროპელ მოგზაურთა შთაბეჭდილებები მწერალ-მოგზაურთა ავტორობით შექმნილ მრავალრიცხოვან გამოცემებში აისახა. ამ ლიტერატურამ დიდი როლი შეასრულა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მსოფლიოს გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის განვითარების საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ საკითხავადაც სახალისო მწერალ-მოგზაურთა წიგნები მეტად პოპულარული გახდა XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ ქვეყნებში.

ქართველი ხალხის სწრაფვას ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის უკეთ გასაცნობად დიდი ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, რთული ისტორიული და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ჩვენს მოქალაქეებს იშვიათად ეძლეოდათ საშუალება, ემოგზაურათ საკუთარი სიამოვნებისათვის, ან მხოლოდ გამიზნული სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად. ქართველ მოგზაურთა მიზანი, უმეტეს შემთხვევებში, განპირობებული იყო ქვეყნის ისტორიული ვითარებითა და რელიგიუ-

## სულხან-საბა ორბელიანის ევროპული ოდისეა

რი მოსაზრებებით - სამშობლოს უკეთესი მომავლის გარანტიის მოსაპოვებლად და ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად. ამავე დროს, მათ კარგად ესმოდათ უცხოეთის ქართულ სავანეებში დაცული კულტურის მნიშვნელოვანი ობიექტების აღწერისა და აღრიცხვის მნიშვნელობა. XVIII-XIX საუკუნეების ქართველ მოგზაურ-მკვლევარებს დიდი დამსახურება მიუძღვით ევროპის, აზიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურის უძველესი რელიკვიების შეფასების, ქართველოლოგიური არტეფაქტების აღმოჩენისა და შესწავლის საქმეში.

**სამშობლოში უკვე აღიარებული, ნიჭიერი მწერალი და ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი გახლდათ ერთერთი პირველი ქართველი მოგზაური, რომლის შორეული მარშრუტიც საქართველოს ურთულესი მდგომარეობისგან თავის დაღწევის მიზნით დაიგეგმა.**



სულხან-საბა ორბელიანი.  
მხატვარი მამუკა ცეცხლაძე



მაჰმადიანური ქვეყნების გარემოცვაში მყოფ საქართველოს ევროპის დიდი ქრისტიანული სახელმწიფოების დახმარების იმედი ჰქონდა. სახელოვანი ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე სამეფო ტახტს ჩამოაშორეს და ირანში (ქირმანში) დატყვევებულს სარწმუნოების გამოცვლას და მაჰმადიანობის მიღებას აიძულებდნენ. მეფემ ყველაზე ერთგულ და ნდობით აღჭურვილ პირს, თავის აღმზრდელს - სულხან-საბა ორბელიანს სთხოვა, გამგზავრებულიყო საფრანგეთსა და იტალიაში, რათა ტახტის დაბრუნებისთვის დახმარება ეთხოვა საფრანგეთის მეფისა და რომის პაპისთვის. ვახტანგს მანამდეც ჰქონია მიმონერა საფრანგეთის მეფესთან, ლუი მე-14-სთან და ახლა სულხან-საბას უნდა ჩაეტანა მისი პასუხი ევროპელი მონარქიტვის. სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა დაიწყო სტამბოლიდან 1713 წელს და 3 წელს გასტანა. მიხეილ თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული ერთი წერილობითი წყაროს თანახმად, საბამ ჯერ კიდევ გამგზავრებამდე დიდი ხნით ადრე, 1683 წელს, გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად ყოფნის პერიოდში მიიღო კათოლიკობა და შემდგომში ის უკვე ბასილიანთა ორდენის „მონაზვნად“ მოიხსენიებოდა. სხვა წყაროების მიხედვით კი ე ს მოხდა - 1692 ან 1701 წელს. სულხან-საბა ორბელიანი მეფის ტყვეობიდან გამოსყიდვის სანაცვლოდ, საფრანგეთის მეფესა და რომის პაპს, კლემენტ XI-ს დაჰპირდა საქართველოს რეგიონებსა და ჩეჩნეთში კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდას, რისთვისაც ქართლსა და დასავლეთ საქართველოში მისიონერების გამოგზავნა მოითხოვა; სულხან-საბა, როგორც საქართველოს დიპლომატიური მისიის ოფიციალური წარმომადგენელი, ევროპიდან სპარსეთისკენ საქართველოზე გამავალ სავაჭრო გზებზე უსაფრთხოდ გადაადგილების გარანტიასაც იძლეოდა. ყველასთვის ცნობილია ამ მოგზაურობის საბოლოო შედეგი: ვახტანგ მეფის ტყვეობიდან გამოსასყიდად საქართველოს ელჩს იტალიისა და საფრანგეთის ხელისუფალთაგან სიტყვიერი მხარდაჭერის გარდა, არანაირი ფინანსური დახმარება არ მიუღია.


**ბ**ანდაზმული სულხან-საბასთვის მოგზაურობა ძალზე რთული და დამქანცველი აღმოჩნდა, მაგრამ ნანახმა და განცდილმა მასზე უდიდესი ზემოქმედება მოახდინა. მოგზაურობის შთაბეჭდილებები მწერალმა დაწვრილებით აღწერა თხზულებაში, რომელსაც პირობითად

**„მოგზაურობა ევროპაში“ ეწოდა. ამ ორიგინალური ნაწარმოების ავტორი სულხან-საბა ორბელიანი ქართულ მწერლობაში მანამდე უცნობი - სამოგზაურო ლიტერატურის ჟანრის ფუძემდებლად მოგვევლინა.**

მწერლის ჩანაწერების ორიგინალური ვერსია არ მოგვეპოვება. თხზულების მოგვიანო პერიოდის ექვსი ხელნაწერიდან კი ჩვენამდე არც ერთს სრული სახით არ მოუღწევია. მოგზაურობის ის ნაწილი, სადაც საბას საფრანგეთის მეფესთან ორი ვიზიტია ასახული, დაკარგულად ითვლება. მარშრუტი იწყება მისი საფრანგეთიდან წამოსვლითა და იტალიაში შესვლით, თუმცა წყაროებიდან და მწერლის უბის წიგნაკიდან ცნობილია, რომ საფრანგეთის ქალაქ მარსელში საბა ფრანგ მისიონერ ჟან რიშართან ერთად კონსტანტინოპოლის გავლით შევიდა. თხზულება დღიურის ფორმითაა დაწერილი. ავტორი თავისი მიმოსვლის ისტორიას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მიჰყვება, ასე, მაგალითად: „ოცდასამს ივნისს ალიკორნას მოვედით“, ან „ოცდა ცხრა თიბათვე იყო, რომს მოვედით“. ყოველდღიური ამბების დღიურის ფორმით გადმოცემა უკვე დამკვიდრებული იყო ევროპულ სამოგზაურო ლიტერატურაში და ყველაზე კარგად ესადაგებოდა ფაქტებზე დაფუძნებული დოკუმენტური თხრობის სტილს. უდაოა, რომ საბა იცნობდა ამ ჟანრის ევროპული ლიტერატურის ნიმუშებს და სამოგზაურო თხზულების აგების ეს კომპოზიციური ხერხი წარმატებით გამოიყენა. თხზულების ენა მიჰყვება სასაუბრო მეტყველებას, ის სადა, მოქნილი და ადვილად აღსაქმელია.

ევროპაში მოგზაურობისას მწერალმა მოინახულა ისეთი ისტორიული ქალაქები, როგორიცაა: სტამბოლი, მარსელი პარიზი, რომი, მონაკო, გენუა (საბას მიხედვით - „ჯენევია“), ლივორნო, პერუჯა, ფლორენცია, პიზა და სხვა. არსებობს წერილობითი წყარო, რომელიც გვამცნობს, რომ სულხან-საბა სიცილიაშიც ჩასულა. საბას დაკვირვებული თვალი აღწერს ყოველ წვრილმანს: იტალიის დასახლებული პუნქტების ადგილმდებარეობას, კეთილმოწყობილ გზებსა და ბუნებას, რომელიც ზოგჯერ საქართველოსაც ახსენებს. საბა მოიხიბლა იტალიის დედაქალაქის სილამაზით და ვატიკანის სიმდიდრით. მას, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, ყველაზე მეტად რელიგიური სინძინდების ნახვა აინტერესებდა. ის გაოცებით აღწერს ტაძრებში დაცულ რელიკვიებს, რომის ტაძრების არქიტექტურას, მარმარილოში ნაკვეთ





ლუი მე-14-ის დროინდელი ვერსალის სასახლის ხედი. გრავიურა

სამეგრელოში გამოგზავნილ მისიონერთა მოლოდინში 17 თვის მანძილზე სტამბოლში შეჩერებულა. საფრანგეთის მეფის, ლუდოვიკო მე-14-ის მოულოდნელმა სიკვდილმა ხელი შეუშალა კათოლიკე-მისიონერთა ჩამოსვლას სტამბოლში. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ხელმოცარული სულხან-საბა სამი კაპუცინისა და ერთი „პატრი იეზოვიტის“ ამარა სამშობლოსაკენ ზღვით გამომგზავრებულა, მაგრამ გზად ბევრი ხიფათი, დამცირება და წამება გამოუვლია. კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩმა საბა და მისი თანამგზავრები ერთ

ქანდაკებებს და ქრისტიანული მხატვრობის ნიმუშებს; ქართველი მოგზაური წმინდა პეტრეს ტაძარში შესწრებია ადგილობრივი ოსტატების მიერ გუმბათის მოზაიკით მოპირკეთების პროცესს, რასაც მისი აღფრთოვანება გამოუწვევია. მწერალი საგანგებოდ აღწერს იტალიაში ნანახ სამკითხველოებს, სადაც მრავალი საინტერესო წიგნი უნახავს. აი, რას წერს იგი ვატიკანის ბიბლიოთეკაზე: „...იქიდან შეგვიყვანეს პაპის სამწიგნობროში, მაგრამ ერთი უცხო მას არა შეედრება რა, თავად დიდრონი და გძელი სახლებია.... ყოვლისა რჯულისა და ყოვლისა ენისა წიგნები იყო“ - ამბობს მწერალი და ბოლოს გულისწყვეტით აღნიშნავს: „მრავალი ვეძებე ქართული წიგნები, ვერ ვიპოვე, არ ჩანდა“-ო.

საქართველოს ელჩი ბევრგან საუბრობს ევროპელი ქრისტიანების სტუმართმოყვარეობაზე. ის კმაყოფილი დარჩენილა არაჩვეულებრივი მიღებით და ხშირად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ იტალიელი კათოლიკეები სტუმარს ყოველდღე „აღერსით“ მოიკითხავდნენ, უმასპინძლდებოდნენ და დაჰყავდათ საინტერესო ადგილების დასათვალიერებლად. საბა მოგვითხრობს იტალიის მოსახლეობისა და საეკლესიო პირების ადათ-წესების შესახებ: მაგალითად, ის დაწვრილებით აღწერს ვატიკანში რომის პაპის მიერ უმაღლესი საეკლესიო პირებისთვის გამართულ აუდიენციას და მისი ხელით გლახაკთა გამასპინძლების საოცარ ტრადიციას.

უკანა გზაზე ქართველი ელჩი საფრანგეთიდან

თურქ კაპიტანს ჩააბარა და ფული გადაუხადა იმ პირობით, რომ ისინი გურიამდე ჩაეყვანა, მაგრამ კაპიტანს სიტყვა არ შეუსრულებია, ხომალდი „თათრებით“ გაუვსია და უადგილობის გამო საბა იძულებული გამხდარა გემის ტრიუმში მჯდარიყო. გზად კაპიტანს ტრაპიზონის ფაშასთვის შეუტყობინებია: „უცხოელები და ქართველი ელჩი მომყავს, დიდძალი საქონელი მოაქვთ და შეიპყარიით“. ოთხი დღის ლოდინის შემდეგ კაპიტანმა მგზავრებს უარი უთხრა გურიამდე გაყოლაზე და ისინი ნავებში გადასვა. სულხან-საბა ასე აღგვიწერს შემდგომ განვითარებულ მოვლენებს: „...ავგიდელდა ზღვა და ორივ ნავი ერთმანეთს მოსხლიტა. იმათი (თათრების) ნავი ხოფას გააგდო და ჩვენი ნავი იმას ქვეით. იქ მეტყვევ თათრები იყვნენ, იმერეთიდან ტყვეები მიჰყუნდათ კონსტანტინეპოლს დასასყიდლად. თუ ისინი იქ არ დაგვსწრებოდნენ, სრულ ნავხდებოდით. მოგვეშველნენ. გავედით. ოთხი დღე იქ ვიდექით. სრული დღე და ღამე ძლიერი ლელვა იყო. მოვიდნენ ჭანები. დაგვიჭირეს. მრავალი გვსარჯეს. ოცი მარჩილი წაგვართვეს. ზანდუკები დაგვიმტვრიეს, ტყუილად მებაჟობა იჩემეს და მრავალი გვაჭირვეს...“ მაგრამ საბას გასაჭირი ამით არ დამთავრებულა: აჭარაში ჩამოსვლამდე ის გზაზე გაუძარცვავთ და უკანასკნელი რამდენიმე მარჩილიც წაურთმევიათ.

საქართველოსთვის თავდავებულმა დიპლომატმა ძლივს ჩამოაღწია სამშობლოში, სადაც საშინელი არეულობა დაუხვდა: იმჟამად ქართლის



სამეფო ტახტი ვახტანგ მეფის გამაჰმადიანებულ ძმას, იასეს ეპყრა, რომლის მეფობის პერიოდში ქვეყანაში ლეკთა შემოსევები და ხალხის უმოწყალოდ „სრვა“ ისე გახშრებულიყო, რომ თბილისის მოსახლეობა „აყრას და გახიზვნას აპირობდაო“ - ამბობს მწერალი. სულხან-საბა გააფრთხილეს, რომ ქართლში არ დაბრუნებულყო, მაგრამ მას სხვა გზა არ დარჩენოდა.

თხზულების ბოლო თავში საქართველოსთვის დამაშვრალი მოხუცი საბა მოგვითხრობს იმ მოვლენების შესახებ, რომელიც მოჰყვა კათოლიკურ ქვეყნებში მოგზაურობის შემდეგ მის ქართლში დაბრუნებას. ამ დროს საბა უკვე ღიად აღიარებდა კათოლიკურ მრწამსს და ევროპიდან ჩამოყვანილ მისიონერებსაც ხელს უწყობდა კათოლიკური რელიგიის პროპაგანდაში.

**საბა წერს: „ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი რომს წასვლისათვის გამიმტერდნენ და ასე შეკრეს ყოველი: ჩემი ნათესავი და მეფე-დარბაისელნი, ვერავინ შემომენიო“, შემდეგ განაგრძობს: „...კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს, მაგრამ მეფე ვერ აიყოლიესო“.**

ბედად, სამი თვის შემდეგ ქართლში შექმნილი ვითარების დასარეგულირებლად, ირანის შაჰმა იასეს მეფობა ჩამოართვა და ქართლის ტახტზე დროებით მეფედ ვახტანგის ვაჟი - ბაქარი დასვა. უსაზღვრო იყო საბას გულისტკივილი, რომ მისმა მტრებმა ბაქარიც კი მის საწინააღმდეგოდ განაწყვეს: „ვისთვისაც ესოდენი ჭირი მენახა და ვისაც მეფობას ვსცდილობდი, ათხუთმეტის წლისა იყო. მოატყუეს. მცხეთას ჩემის სიყვარული და სამსახური დაავიწყეს. კრება მიყვეს და წმინდა პაპის გინება მომიდვეს. მე მართლ მადიდებლობა ვერ უარყვავ. და მრავალი ავი მოინდომეს“. - წერს საბა. მოხუცი მოძღვარი ისევ მისმა აღზრდილმა, ვახტანგმა იხსნა, რომელსაც ძალზე სწყენოდა ეს ამბები და „ყოველნი დაეტუქსა“. აი, ასეთ ნაღვლიან ნოტზე სრულდება საბა ორბელიანის ევროპული ოდისეა, რომელსაც მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრულისა და რუსეთში საბოლოო ემიგრაციის მიუხედავად, უკვალოდ არ ჩაუვლია:

**სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ცენტრალური ევროპის ყველაზე დიდ ქვეყნებთან საქართველოს პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გასამყარებლად,**

**ევროპის პოლიტიკურ და საეკლესიო მოღვაწეთა მიერ კავკასიის რეგიონის უძველესი ქრისტიანული ქვეყნის მისწრაფებების გასაცნობად და დასაფასებლად.**

ბრძენი საბა კარტოგრაფიითაც რომ იყო დაინტერესებული, ეს ჩანს იქიდან, რომ მან ევროპის გზებზე ატარა და შემდეგ საქართველოში ჩამოიტანა გერმანელი კარტოგრაფისა და გრავიორის - იოჰან ბაპტიტ ჰომენის მიერ 1711 წელს ნიურნბერგში დაბეჭდილი, 67 რუკისგან შემდგარი მსოფლიოს ფერადი ატლასი. დიდი ფორმატის ატლასის გვერდებზე ქართველი ელჩის მინაწერებია, რაც საბას მიერ ევროპის დასახლებული პუნქტების ტოპონიმების ქართულად გადმოთარგმნის მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ მოგზაურობიდან მიღებული ინფორმაცია მწერალს გამოადგა თავისი განმარტებითი ლექსიკონის გეოგრაფიული და საბუნებისმეტყველო ტერმინების დასაზუსტებლად. დღეს ეს ატლასი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის მუზეუმშია დაცული.

სულხან-საბა ორბელიანის თხზულების - „მოგზაურობა ევროპაში“ შემოკლებული ტექსტი პირველად დაიბეჭდა 1852 წელს, ჟურნალ „ცისკრის“ პირველ ნომერში, ხოლო ტექსტის სრული ვარიანტი ს. იორდანიშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ლექსიკონით გამოიცა თბილისში, 1940 წელს.



1711 წელს ნიურნბერგში დაბეჭდილი მსოფლიოს ატლასის თავფურცელი



**წიგნის ისტორია**



**ნინო ხვედელიძე**


XIV-XV საუკუნეების ჰოლანდიაში მანუფაქტურული ქარხნების წარმოშობამ და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ ცალკეულ ქალაქებს დამოუკიდებლობა მიანიჭა. დვენტერი და უტრეხტი ხელნაწერი წიგნის შექმნის ძირითად ცენტრებს წარმოადგენდნენ. წიგნის ბეჭდვის გამოგონების შემდეგ, უტრეხტში დაარსდა ქვეყნის პირველი სტამბა. ეპისკოპოსმა გადამწერებს დაუთმო წიგნის ბეჭდვისა და გამოცემის უფლება. ქვეყანაში გაჩნდა სამი ათეული სტამბა, სადაც გრავიურებით გაფორმებული ინკუნაბულები იბეჭდებოდა.

საეპისკოპოსო ქალაქ უტრეხტში, სადაც მრავალი ხელოვანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, დაახლოებით, 1445 წელს, დაიბადა მომავალი მხატვარი, გრაფიკოსი და გრავიორი ერჰარდ რეუვიჩი. მხატვრების ოჯახში დაბადებულმა ყმანვილმა დაწყებითი განათლება მშობლიურ სახლში მიიღო. ახალგაზრდობის წლებში რეუვიჩი საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა, მოღვაწეობდა დაიწყო მაინცის საკათედრო ტაძარსა და სამეფო რეზიდენციაში. მალე მან მოიპოვა პრივილეგია საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე სამეფო კარის მხატვრის სახელით. 1480 წლისთვის, ის ითვლებოდა მაინცის ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ მხატვარად და წიგნის პირველ ცნობილ ილუსტრატორად. რეუვიჩის სახელი აღნიშნულია მაინცში 1486-1488 წლებში დაბეჭდილ სამ წიგნზე, სადაც იგი მოხსენიებულია გამოცემის ილუსტრატორადაც. ეს იყო ბეჭდური წიგნის ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც ნაბეჭდ პროდუქციაზე მითითებული იყო გამოცემის გამფორმებლის სახელი.

ერჰარდ რეუვიჩის საზოგადოების მაღალი წრის

# ერხარდ რეუვიჩი და ბეჭდვითი ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი

წარმომადგენლებთან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა. ამ ურთიერთობებმა განაპირობეს მისი შემდგომი მოღვაწეობა. მის ახლობელთა წრეში იყო მაინცის საეპისკოპოსოს მოხელე, საკათედრო ტაძრის დეკანი – ბერჰარდ ფონ ბრეიდენბახი (1440-1497). იგი გახლდათ ავტორი ცნობილი გამოცემებისა – „მოგზაურობა წმინდა მიწაზე“ და „სამკურნალო ბალახების შესახებ“.



ბერჰარდ ფონ ბრეიდენბახი.  
„მოგზაურობა წმინდა მიწაზე“

გერმანიის პატარა ქალაქ ოპენჰაიმიდან, 1483 წლის 25 აპრილს, ადამიანთა ჯგუფი გაემართა იერუსალიმის წმინდა მიწისკენ. მათ გადაწყვიტეს მოელოცათ ის ადგილები, სადაც ცხოვრობდა და წინასწარმეტყველებდა იესო ქრისტე. მომლოცველთა შორის იყვნენ: ბერჰარდ ფონ ბრეიდენბახი, გრაფი იოჰან ფონ სოლმსი, ერჰარდ რეუვიჩი და ფილიპ ფონ ბიკესტი. რეუვიჩს, როგორც მხატვარს, დაევალა გზადაგზა ჩანახატების გაკეთება. უცხო ქვეყნების, ქალაქების, იქ მცხოვრები ხალხის, იქაური ბუნების, ცხოველთა თუ ფრინველთა სამყაროს ნახატებზე გადმოტანა და შემდეგ მათი გამოქვეყნება საინტერესო იქნებოდა ყველასთვის. ბერჰარდ ფონ ბრეიდენბახი კი ყოველდღიურად წერდა დღიურებს. მოგზაურობმა ალპები გადაკვე-






თეს და ჩააღწიეს იტალიაში. პირველად შეჩერდნენ ვენეციაში, სადაც ოცდაორი დღე დარჩნენ. ერთ-ერთი მაღალი ბორცვიდან რეუვიჩმა ჩაიხატა ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე ცნობილი ქალაქის დიდი პანორამა. ამის შემდეგ ისინი რამდენიმე დღით გაემგზავრნენ პადუაში, სადაც ევროპაში ცნობილი უნივერსიტეტი ეგულებოდათ. მოგზაურებმა გემით ახლო აღმოსავლეთისაკენ აიღეს გეზი და გზად ესტუმრნენ რამდენიმე ბერძნულ კუნძულს. იერუსალიმში ქრისტიანული სამყაროსთვის ყველა წმინდა ადგილის მონახულების შემდეგ, ისინი გაემართნენ სინას ნახევარკუნძულზე მდებარე წმინდა ეკატერინეს ძველი მონასტრის სანახავად, რომელიც ცნობილი იყო თავისი უნიკალური ბიბლიოთეკით. იქიდან, კი მოგზაურები ეგვიპტისაკენ დაიძრნენ, ქაიროში რამდენიმე დღის გატარების შემდეგ მომლოცველები ალექსანდრიაში ჩავიდნენ. თითქმის ათთვიანი მოგზაურობა დასრულდა 1484 წლის 4 იანვარს ვენეციაში. ასეთი გრძელი მოგზაურობის შემდეგ, იტალიიდან გერმანიაში დასაბრუნებული გზა მოკლე აღმოჩნდა და ბრეიდენბახმა დაასრულა თავისი დღიურების წერა. მაინცში დაბრუნებულმა მწერალმა თავისი დღიურების ლიტერატურულ ჩანაწერებად გადაქცევა დაავალა მარტინ როტს. იგი კარგად ფლობდა სარედაქციო საქმიანობას და ეს ჩანაწერები გასართობ მოთხრობად გადააქცია. ამავდროულად, რეუვიჩი თავის ნახატებს ქსილოგრაფიურის ენაზე „თარგმნიდა“. საილუსტრაციო მასალის მომზადებას ბევრი შრომა დასჭირდა, რადგან ბრეიდენბახს სურდა, წიგნი

ლათინურ ენაზე, მაგრამ ამით არ დასრულებულა ერჰარდ რეუვიჩის საგამომცემლო საქმიანობა. მან 1486 წლის 21 ივნისს ნაშრომი გამოაქვეყნა გერმანულად, ხოლო 1488 წლის 24 მაისს გამოვიდა მშობლიურ ფლამანდიურ დიალექტზე. სამივე გამოცემა დაიბეჭდა დიდ (in folio) ფორმატზე. ლათინურ გამოცემაში გახლდათ 164 ფურცელი, გერმანულში კი - 180.

წიგნს არ ჰქონდა სატიტულე ფურცელი. პირველი გვერდი, როგორც ეს ინკუნაბულებისთვის იყო დამახასიათებელი, ცარიელი გახლდათ. მის უკანა მხარეს კი განთავსებული იყო ფრონტისპისი – კომპოზიცია, რომლის ცენტრს წარმოადგენდა თავსაბურავითა და ელეგანტური ტანისამოსით შემოსილი, კვარცხლბეკზე მდგომი ქალბატონი – მაინცის ალეგორიული გამოსახულება. კვარცხლბეკის ძირში მხატვარმა გამოსახა გერბული ფარი და რაინდის ჩაფხუტი. ეს იყო მოგზაურობის მონანილეთა გერბი. გრავიურის ზედა მხარეს მცენარეულ ორნამენტში მიმოფანტული მოთამაშე ბავშვების გამოსახულებებია. გამოცემას წინ დაურთეს მიძღვნის ტექსტი მაინცის მთავარეპისკოპოს ბერტოლდ ფონ ჰენებერგისადმი, რომელმაც ხელი შეუწყო მოგზაურობას და დააფინანსა წიგნის ბეჭდვა.

ტექსტი იწყება ორნამენტული ასონიშნით, რომელშიც ჩახატულია ფონ ჰენებერგის გერბი. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში ბეჭდური მეთოდით შესრულებულია მხოლოდ სამი ინიციალი, დანარჩენი ხელით არის ჩახატული. წიგნის ბეჭდვის პრაქტიკაში ეს მიღებული მეთოდი გახლდათ. ის, რისი დაბეჭდვაც ტექნიკურ სირთულეს წარმოადგენდა ხელით იხატებოდა დაუბეჭდავად დატოვებულ ცარიელ ადგილებზე. ამისათვის მომხატველები ძირითადად წითელ და ლურჯ საღებავებს იყენებდნენ. მთელი ტირაჟის მოხატვა, რა თქმა უნდა, ადვილი არ იყო და ხშირად დაუბეჭდავი ადგილები მოუხატავიც რჩებოდა.

წიგნის ფორმატი 29.8 × 21.3 სმ. გახლდათ და თითოეულ გვერდზე განთავსებული იყო 42-44 სტრიქონი. ძირითადი ტექსტის დაწყებამდე წიგნში დაბეჭდილია ინფორმაცია ერჰარდ რეუვიჩის შესახებ. როგორც უკვე ვთქვით, ეს პირველი შემთხვევა იყო და მოწმობდა მხატვრის მთავარ როლს წიგნის გაფორმებასა და შექმნაში. მის მიერ დახატული ქალაქებისა და კუნძულების პანორამებზე მრავალი შესანიშნავი დეტალია აღბეჭდილი. წიგნში დიდი ზომის ნახაზების განთავსება ადვილი არ



იერუსალიმის წმინდა სამარხის ეკლესიის შესასვლელი. ხელით მოხატული ქსილოგრაფიურა.

იმ დროისთვის გამოქვეყნებულ ყველა გამოცემაზე უკეთესი ყოფილიყო. გამოცემისათვის შრიფტები ცნობილი მაინცელი მესტამბის - პეტერ შეფერისაგან შეიძინეს.

1486 წლის 12 თებერვალს გამოიცა „მოგზაურობა წმიდა მიწაზე“. წიგნი თავდაპირველად დაიბეჭდა





ერჰარდ რეუვიჩის  
სამარკო ნიშანი

ბულ ფურცლებს იყენებდა. პანორამის მთლიანი ზომა 26,7 × 163.8 სმ აღმოჩნდა. ეს დაახლოებით რვა ფურცლის ზომა გახლდათ. წიგნში ასეთი დიდი ილუსტრაციის ჩასადებად რეუვიჩმა გადაწყვიტა ის რამდენჯერმე გადაეკეცა. ამ ტექნიკამ წიგნის ბეჭდვის პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებული სახე მიიღო.


იყო. ამიტომ ოსტატმა გადაწყვიტა გამოეყენებინა მანამდე უცნობი ტექნიკა: ვენეციის ამსახველ გრავიურაზე მუშაობისას, მან ოთხი საგრავიურო დაფა ამოჭრა, რომლებსაც ოსტატურად აერთებდა ბეჭდვის დროს. დიდი ზომის ქალაქის მისაღებად ოსტატი ერთმანეთზე გადაწებულ

წარმოადგენდა. ზღვის გასწვრივ კი გონდოლები და პატარა გემებია აღბეჭდილი.

წიგნი მთავრდება კოლოფონით, საგამომცემლო ცნობებითა და ერჰარდ რეუვიჩის სამარკო ნიშნით, რომელზეც გამოსახულია ჩალმით თავშებურული ქალის გამოსახულება ხელში საგამომცემლო ნიშნიანი ფარით.

პოპულარული წიგნი მრავალჯერ გამოიცა. ჯერ კიდევ 1488 წელს, ის გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ანტონ ზორგემ აუგსბურგში. მან ხელახლა დახატა გრაფიკული ილუსტრაციები, მაგრამ ვერ შეძლო ქალაქების პანორამების რეპროდუცირება. სხვაგვარად მოიქცა სპეიერელი პიტერ დრახი, რომელმაც 1490 წლის ლათინურ გამოცემაში ერჰარდ რეუვიჩის ორიგინალი დაფები გამოიყენა. ორიგინალურ გრავიურას ვხვდებით 1490 წელს, ლიონში, გასპარ ორტუინის მიერ დაბეჭდილ პირველ ფრანგულ გამოცემაშიც. წიგნი 1498 წელს ესპანურ ენაზე დაბეჭდა პაულ ხურუსიმ.

ბერნარდ ფონ ბრეიდენბახის „მოგზაურობა



წიგნში განთავსებული დიდი ზომის ილუსტრაცია. პანორამული ხედი - კუნძული როდოსი.

მხატვრული თვალსაზრისით არაჩვეულებრივად შესრულებული გრავიურების საშუალებით მკითხველის წინაშე იშლება ქალაქის დეტალური გამოსახულება თავისი ცნობილი არხებით, შესანიშნავი ნაგებობებით, ბორცვებით, ხეებითა და გამწვანებული ჰორიზონტით. პანორამის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დოჟების სასახლე - რესპუბლიკის რეზიდენცია. მის წინ ვენეციის მფარველის - წმინდა მარკოზის ბაზილიკა. სასახლის მახლობლად მოჩანს კამპანია - კოშკი, რომელიც XII საუკუნეშია აგებული და ეკლესიის საკუთრებას

წმინდა მიწაზე“ მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ბეჭდვითი ხელოვნების განვითარებაში. ხელოვნების ისტორიკოსები თვლიან, რომ რეუვიჩმა ხის გრავიურების დამზადებისას პირველად გამოიყენა ჯვარედინშტრიხოვანი ჭრის მეთოდი, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდიდა გამოსახულების ვიზუალურ შესაძლებლობებს. მხატვარი გრავიურების ახალი ტექნიკის, ე.წ. „მშრალი ნემსის“ ფუძემდებელი, ლითონის საგრავიურო დაფაზე გამოსახულების ამოკანჭრისას არ იყენებდა მჟავას. ამ გზით ამოტვიფრული ნამუშევრები გამოირჩეოდნენ





წიგნში განთავსებული პანორამული ილუსტრაცია


ვიჩმა მოგზაურობის დროს ხმელთაშუა ზღვის მცენარეების უფრო ხარისხიანი ჩანახატები გააკეთეს, თუმცა ისინი გამოცემაში ვერ განათავსეს, რადგან შეფერმა ნაშრომი მათ დაბრუნებამდე 1484 წელს დაბეჭდა. ის ყველაზე ძველი ნაბეჭდი წიგნია სამკურნალო მცენარეებისა და ფარმაცოლოგიის შესახებ. ენციკლოპედიურმა ალბომმა დიდი გამოხმაურება მოიპოვა. არსებობს მისი მეორე გამოცემა, რომელსაც „ბალახების ლათინურ წიგნსაც“ უწოდებენ.

ერჰარდ რეუვიჩი გარდაიცვალა მაინცში, სავარაუდოდ, 1505 წლამდე. პოლიგრაფიული ხელოვნების მკვლევარებმა მას

„სირბილით“. გრავიორის მიერ გამოყენებული ნემსები ტოვებდნენ ღრმა ღარებს. ამავდროულად, ყოველი შტრიხი ხასიათდებოდა თხელი დასაწყისით და დაბოლოებით. ასეთი საგრავიურო დაფის საშუალებით იბეჭდებოდა ღრმა ბეჭდვის ეფექტის მქონე გრავიურა.

ღირსეულად უწოდეს „წიგნის სახლის ოსტატი“. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ წიგნების გამოცემის შემდეგ, შემეცნებითი ჟანრი გახდა ბეჭდური წიგნის ხელოვნების ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი.

ერჰარდ რეუვიჩმა შეასრულა ილუსტრაციები ბერნგარდ ფონ ბრაიდენბახის წიგნისათვის „სამკურნალო ბალახების შესახებ“. ავტორმა წიგნის გამოცემა დაუკვეთა ცნობილ გერმანელ მესტამბე-გამომცემელს პეტერ შეფერს (1425/30–1503). 1470 წელს დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები წიგნის დასაბეჭდად. 1483 წელს დასრულდა ტექსტზე მუშაობა და იგი სტამბას გადაეცა, თუმცა ილუსტრაციების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. ბრაიდენბახმა და რეუ-



ბერნჰარდ ფონ ბრაიდენბახი. „სამკურნალო ბალახების შესახებ“.



**ბიბლიოთეკათმცოდნეობა: საბიბლიოთეკო საქმისწარმოება**



**თინათინ ლომჯარია**

საბიბლიოთეკო ფონდი - ეს არის ბიბლიოთეკის, როგორც სისტემის ფუნდამენტი. ის ასრულებს საბაზისო ფუნქციას ბიბლიოთეკის საქმიანობაში. ფონდის გარეშე ბიბლიოთეკა ვერ შეასრულებს იმ ფუნქციებს, რომლებიც მას აკისრია. თუ არ არსებობს ფონდი - არ არსებობს ბიბლიოთეკაც.

საბიბლიოთეკო ფონდი ეს არ არის მხოლოდ ბეჭდური პროდუქციის საწყობი. ეს არის სივრცე, რომელშიც აღრიცხული მასალის საშუალებით შეგიძლია მოიპოვო ან აღმოაჩინო შენი ინტერესის შესაბამისი ნებისმიერი საგანი; სივრცე, სადაც ინახება ქვეყნის ბეჭდური საგანაძური და ამ საგანძურს სჭირდება პროფესიული მართვა.

**რ**ვენ გვესმის, რომ ყველა ბიბლიოთეკას აქვს თავისი შინაგანაწესი, საკუთარი მიდგომები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ძირითადად სააღრიცხვო პროცესებთან მიმართებაში, მაგრამ არსებობს რამდენიმე სააღრიცხვო ფორმა, რომელთა გამოყენება ყველა ბიბლიოთეკისთვის არის აუცილებელი საბიბლიოთეკო ფონდების მაღალი ხარისხით მართვისათვის. სწორედ ამ სააღრიცხვო ფორმებს და მათ სწორად გამოყენებას ეხება ეს სტატია, რომელიც დაეხმარება მცირე და საშუალო მოცულობის რეგიონალურ ბიბლიოთეკებს პროფესიულ საქმისწარმოებაში.

**საბიბლიოთეკო ფონდები:  
მართვა, აღრიცხვა**

**პირველი რიგის წესები, თუ რა უნდა გავაკეთოთ ფონდების ხარისხიანად მართვისათვის:**

- ✓ კარგად უნდა ვიცნობდეთ არსებულ ფონდს;
- ✓ უნდა შეგვეძლოს ახალშემოსული მასალებიდან მუდმივადშესანახი დოკუმენტების შერჩევა ფონდებში ჩასარიცხად;
- ✓ უნდა შეგვეძლოს ფონდებში დანაკლისი მასალების მოძიება და შევსება;
- ✓ ფონდის პროფილიდან გამომდინარე, უნდა შეგვეძლოს შესაძენი ლიტერატურის სიების შედგენა;
- ✓ უნდა ვიცოდეთ წიგნის შეფასება და შევაფასოთ შეუფასებელი დოკუმენტები (ეროვნულ ვალუტაში)
- ✓ მანეთებში შეფასებული წიგნები გადავიყვანოთ ლარში შესაბამისი კოეფიციენტების გამოყენებით;
- ✓ ვაწარმოოთ მიღება-ჩაბარების აქტები;
- ✓ შეფასებული წიგნების აქტები გადავცეთ ბუღალტერიას ბალანსზე ასაყვანად;
- ✓ ვაწარმოოთ ფონდებიდან დოკუმენტების გარიცხვის აქტები;
- ✓ უნდა ვიცოდეთ ფონდიდან დოკუმენტების გარიცხვის მიზეზები (მაგ. დეფექტური ეგზემპლარი და ა.შ.);
- ✓ გარიცხვის ყველა მიზეზზე შევადგინოთ გარიცხვის აქტი ცალკ-ცალკე;
- ✓ გასარიცხ აქტებში წიგნები შეფასებული უნდა იყოს ლარში;
- ✓ ფონდიდან გარიცხული წიგნების აქტები განვიხილოთ ინვენტარიზაციის კომისიაზე და დავამტკიცოთ კომისიის წევრების ხელმოწერებით;
- ✓ ფონდიდან გარიცხული და ლარში შეფასებული წიგნების აქტები გადავცეთ ბუღალტერიას ჩამოსაწერად;
- ✓ წიგნსაცავში დავიცვათ სისუფთავე და ჰიგიენური ნორმები;
- ✓ უნდა ვაწარმოებდეთ ინვენტარის წიგნებს;
- ✓ უნდა ვაწარმოებდეთ ჭამური აღრიცხვის წიგნების სამივე ნაწილს;
- ✓ ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა შევქმნათ ინვენტარიზაციის კომისია.



**რა არ უნდა გავაკეთოთ:**

- ✓ არ შეიძლება შეუფასებელი წიგნის ფონდში ჩარიცხვა;
- ✓ ჭარბი ეგზემპლარები არ ჩავწეროთ მაკულატურისთვის განკუთვნილ გარიცხვის აქტში;
- ✓ არ მივანიჭოთ მკითხველის მიერ დაკარგულის სანაცვლოდ შემოტანილ წიგნს იგივე შენახვის შიფრი. ის უნდა გატარდეს მიღების აქტში და მიენიჭოს ახალი ნომერი.
- ✓ თუ დაუდგენელი მიზეზით დაიკარგა, მაშინ გავრიცხოთ ფონდიდან. აქტს უნდა მიეთითოს „დაუდგენელი მიზეზით დაკარგული“ და ჩამოვწეროთ;
- ✓ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოინეროს მხატვრული ლიტერატურა და ლექსიკონები, ანუ წიგნები, რომლებიც არ ექვემდებარება შინაარსობრივად მოძველებას;
- ✓ პირდაპირ საცავიდან წიგნი არ უნდა გავცეთ. წიგნის გაცემის დროს მივუთითოთ ვადა, რამდენი დღით გაიტანა მკითხველმა წიგნი;
- ✓ წიგნის შენახვის შიფრებში არ გამოვიყენოთ ქართული ანბანის ასოები (პროგრამა ვერ კითხულობს).

**მაშ ასე, ყველამ ვიცით, რომ:**

- ✓ ბიბლიოთეკაში ახალშემოსული დოკუმენტების მიმღები და პირველი აღმრიცხველი არის დაკომპლექტების განყოფილება;
- ✓ განყოფილება ღებულობს შეძენილ ახალშემოსულ მასალებს ზედნადებებთან ერთად და ადარებს მიღებულ ერთეულებთან;
- ✓ ახორციელებს პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტის შედგენას თანმხლები დოკუმენტაციის გარეშე შემოსული დოკუმენტებისთვის;
- ✓ შემოსულ პარტიაზე დაკომპლექტებაში დგება **მიღება-ჩაბარების** აქტი. თითოეულ პარტიაზე დგება ცალ-ცალკე;
- ✓ აქტის ნომრების რიგითობა იცვლება თანმიმდევრულად, შემოტანის წყაროს მიხედვით;
- ✓ სავალდებულოა მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ყველა რეკვიზიტის შევსება;
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტი არ არის მხოლოდ შემოსული მასალის დაფიქსირების დოკუმენტი. ის არის მრავალფუნქციური აქტი, რომელიც მოიცავს საბიბლიოთეკო პროცესების მრავალ ასპექტს, როგორც არის ახალშემოსული შეძენილი დოკუმენტების გაფორმება, ასევე სა-

ჩუქრის, შემოწირულობის, მკითხველის მიერ დაკარგული დოკუმენტის სანაცვლოდ შემოტანილის, ფოსტით მიღებულის და სხვა პროცესების გაფორმება;

- ✓ განყოფილება შემოსულ მასალებს ადარებს ფონდში არსებულ ერთეულებთან. დუბლირებულ ან ჭარბ ეგზემპლარებს აწვდის სხვა ბიბლიოთეკებს. ფონდში ჩასარიცხ შეუფასებელ დოკუმენტებს აფასებს და ანიჭებს ინვენტარის ნომრებს;
- ✓ აწარმოებს საინვენტარო წიგნს და ჯამური აღრიცხვის წიგნებს და ბულალტერიასთან ერთად აპყავს ბალანსზე;
- ✓ უნდა აღინიშნოს, რომ პირველადი აღრიცხვის მიღება-ჩაბარების აქტის ნომერი გადადის საინვენტარო წიგნის შესაბამის გრაფაში, ელექტრონული კატალოგის შესაბამის ველში და ა.შ.
- ✓ მიღების აქტში განვასხვავოთ შეძენილი და საჩუქრად შემოსული მასალები. სასურველია ეს აქტის ნომერშივე მოხდეს. შეძენილ მასალებზე ნომერს წინ დაემატოს ასო „შ“, ხოლო საჩუქარს და შემოწირულობას ასო „ი“. აქტის ნომერი მზარდია და ყოველ წელს იწყება 1 ნომრიდან და ნომერს ემატება ბიბლიოთეკაში შემოსვლის წელი.

მაგალითი, თუ როგორი სახე შეიძლება ჰქონდეს ნომერს: ი1/2020, ი200/2020, შ102/2020.

დაკომპლექტების განყოფილებას შეუძლია არ მიიღოს და ფონდებში არ ჩარიცხოს არაპროფილური და ჭარბი ეგზემპლარები. ისინი შესაძლოა გადასცეს სხვა ბიბლიოთეკებს ან 1 თვის განმავლობაში დაუბრუნოს მჩუქებელ ან შემომწირველ პირს ან ორგანიზაციას.

**იხ. განახილ N1**

**საბიბლიოთეკო ფონდებიდან დოკუმენტების გარიცხვა და ფონდების განახლება**

- ✓ ფონდის განახლების ერთ-ერთი საშუალებაა მისი განთავისუფლება ზედმეტი და გამოუსადეგარი ან დაზიანებული ლიტერატურისგან;
- ✓ ვერასდროს განახლდება ფონდი, თუ პერიოდულად არ მოხდა ფონდებიდან არასაჭირო მასალების გარიცხვა;
- ✓ გარიცხვას უნდა ჰქონდეს სისტემატური სახე;





- ✓ არასდროს დავაგროვოთ და შევინახოთ ფონდში გასარიცხი მასალა. ამით დაირღვევა ფონდის განახლების ბალანსი;
- ✓ არსებობს ფორმულა, რომლის მიხედვით შემოსული ლიტერატურის რაოდენობა უნდა აჭარბებდეს გარიცხულ ლიტერატურას;
- ✓ თუ ფონდში დაგროვდა წლების განმავლობაში გაურიცხავი ლიტერატურა, ის გადააჭარბებს შემოსულს და დაარღვევს ფონდის განახლების ბალანსს;
- ✓ დოკუმენტების გარიცხვა საბიბლიოთეკო ფონდიდან განისაზღვრება შემდეგი მიზეზებით: არაპროფილურობა, ფიზიკურად მოძველება, დეფექტიანობა, შინაარსობრივად მოძველება, ქარბი ეგზემპლარობა, დაკარგვა;
- ✓ გარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საბიბლიოთეკო ფონდის შემადგენლობის ანალიზი და მისი შემოწმების შედეგები.  
საბიბლიოთეკო ფონდიდან დოკუმენტის გარიცხვა მოიცავს შემდეგ პროცესებს და ოპერაციებს:

### გარიცხვის მიზეზების ახსნა

არაპროფილური ნიშნავს დოკუმენტების შეუსაბამობას დაკომპლექტების პროფილთან, აგრეთვე ქარბ ეგზემპლარობას;

დოკუმენტის მოძველება ნიშნავს ბუნებრივ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას;

დეფექტიანობა ნიშნავს დოკუმენტის საექსპლოატაციო თვისებების ნაწილობრივ ან მთლიან დაკარგვას გარეგანი ზემოქმედების შედეგად, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას;

შინაარსის მიხედვით მოძველება ნიშნავს თემატიკის აქტუალობის, მასზე მკითხველთა მოთხოვნის დაკარგვას;

დაკარგული ნიშნავს დოკუმენტის ფონდში არარსებობას დაუდგენელი მიზეზის გამო.

- ✓ ბიბლიოთეკაში შექმნილი სპეციალური კომისიის (საინვენტარიზაციო კომისია) მიერ გასარიცხად მიწოდებული დოკუმენტების სიის გადასინჯვა;
- ✓ საბიბლიოთეკო ფონდიდან გასარიცხი დოკუ-

მენტების შემაჯამებელი აქტის გაფორმება და დამტკიცება ჩამონერის შესახებ;

- ✓ გარიცხული დეფექტიანი ან შინაარსობრივად მოძველებული დოკუმენტების მაკულატურაში გადაცემა;
- ✓ გარიცხულ დოკუმენტებზე გარიცხვის აქტების შედგენა და გაფორმება სიების თანდართვით, შემდეგ ბუღალტერიისთვის გადაცემა.
- ✓ ბუღალტერიას გადაეცემა თანხობრივად შეჯამებული აქტები.
- ✓ გარიცხვის აქტი წარმოადგენს საფუძველს საბიბლიოთეკო ფონდის საბუღალტრო აღრიცხვაში ცვლილებების შესატანად და საბუღალტრო აღრიცხვიდან მოსახსნელად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფონდებიდან დოკუმენტების გარიცხვა ყოველთვის არ ნიშნავს ფონდებიდან ლიტერატურის ჩამონერას მაკულატურისთვის.

ფონდებიდან გარიცხვა არის საბიბლიოთეკო ტერმინი, ხოლო ჩამონერა - საბუღალტრო ტერმინია. ბიბლიოთეკარი შეარჩევს ფონდისთვის უვარგის ლიტერატურას, შესაბამისი მიზეზით გარიცხავს საბიბლიოთეკო ფონდიდან ფასების მითითებით. გარიცხვის აქტებს წარუდგენს ინვენტარიზაციის კომისიას და დაამტკიცებს კომისიაზე, შემდეგ შედგება ჩამონერის აქტი და ბუღალტერია ჩამონერს გარიცხული ლიტერატურის თანხებს საბუღალტრო ბალანსიდან. ჩამონერილი დოკუმენტები ბიბლიოთეკარმა უნდა ამოიღოს ყველა სააღრიცხვო ფორმიდან და ბარათული თუ ელექტრონული კატალოგებიდან. ეს პროცესი ნიშნავს, რომ აღნიშნული დოკუმენტები გადაეცემა მაკულატურას.

რაც შეეხება ქარბ ეგზემპლარებს და არაპროფილურ ლიტერატურას, ისინი გაირიცხება ფონდებიდან, გარიცხვის აქტები მიეწოდება საინვენტარიზაციო კომისიას, ჩამონერება ბალანსიდან, ამოვა სააღრიცხვო ფორმებიდან, მაგრამ მაკულატურას არ გადაეცემა და შესაძლოა სხვა ბიბლიოთეკას გადაეცეს უსასყიდლოდ.

**იხ. განახიი N2**



დანახი 1

დანახი 2

მიღება-ჩაბარების  
აქტი № ი1/2020

„ \_\_\_\_\_ “ \_\_\_\_\_ 2020 წელი

ორგანიზაცია, ავტორი, კერძო პირი \_\_\_\_\_

შემოვიდა \_\_\_\_\_  
(დოკუმენტის სახეობა)

\_\_\_\_\_ ღირებულებით \_\_\_\_\_ ლარი  
(რაოდენობა)

ჩააბარა \_\_\_\_\_  
(გადამცემი: ორგანიზაცია, ავტორი, კერძო პირი)

მიიღო \_\_\_\_\_  
(მიმღები: დაკომპლექტების განყოფილება)

რიგითი №	მიმარ-თულუბა	საინვენტარო №	ავტორი, სახელწოდება	გამოც. წელი	ეგზ. ფასი (ლ.თ.)	შენიშვნა

სულ რაოდენობა \_\_\_\_\_ ეგზ.      სულ თანხა \_\_\_\_\_ ლარი

ძირითად ფონდებში ჩაირიცხა \_\_\_\_\_ ეგზ.      ღირებულებით \_\_\_\_\_ ლარი

ფონდებში არ ჩაირიცხა \_\_\_\_\_ ეგზ.      ღირებულებით \_\_\_\_\_ ლარი

გადასცა \_\_\_\_\_  
(დაკომპლექტების განყოფილება)

მიიღო \_\_\_\_\_

ბიბლიოთეკის ფონდებიდან დოკუმენტების გარიცხვის  
აქტი № \_\_\_\_\_

ვამტკიცებ: \_\_\_\_\_  
ბიბლიოთეკის დირექტორი  
(ხელმოწერა)

„ \_\_\_\_\_ “ \_\_\_\_\_ 2020 წ.

სტრუქტურული ქვედანაყოფი \_\_\_\_\_

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის კომისიის  
შემადგენლობა \_\_\_\_\_  
(თანამდებობა, გვარი, სახელი)

ბიბლიოთეკაში №... ბრძანებით დანიშნულმა კომისიამ ჩაატარა არსებული წიგნების შემოწმება და დადგინდა, რომ სიაში ჩამოთვლილი წიგნები შინაარსობრივად მოძველებულია, ფიზიკურად გაცეითილია და ექვემდებარება ჩამოწმებასა და აღრიცხვიდან მოხსნას.

კომისიის თავმჯდომარე \_\_\_\_\_  
(თანამდებობა, ხელმოწერა)

კომისიის წევრები \_\_\_\_\_  
(თანამდებობა, ხელმოწერა)

ჩამოწერილი ლიტერატურა ჩაბარებულია ნედლეულის მეთარდადამამუშავებელ ორგანიზაციაში ქვეთით  
„ \_\_\_\_\_ “ \_\_\_\_\_ 2020 წ.

კომისიის თავმჯდომარე \_\_\_\_\_  
(თანამდებობა, ხელმოწერა)

კომისიის წევრები \_\_\_\_\_  
(თანამდებობა, ხელმოწერა)

სია № \_\_\_\_\_ აქტისთვის

რიგითი №	საინვენტარო №	ავტორი, სათაური, ტომი, ნაწილი, გამოშვება	გამოც. წელი	ეგზ. რაოდ.	ეგზემპლარის ფასი (ლარი, თეთრი)





**საქართველოს ბიბლიოთეკები  
კანდიდიის პირობებში**

აქ, ამ სხეობში...



**ნანული ცხვედიანი**

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკარი, ჟურნალისტი

იცით, ბავშვობაში ყველაზე დიდი ხალისით სად დადიოდა ჩვენი გამოჩენილი მწერალი, დრამატურგი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე? იმაზე თუ გსმენიათ, შეყვარებული ქუთაისელი ინტელექტუალები, სად უნიშნავდნენ ერთმანეთს პაემანს?

რა თქმა უნდა, საჯარო ბიბლიოთეკაში!

ქუთაისის ცენტრში, ზაქარია ფალიაშვილისა (ყოფილი მიხაილოვის) და ლილი ნუცუბიძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ეს სამსართულიანი შენობა ხომ მრავალი თაობის ნაფიქრალსა და ნაოცნებარს ინახავს. სწორედ აქ 1934 წლიდან შენობის მეორე და მესამე სართულზე ბინა დაიდო ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკამ, რომელიც არის ცნობილი ქუთაისელი საზოგადო მოღვაწის, ანტონ ლორთქიფანიძის მიერ 1873 წელს შექმნილი პირველი საზოგადოებრივი სამკითხველოს პირდაპირი მემკვიდრე. ანტონ ლორთქიფანიძე იყო ქუთაისის საბჭოს ხმოსანი დეპუტატი და ქალაქის თავის მოადგილე. ამ დიდებულმა ადამიანმა საკუთარი ბიბლიოთეკის ფონდი უანგაროდ გადასცა ქალაქის გამგეობას, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის შექმნას.

საჯარო ბიბლიოთეკის შენობა თავადვეა საინტერესო ისტორიის მქონე: მისი პირველი და მეორე სართული 1860-იან წლებში ააშენა ქუთაისელმა მოქალაქე სტეფანე აკოფოვმა. ადგილმდებარეობისა და კომფორტულობის გამო, სწორედ აქ დაიდო ბინა 1875 წელს დაფუძნებულმა ქალაქის თვითმმართველობამ და სათათბირომ. 1890-იანი წლების ბოლოს სახლი ებრაელმა კომერსანტმა არონ ელიგულაშვილმა შეიძინა. მომდევნო პერიოდში შენობის მეორე სართულზე განთავსდა აზოვ-დონის კომერციული ბანკი, პირველზე კი - სხვა-

დასხვა სავაჭრო დაწესებულება. 1914 -15 წლებში, იმ დროისათვის მეტად პოპულარული შვედი ინჟინრის, ერის ფრიკეს პროექტით, შენობას დააშენეს ძველი ნაგებობის სადა ფონისაგან მკაფიოდ გამოკვეთილი მესამე სართული, რომელიც დამშვენებულია ფართო აივნით, ულამაზესი თაღებით, ორნამენტებით, რუსტიკითა და შიდა სივრცისათვის განკუთვნილი საინტერესო დეტალებით.

**დ**ღეს ბიბლიოთეკის მდიდარ ფონდებში დაცულია როგორც თანამედროვე, ასევე ძველი ქართული და უცხოურენოვანი ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, სხვა ტიპის საბიბლიოთეკო დოკუმენტები. განსაკუთრებით საინტერესოა თვით ანტონ ლორთქიფანიძის დროიდან შემორჩენილი უნიკალური ძველი ქართული და უცხოური წიგნები, დასავლეთ საქართველოს სტამბებში დაბეჭდილი პირველი ქართული პერიოდული გამოცემების სრული და არასრული კოლექციები.

უცხოენოვანი წიგნების უძველეს ნიმუშებს შორის არის მე-16 საუკუნის ერთი გამოცემა, რომლის სულ ორი ეგზემპლარია მსოფლიოში შემორჩენილი.

**ბ**იბლიოთეკის ფართო აივანზე ხშირად შენიშნავთ უცხოელ ტურისტებს, რომლებიც, საკითხველო დარბაზებში სტუმრობის შემდეგ, ამ წერტილიდან ცდილობენ ბულვარისა და ქალაქის ცენტრის ულამაზესი ხედის გადაღებას.

ჩვენ გვყავს თურქული, არაბული, ინგლისური, გერმანული, რუსული, იტალიური, ფრანგული ენების მცოდნე თანამშრომლები, რომლებიც მათ მშობლიურ ენებზე აწვდიან სასურველ ინფორმაციას ქალაქისა და რეგიონის ღირსშესანიშნაობების შესახებ, აცნობენ ბიბლიოთეკაში დაცული, მათთვის საინტერესო გამოცემების შინაარსს.

ტურიზმის მზარდი განვითარების პირობებში, ბოლო წლებში ჩვენს ტრადიციულ მკითხველს მრავლად შემოემატნენ გიდები, ტუროპერატორები, ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანები - როგორც ქუთაისის, ასევე რეგიონის მცხოვრებლები. მათ განსაკუთრებულად აინტერესებთ ინფორმაცია ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, კულტურის, საზოგადოებრივი ურთიერთობების, ქალაქმშენებლობის შესახებ, გამოჩენილ თანამემამულეთა ბიოგრაფიები, ცალკეულ შენობათა და ნაგებობათა ისტორიები, ტო-



პონიმიკა... შესაბამისად, დიდი მოთხოვნაა სერგი მაკალათიას, თედო სახოკიას, ბესარიონ ნიჟარაძის, ვახტანგ ჯაოშვილის, ოთარ ლორთქიფანიძის, მიხეილ ნიკოლეიშვილის, პეტრე ვაჭრიძის, გურამ გაბუნიას, გივი ელიავას, ომარ ლანჩავასა და სხვათა წიგნებზე. ბოლოხანს რეგიონის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებმა ავტორებმაც მეტად საინტერესო წიგნები გამოსცეს მშობლიური რაიონის, ქალაქისა თუ სოფლების შესახებ. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, მკითხველს შევთავაზოთ: ალექსანდრე ბუცხრიკიძის (თერჯოლა), ციალა ღვინიაძის (წყალტუბო), ავთანდილ ფაილოძის (ხონი), იზა ვეფხვაძის (ხარაგაული), ბექა ქერშავეთელის, ზურაბ თოლორდავას (ბაღდათი) და სხვათა წიგნები, რომლებშიც დაცულია დიდძალი საყურადღებო მასალა.

მკითხველს ვთავაზობთ მნიშვნელოვან გამოცემებს და პერიოდულ პრესაში დაცულ მასალას ვანის, ქუთაისისა და რეგიონის არქეოლოგიის, ბაგრატიის ტაძრისა და ციტადელის, გელათის სამონასტრო ტაძრის, გეგუთის სამეფო სასახლის, მწვანეყვავილას ისტორიული ნაგებობების, რეგიონის ეკლესია-მონასტრების, ციხესიმაგრეების შესახებ. ქალაქში მრავლად შემოსული ებრაელი ტურისტებისა და მათი გიდებისათვის მეტად საინტერესოა მასალები ქუთაისის ებრაელთა უბანზე, სინაგოგებზე, ებრაელთა საიდუმლო სავაჭრო ენაზე. განსაკუთრებული მოთხოვნაა ბუნების ძეგლებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. მეტად აინტერესებთ ყუმისთავის, პრომეთეს მღვიმე, სათაფლიის მღვიმე და ნაკრძალი, ნავენახევის, ძეგრის მღვიმეები, ცუცხვათის გამოქვაბული - ცამეტსართულიანი ნასახლარით, ძუძუნას მღვიმე ჭიათურაში, სადაც მოპოვებულია მსოფლიოში უძველესი სელის ბოჭკო, ოკაცეს კანიონი, კინჩხის წყალვარდნილი, კაცხის სვეტი ჭიათურაში, ზეკარის ხეობა, მთის ტბები, მდინარეები, წყალწითელასა და სხვა ხეობების მღვიმეები - პირველყოფილ ადამიანთა ნასახლარით და ა. შ. იმერეთის გეომორფოლოგიის ცნობილი მკვლევარისა და მრავალი სამეცნიერო წიგნის ავტორის, იმერეთის ტურისტულ-საექსკურსიო მარშრუტების ამსახველი ორი უნიკალური ტომის შემქმნელის, პროფესორ ოთარ ჩხეიძის ნაშრომები ამ მიმართულებით მართლაც ფასდაუდებელია.

ქუთაისთან დაკავშირებული ტურისტული ობიექტების ჩამონათვალში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 170 წლის ისტორიის მქონე ბულვარი, რომელთანაც დაკავშირებულია აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, კირილე ლორთქიფანიძის, კირილე ზდანევიჩის, მამია გურიელის, გალაკტიონის, ცისფერყანწელებისა და სხვა გამოჩენილ

ადამიანთა სახელები, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენები, ფაქტები. ჩვენ მრავალფეროვან მასალას ვანვდით მკითხველს ბულვარის შესახებ, რომელიც ყოველთვის იყო საზოგადოებრივი აზრის საფიხვნო და ამისთვის აკაკიმ მას „ქუთაისის პარლამენტიც“ კი უწოდა. მკითხველს აინტერესებს მასალები დავით და სერგო კლდიაშვილების, დავით კაკაბაძის, პირველი ოპერატორის ვასილ ამაშუკელის, რეზო ჭეიშვილის, რეზო გაბრიადის, ოტია იოსელიანის და ჩვენს რეგიონში დაბადებული სხვა მოღვაწეების, მათი სახლ-მუზეუმების, მშობლიური სახლების, მემორიალური დაფებისა და სხვა დეტალების შესახებ, აინტერესებთ მწვანეყვავილას საზოგადო პანთეონში განსვენებული ადამიანები, ძველი ქუჩებისა და უბნების ისტორიები, ტოპონიმები. სულ ახლახან განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა ქუთაისში, ჭომის უბანში მდებარე, მდინარე რუას უძველესი სამკურნალო აბანოები.

ტურისტებს ჩვენგან სურთ დამატებითი ინფორმაციის მიღება ქუთაისში განთავსებულ ისტორიულ ნაგებობებსა და მემორიალურ ძეგლებზე. მაგალითად, ქართველი სტუდენტის მეშვეობით დაგვიკავშირდა ჩვენს ქალაქში ტურისტად ნამყოფი გერმანელი პროფესორი, რომელიც ძალზე დაინტერესებულია ქუთაისის ცენტრში მდებარე დიდი კერამიკული პანო „კოლხეთით“ (ავტორი რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ბერნარდ ნებიერიძე). ჩვენ მას გავუგზავნეთ საკმაოდ სრული და ამომწურავი ინფორმაცია.

**ბიბლიოთეკას ახლო კავშირი აქვს იმერეთის ტურიზმის ცენტრთან, ახალგაზრდა გიდების ასოციაციასთან, სხვა ორგანიზაციებთან და ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს მხარის ტურისტული პოტენციალის განვითარებაში, ქართული კულტურის, ჩვენი ისტორიის, ბუნების, პოპულარიზაციაში, ქალაქისა და რეგიონის სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვრაში. ჩვენ აქტიური დახმარება გავუწიეთ იმ ავტორებსა და საგამომცემლო ჯგუფებს, რომელთაც ბოლო პერიოდში ქუთაისისა და იმერეთის შესახებ გამოსცეს ტურისტული ბუკლეტები, ბროშურები, წიგნები, ალბომები, მოამზადეს სამეცნიერო და პოპულარული სტატიები.**

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოდ მოსაგონარია ის დღე, როცა ერთხელ ერთი უცხოური ჯგუფი შემოვიდა - 15-მდე პეტერბურგელი და მოსკოველი ტურისტი და მოკრძალებით, დიდი პატივისცემით ითხოვეს ნებართვა, რომ ენახათ ის ბიბლიოთეკა, სადაც ბავშვობაში დიდი რეზო გაბრიადე დადიოდა.



## საქართველოს ბიბლიოთეკები დაარსების ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა



**ნატალია ქყონია**

აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო  
ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს 1878 წელს ოსმალეთის მიერ მიტაცებული აჭარის დედასამშობლოს წიაღში დაბრუნება. კულტურულ-მწიგნობრივი საქმიანობის, ქართული სულისკვეთების აღდგენა-განმტკიცების მიზნით სკოლების გახსნისა და ქართული წერა-კითხვის გავრცელების პარალელურად, საჭირო იყო აჭარაში ქოხ-სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების დაარსება. იმხანად, არსებული ვითარებისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, ამ საკითხის დადებითად მოგვარება დიდ სიძნელეებთან გახლდათ დაკავშირებული. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, დიდი ილიას მეთაურობით, დაუცხრომლად იბრძოდნენ იმისათვის, რომ ეს ნამდვილად მამულიშვილური საქმე დადებითად გადაეჭრათ. პირველი ნაბიჯი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადადგა. მან 1881 წელს ბათუმში პირველი ქართული სკოლა გახსნა. სწორედ ამ სკოლის მასწავლებლები - მიხეილ შარაშიძე და ტერენტი წერეთელი იყვნენ ბათუმში ბიბლიოთეკის დაარსების მოთავეები, რომელთა ინიციატივასაც მთელი არსებით უჭერდნენ მხარს იმხანად ბათუმში მოღვაწე მამულიშვილები: დავით კლდიაშვილი, გრიგოლ ვოლსკი და ივანე მესხი.

1902 წლის მარტში გრიგოლ ვოლსკიმ ბათუმში ბიბლიოთეკის გახსნის საკითხი სათანადო განხილვისათვის წარადგინა ქალაქის მმართველობაში, სადაც თვითოვნი მუშაობდა იმ ხანად. ქალაქის გამგეობამ საკითხი დადებითად განაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება 1902 წლის 28 აპრილს გამართულ ბიბლიოთეკის საერთო კრებას მოხსე-

## აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

ნდა. კრებამ დამსწრეთა ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა ქალაქის გამგეობის ეს ნაბიჯი და მიიღო სათანადო დადგენილებაც, რომლის საფუძველზე, ბათუმში 1900 წელს დაფუძნებული საქალაქო-სახალხო ბიბლიოთეკა უნდა შერწყმოდა ახლად ჩამოყალიბებულ საჯარო ბიბლიოთეკას. ამავე კრებამ აირჩია ასევე საჯარო ბიბლიოთეკის საბჭოს ახალი შემადგენლობაც. ამ ახალ საბჭოში შევიდნენ შემდეგი პირები: ივანე ანდრონიკაშვილი, გრიგოლ ვოლსკი, ვ. ლორტინი, ე. ტურკინი და კ. ჩხეიძე.

1902 წელს ქალაქის თვითმმართველობამ ახლად დაფუძნებული ბიბლიოთეკის საჭიროებისათვის გამოჰყო თანხა - 1500 მანეთი, შემდეგ კიდევ - 1000 მანეთი. ქალაქის მმართველობის გადაწყვეტილების საფუძველზე 1902 წლის 13 ოქტომბერს ბიბლიოთეკას ქალაქის სახლში დაეთმო ორი ოთახი (მოგვიანებით - ქალაქის საბჭოს აღმასკომის შენობა) და დაიწყო მუშაობა საჯარო ბიბლიოთეკის სახელწოდებით. სავარაუდოა, რომ ბიბლიოთეკა იქ დიდხანს ვერ დარჩებოდა და ალბათ, მას ბინად მოსალოდნელია, რომ მას ბინად ადრინდელი სახალხო ბიბლიოთეკის შენობა დაუთმეს ე. წ. ნურიის ბაზართან. ქალაქის თავის, ლუკა ასათიანის სიცოცხლეში დაიწყო ერთსართულიანი შენობის აგება კომინტერნის ქუჩაზე (1900 წ.). ბიბლიოთეკა დიდხანს იყო განლაგებული საკმაოდ პატარა შენობაში მასწავლებლის სახლსა და ბაღს შორის, სადაც ამჟამადაც საქმიანობს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

იმ ხანებში ახლად დაფუძნებული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უმთავრესად იზრდებოდა ქველმოქმედებით, შემოწირული წიგნების სახით. პირველსავე დღეებში ბიბლიოთეკას წიგნები შეწირეს იმ დროისათვის ცნობილმა მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ: ნ. ს. დერჟავინი, ე. კ. ტურკინი, ა. რ. ივანოვი, ო. მ. კუზიატინა, ე. პრიმო და სხვები. მათგან ბიბლიოთეკამ ასევე შეიძინა 223 დასახელების წიგნი. ფონდის შევსება მოხდა აგრეთვე ქალაქის გამგეობისა და კერძო პირთა შემოწირულობათა წყალობით, რამაც 6068 ბეჭდვითი ერთეული შეადგინა. 1904 წელს შეწირულების სახით ბიბლიოთეკამ 100-მდე დასახელების წიგნი



მიიღო. ამ დროს ბიბლიოთეკას ჰქონდა 20 სხვადასხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთი. მრავლდებოდა მკითხველთა შემადგენლობაც. 1904 წელს პირველად ჩატარდა წიგნადი ფონდის საინვენტარო აღრიცხვა და შეიქმნა საკატალოგო მეურნეობა. 1905 წლისათვის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უკვე ორი ათას ეგზემპლარს შეადგენდა, მაგრამ 1905 წლიდან, რევოლუციური აღმავლობის დროს, მკვეთრად შემცირდა წიგნების შეძენა და პერიოდიკის გამოწერა; შემცირდა მკითხველთა რაოდენობაც, თუმცა მოგვიანებით ვითარება, როგორც ჩანს, რამდენადმე შეცვლილა - უკვე 1908 წლისათვის ბიბლიოთეკას 41 დასახელების პერიოდული გამოცემა აქვს გამოწერილი, რომელთაგან 6 იყო ქართული: „განათლება“, „ჯეჯილი“, „თემი“, „იმერეთი“, „ბათუმის გაზეთი“ და „სახალხო გაზეთი“.

1937 წელს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა გარდაიქმნა სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკად და მას მიენიჭა დიდი ქართველი მგოსნის, აკაკი წერეთლის სახელი. 1959 წლიდან ბიბლიოთეკის სტატუსი კიდევ უფრო გაიზარდა - იგი გადაკეთდა აჭარის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკად და გახდა რეგიონის ბიბლიოთეკების მეთოდურ-პრაქტიკული დახმარებისა და საბიბლიოთეკო მუშაობის კოორდინაციის ცენტრი. 1959-1963 წლებში ბიბლიოთეკის შენობას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და მიაშენდა ახალი ორსართულიანი ნაგებობა. ამრიგად ბიბლიოთეკა განთავსდა ორი ქუჩის (ვაჟა-ფშაველასა და მემედ აბაშიძის) კვეთაზე, სადაც დღემდე აგრძელებს ფუნქციონირებას.

2007 წლის მიწურულს, საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში მიმდინარე პროცესების შედეგად, აჭარის აკაკი წერეთლის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას შეეცვალა სტატუსი და ის გარდაიქმნა აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკად, რომელიც ორ შენობაში განთავსდა: ძირითადი კორპუსი (ვაჟა-ფშაველას ქ. N21) და საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება (ივ. ჭავჭავიძის ქ. N72).

**სხვადასხვა პერიოდში ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდნენ: ე. ვ. ტურკინი (1902-1909 წწ.), პ. ი. კაზანოვსკი (1909 -1910 წწ.), პ. დ. გამყრელიძე (1910 წ.), მარიამ გუსევა (1923-1956 წწ.), ნანა გვარიშვილი (1957-1966 წწ.), ჯემალ ჯაყელი (1966-1967 წწ.), მამია ბერძენიშვილი (1968-1969 წწ.), ეთერ ცივაძე (1969-1992 წწ.), სოსო ჯორბენაძე (1992-1997 წწ.), გენადი მახარაძე (1997-2018 წწ.).**

2005-2007 წლებში საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში მიმდინარე პროცესების შედეგად აჭარის აკაკი წერეთლის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას 2007 წლის მიწურულს შეეცვალა სტატუსი და ის გარდაიქმნა აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკად, რომელიც ორ შენობაში განთავსდა: ძირითადი კორპუსი (ვაჟა-ფშაველას ქ. N21) და საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება (ივ. ჭავჭავიძის ქ. N72).

XXI საუკუნის დასაწყისიდან ბიბლიოთეკაში დაინერგა ახალი ტექნოლოგიები, შემოტანილ იქნა კომპიუტერები, ტექნიკური აპარატურა, განვითარდა კომუნიკაციის სისტემები. 2009 წელს შეიქმნა ბიბლიოთეკის ერთიანი კომპიუტერული ქსელი, დაიწყო ელექტრონული კატალოგების წარმოება, ინტერნეტი გამოიყენება საბიბლიოთეკო პროცესებისა და მკითხველთა მომსახურების დროს. 2011 წელს შეიქმნა ბიბლიოთეკის ვებ-საიტი [www.bpl.ge](http://www.bpl.ge), ხოლო 2012 წელს - ბიბლიოთეკის ოფიციალური Facebook-გვერდი. 2015 წლის ივლისში შემუშავდა ბიბლიოთეკის საქმიანობის ოფიციალური საფუძველი წესდების სახით, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული ბიბლიოთეკის მუშაობის მიმართულებები.

2018 წლის 1 ოქტომბრიდან ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას სათავეში ჩაუდგა მწერალი ინგა გოგიბერიძე, რომელმაც ბევრი რამ შეეცვალა ბიბლიოთეკის საქმიანობაში. გაუმჯობესდა ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: განახლდა და მოზაიკით დაიფარა შემოსასვლელი კიბის უჯრედები; დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პანდუსი; ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე იატაკი დაიფარა გრანიტის ფილებით; ფოიე და მეორე სართულის აივნის მიმდებარე სივრცე დამშვენდა დეკორატიული





ფარდებით; კეთილმოეწყო ბიბლიოთეკის ეზო. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით მოიხატა 3D ფორმატის ნახატი ეზოს კედელი; კლუბური შეხვედრებისათვის შეიქმნა კომფორტული სივრცეები; აბონემენტის და პერიოდიკის განყოფილებებს დაემატა ახალი თაროები - შესაძლებელი გახდა აბონემენტის ფონდის თავისუფალი დაშვებით სარგებლობა და პრესის არქივზე (ნაწილობრივ) თავისუფალი წვდომა; გარემონტდა ბიბლიოთეკის სარდაფის 200 კვადრატული ფართი, სადაც გაიხსნა ახალი საგანმანათლებლო სივრცე. მულტიმედიური სივრცე მოიცავს რარიტეტული წიგნებისა და საფოსტო მარკების მუზეუმს, ბავშვთა, საკონფერენციო, პრესის არქივისა და დეპოზიტარიუმის ოთახებს; პირველი და მეორე სართულის საცავებში დამონტაჟდა ტენიანობის განმსაზღვრელი კონდიციონერები; შენობაში თანამედროვე ინვენტარით კეთილმოეწყო სამკითხველო კუთხეები.

ბიბლიოთეკა ატარებს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, საკლუბო შეხვედრებს, თემატური გამოფენებს და სხვადასხვა აქტივობებს, რომლებშიც იგულისხმება: საბიბლიოთეკო გაკვეთილი, ლიტერატურული თამაშები, დისტანციური კითხვის დრო, ინოვაციური ხატვის გაკვეთილები და მასტერ-კლასები, ინტეგრირებული გაკვეთილები, წიგნის განხილვები. ბიბლიოთეკაში დაარ-

სდა ფრანგული ენისა და ხატვის უფასო წრეები. ტარდებოდა წიგნებისა და შესაბამისი ფილმების (ეკრანიზაციის) ჩვენება-განხილვა, საჯარო ვიდეო-ლექციები, ლიტერატურული ვიდეო-შეხვედრები; მკითხველთა ინტერესს იწვევდა პოეზიის ონლაინ-საღამოები, ახალგაზრდა მხატვრების ვირტუალური გამოფენები, ღია კარის დღეები, რარიტეტული ფონდის თემატური გამოფენები, შეხვედრები და ინტერვიუები ცნობილ ადამიანებთან - მხატვრებთან, ხელოვანებთან, მუსიკოსებთან, პოეტებთან და მწერლებთან.

მსოფლიო პანდემიის გამო დღეს ბიბლიოთეკამ ფერი იცვალა და ყველა სამუშაო აქტივობა ონლაინ-რეჟიმში გადაიტანა. სწორედ ამიტომ გაძლიერდა ელექტრონულ ბაზებთან მუშაობა. 2018 წლის 1 ნოემბრიდან ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზას დაემატა ჟურნალების ანალიტიკური აღწერილობის ელექტრონული ვერსია. იქმნება ქართული და უცხოური წიგნების ელექტრონული კატალოგები. პანდემიის პერიოდში ბიბლიოთეკა მუშაობს შესაბამისი რეგულაციების დაცვით. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებიდან 118 წლის აღნიშვნა, სამწუხაროდ, დისტანციურ რეჟიმში გვიწევს, მაგრამ გვჯერა, რომ მალე ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება, ბიბლიოთეკის კარი გაიღება და დარბაზებიც მკითხველებით აივსება.





ლოლა სანია

## ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკა და კოვიდ - 19

Latvijas Nacionālās Bibliotēka (LNB)

ლატვიაში პირველი საგანგებო მდგომარეობა Covid19-ის პანდემიის გამო დაიწყო 12 მარტს და გაგრძელდა 9 ივნისის ჩათვლით. ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკა დახურული იყო მკითხველთათვის 13 მარტიდან 25 მაისამდე. ბიბლიოთეკამ გახსნა სამკითხველო დარბაზები თანდათანობით 26 მაისს, ხოლო სრულად - 1 სექტემბერს. მისი სამუშაო განრიგი შემდეგნაირი იყო: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი - 10:00-16:00 საათამდე, ოთხშაბათი, პარასკევი - 14:00-20:00 საათამდე, ხოლო კვირა და ორშაბათი - ბიბლიოთეკა მთლიანად დახურული იყო. ორშაბათს კი დია მხოლოდ საგამოფენო დარბაზებისთვის - 10-15:00 სთ.

ბიბლიოთეკის მუშაობა Covid19-ის გამო რატემუნდა განისაზღვრა ლატვიის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და შრომის ინსპექციის მიერ გაცემული სპეციალური პროტოკოლებისა და რეკომენდაციების მკაცრი გათვალისწინებით, რომელთა მიხედვითაც, პირველ ჯერზე, ჩატარდა ბიბლიოთეკის შენობის სრული სადებინფექციო სამუშაოები.

ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითა-

დი დარბაზები, დაეთმო მხოლოდ მკვლევარებს, რომელთა ვიზიტის წინასწარ იჭავშნებოდა. ბიბლიოთეკის პირველ სართულზე შექმნილი იყო დროებითი სამკითხველო დარბაზი, გათვლილი 50 მკითხველზე. მკითხველთა თითო მაგიდა კი განლაგებული იყო 4 მ2 დისტანციით. მკითხველებს მოეთხოვებოდათ ნიღბების ტარება და შეეძლოთ ესარგებლათ საკუთარი ლეპტოპებით. დარბაზში არსებული რვა კომპიუტერული ტექნიკა კი გამოიყენებოდა მხოლოდ შიდა ქსელში არსებული ციფრული კოლექციების ნახვა/ჩამოტვირთვისთვის, გაერთიანებული ელექტრონულ კატალოგში მუშაობისთვის.

ბიბლიოთეკაში შემოსული მკითხველისთვის გაკეთებული იყო ბილიკი, მინიშნებებით. კერძოდ, მკითხველი შემოსვლისთანავე ჯერ გაივლიდა თერმომეტრს, შემდეგ დააფიქსირებდა მკითხველის ბარათს, რის შემდეგაც ის მიმართავა კონსულტანტს დახმარებისთვის. სასურველი საბიბლიოთეკო მასალის სარგებლობის შემდეგ, თავად აბრუნებდა სპეციალურ დახლთან, ბიბლიოთეკაში Covid19-თან დაკავშირებით შექმნილ სპეციალურ ყუთში. ბოლოს გასვლისას კვლავ გა-



ატარებდა მკითხველის ბარათს. ბიბლიოთეკაში არსებულ საკარანტინე სივრცეებში დაბრუნებული მასალები ჩერდებოდა 78 საათით. დარბაზებში დამონტაჟებული იყო აგრეთვე სპეციალური მინის საფარი, დეზობარიები. ბიბლიოთეკის თანამშრომელი აგრეთვე აღჭურვილი იყო ფართა და ერთჯერადი ხელთათმანებით.

თავისთავად, ლატვიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გააგრძელა ახალი მკითხველების რეგისტრაცია ონლაინ რეჟიმში. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში მას 250-ზე მეტი ახალი მკითხველი შეემატა. სხვადასხვა პროფილის სამკითხველო დარბაზზე მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა. მკითხველებს, მათი მოთხოვნის შესაბამისად, მათთვის მნიშვნელოვან ლიტერატურა ციფრული სახით მიეწოდებოდა. აგრეთვე, ბიბლიოთეკის საიტზე განახლებულია მათი ციფრული კოლექციები. ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა უამრავი წიგნის „სარჩევის“ ფურცელი ციფრულად, რაც მკითხველს შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს და სურვილისამებრ შეარჩიოს კონკრეტული თავი ან გვერდი, რომელსაც ბიბლიოთეკარები, სახელდახელოდ, უმოკლეს დროში ციფრულად აწვდიან. ლატვიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შესთავაზა თავიანთ მკითხველებს დისტანციური მომსახურება - „დაუსვი კითხვა ბიბლიოთეკარს“ და აგრეთვე „დაუსვი კითხვა ფონდის სპეციალისტს“. ხოლო ლიტერატურის ცენტრის ფილიალმა მკითხველებს გააცნო ახალი მომსახურება, კერძოდ - ვიდეო კონსულტაცია. ეს გულისხმობს იმას, რომ თანამშრომელი, რომელიც დგას დია დაშვების თაროებთან, პასუხობს მკითხველთა შეკითხვებს სხვადასხვა საკითხების ირგვლივ. ეს ვიდეო კონსულტაცია ფასიანია. ამ პერიოდში ასევე ხელმისაწვდომი იყო ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის განყოფილება. ზემოთ ჩამოთვლილმა უფასო თუ ფასიანმა მომსახურებებმა ერთი ორად გაზარდა ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკით სარგებლობა.

ლატვიის კულტურის სამინისტროს მხარედაჭერით, ლატვიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მიიღო ლიცენზია საავტორო უფლებების საკონსულტაციო სააგენტოსგან და ლატვიელ ავტორთა ასოციაციისგან (“AKKA/LAA”), რათა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ლატვიის ეროვნული კოლექციები ციფრული სახით Covid19-ის კრიზისული პერიოდის განმავლობაში. ამ დაცულ მასალებზე წვდომა იყო უფასო 1 სექტემბერამდე კულტურის სამინისტროს სრული პოლიტიკური თუ ფინანსური მხარედაჭერით, ხოლო 1 სექტემბრიდან ეს მასალები კვლავ ხელმისაწვდომი იქნება მკითხველთათვის და 2020 წლის ბოლომდე ამ მომსახურების ხარჯებს კი უკვე ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკა დაფარავს თავისი ბიუჯეტიდან. ზემოთ ხსენებული ონლაინ კოლექციები შედგება გაყიდვაში არ არსებული 10 000-ზე მეტი დასახელების წიგნისა და 1400 პერიოდული გამოცემებისაგან.

ლატვიის რესპუბლიკაში კვლავ გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა COVID-19-თან დაკავშირებით ა. წ. 9 ნოემბრიდან 6 დეკემბრის ჩათვლით, და ბიბლიოთეკა გადავიდა ისევ დისტანციურ მომსახურებაზე.

ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს ბიბლიოთეკარებს უსურვებს ჯანმრთელობას, მხნეობას, ერთიანობას, რათა შემოქმედებითად და უდიდესი სიმამაცით შეხვდეს დროის ყველა ცვლილებას.

ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, კი თავის მხრივ, მადლობას მოახსენებს ლატვიის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს ბატონ ანდრის ვილკს და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხში მთავარ სპეციალისტს ქალბატონ ვიქტორია მოსკინას თანამშრომლობისათვის. ვუსურვებთ მშვიდობას და ჯანმრთელობას.

ფოტო: რეინის ჰოფმანის  
Photo: Reinis Hofmanis



## ეთნოგრაფია



### ესმა კუნჭულია

ჟურნალისტი, ტელეწამყვანი,  
„გასტრონომიული მუზეუმის“ დამფუძნებელი

კულტუროლოგიაში ტერმინი „მეხსიერების ადგილი“ ფრანგმა ისტორიკოსმა პიერ ნორამ 1980-იან წლებში დაამკვიდრა და იგულისხმა ყველაფერი, რაც კოლექტიურ მეხსიერებას ამყარებს. ნორას მიხედვით, „მეხსიერების ადგილებია“ - ძეგლები, ემბლემები, სიმბოლოები, ზეიმები, მემუარები და ა.შ. ანუ ყველაფერი, რაც ამა თუ იმ ერმა კოლექტიური მეხსიერების შესანახად შექმნა.

ჩემი აზრით, მეხსიერების ადგილია - ერის გასტრონომიული კულტურაც. ჩვენს კოლექტიურ მეხსიერებას კვებავს და ამყარებს ქართული არომატი და ქართული გემოები. მეხსიერების ადგილია - პურიც. სწორედ ამიტომ პურის, პურის ფორმების, სახელების, პურის ენისა და პურთან დამოკიდებულების შესწავლა აუცილებელია ქართველი ერის ხასიათისა და კულტურის სრულყოფილად შესწავლისთვის.

პურის ისტორია ქვის ხანის ბოლო ეტაპიდან - ნეოლითიდან იწყება (ძვ.წ-ის X – IV საუკუნეები). უკვე 7-10 ათასი წლის წინათ ადამიანმა მარცვლეულის, ხილისა და ბოსტნეულის იმ ძირითადი ჯიშების გამოყვანა დაიწყო, რომლებითაც დღემდე ვსარგებლობთ. ნეოლითური სამეურნეო რევოლუციის კვალი ასახულია საქართველოს უძველეს ისტორიაშიც. ხორბლის კარბონიზირებული მარცვლები ნაპოვნია ძველი წელთაღრიცხვის VI-IV ათასწლეულის ძეგლებში - შულავერი, ხრამის გორა, არუხლო, ჩიხორი, ხელთუბანი (ოთარ ჯაფარიძე/ალექსანდრე ჯავახიშვილი). სამყაროში არსებულ ხორბლის გვარში შემავალ 27 სახეობიდან, საქართველოში გვხვდება და აღწერილია 14 სახეობა: 1. მონოკოკუმი 2. დიკოკუმი 3. ტიმოფეევი 4. გეორ-

# ქართული პური

## ერის მეხსიერების ადგილი

გიკუმი-პალეოკოლხიკუმი 5. ქართლიკუმი-პერსიკუმი-დიკა 6. დურუმი 7. ტურგიდუმი 8. პოლონიკუმი 9. ტურანიკუმი-ორიენტალე 10. ესტიუმი 11. სპელტა 12. კოპაქტუმი 13. მახა 14. ჟუკოვსკი. ეს კი ნიშნავს, რომ სამყაროში ხორბლის გვარში შემავალ სახეობათა 62% საქართველოში ფიქსირდება. მათ შორის ხორბლის 5 აბორიგენული სახეობა მხოლოდ საქართველოში იზრდებოდა და სხვა ქვეყნებში არ ფიქსირდებოდა. ცნობილი ბოტანიკოსი ლეონარდ დეკაპრელევიჩი წერდა, რომ საქართველოს ტერიტორიის მცირე არეალში თავმოყრილი ხორბლის კულტურულის მრავალფეროვნება იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო ახლოს იყო მცენარეთა ფორმადნარმოქმნის პირველად კერებთან. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველო - ხორბლის ერთ-ერთი სამშობლოა.

პური ცივილიზაციის სიმბოლოა. ჰომეროსი ადამიანებს „პურისჭამელებს“ უწოდებდა, პითაგორა ამბობდა, რომ „სამყაროს დასაწყისი პურშია“. ძველი ბერძნული და რომაული კულტურებისთვის - მიწათმოქმედება, მებოსტნეობა, მებაღეობა - კულტურულობის ნიშანი იყო. შესაბამისად, ამ „ცივილურ სისტემაზე“ იყო დაყრდნობილი მათი კვებაც: მცენარეული საკვები, მარცვლეულის ფაფები, პური, ღვინო, ზეთის ხილი, ცოტა ხორცი და ბევრი რძე და ყველი. უკვე IV საუკუნიდან ქრისტიანობის სიმბოლოებად იქცა ღვინო და პური ზიარებისთვის და ზეთი - ლიტურგიისთვის. ანუ ის ძირითადი სამი საზრდო, რომლებიც ევროპული







კულტურისთვის იყო დამახასიათებელი. იტალიელი კულტუროლოგი მასიმო მონტანარი წერს, რომ ეს იყო ერთგვარი ზურგის ქცევა იუდეველთა მიმართ, რომლებიც ლიტურგიაში არ გამოიყენებდნენ არც პურსა (ის უწმინდურად მიაჩნდათ, რადგანაც ფერმენტირებული პროდუქტია) და არც ღვინოს (რომელიც გონებას აბრუებდა)

**ქართველი ერის ისტორიაში პურს დიდი მნიშვნელობა აქვს - პური როგორც საკრალური პროდუქტი სულ მონაწილეობდა წარმართულ და ქრისტიანულ რიტუალებში. საწესო პურებს ჰქონდათ ფორმები და საკრალური სახელები. თუმცა ბევრი რიტუალი და შესაბამისად პური, თავისი სახელებიანად სრულიად გამქრალია ან მისი კვალი მკრთალად ჩანს და კულტუროლოგებისთვის მათი შესწავლა მნიშვნელოვანია.**

თანამედროვე ქართველი კალენდარული დღესასწაულებისთვის ოჯახში მხოლოდ 3 სახის სარიტუალო პურს აცხობს: 1) ბარბარობაზე - ლობიანს; 2) სააღდგომოდ - პასქასა და 3) საშობაოდ - გურულ ღვეძელს. ამ სამი სარიტუალო პურიდან - სააღდგომო პასქა ქრისტიანული სააღდგომო სუფრის ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილია, წითლად შეღებილ კვერცხებთან ერთად. ლობიანი და ღვეძელი ცხვება სურვილის მიხედვით, ანუ მისი გამოცხობა

ოჯახის/დიასახლისის მონადინებაზე დამოკიდებული. ლობიანისა და საშობაო ღვეძლის გამოცხობა რელიგიურ აუცილებლობას არ წარმოადგენს. ლობიანი და ღვეძელი ორივე ატარებს ძველი რწმენების ნიშნებს. ჩემი აზრით, აუცილებელია ამ ორი სარიტუალო პურის შესწავლა და მნიშვნელობის დადგენა XXI საუკუნის ქართველების წარმოდგენაში. ამ კოდის გაშიფვრა საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ, თუ რა მიზეზის გამო შეინარჩუნეს დღემდე არსებობა ლობიანმა და გურულმა ღვეძელმა? XXI საუკუნის ქართველი აღარ აცხობს და აღარც იცნობს - კაცის ფორმის ბაცუკას და ბასილას პურს, თუმცა ეს ორივე პური, სხვა დანარჩენ რიტუალო პურებთან ერთად, მოხსენიებულია 1935 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალებში („მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისთვის“/1986 წელი).

ბაცუკა/ბაციკი/ბაციკუკუ - ფიგურული რიტუალური პური იყო, რომელსაც აცხობდნენ ადამიანის, ცხოველის ან სხვა ფორმებად. ბაცუკა ცხვებოდა სამ დღესასწაულზე: შობაზე, მგელჯიხვობაზე და სულთკრეფაზე. ბაციკს (იგივე ბაციკუკუს თევდორობა) დილას სვანეთში მხოლოდ მამაკაცები აცხობდნენ. მას ჰქონდა - ხარის, ვერძის, ცხენის, ჯიხვის, არჩვის, მტრედის, გვრიტის და სხვადასხვა ფორმა. ქალები კი, ზოომორფულ ბაციკუკუებს ლიფანალის დღესასწაულზე ცვილისა და ყველისგან ამზადებდნენ.

საახალწლო სარიტუალო პური იყო - ბასილაც, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ფიქსირდება. ბასილას პური ახალი წლის წინა ღამეს ცხვებოდა და ნაყოფიერების ხაზგასასმელად ფალოსის ნიშანი ჰქონდა გაკეთებული. „კაცბასილას“ ნათლისღებამდე ინახავდნენ, შემდეგ თოხის ტარზე გადაამტვრევდნენ და ანაწილებდნენ. ბასილას პური ქართლში გავრცელებული საახალწლო ხონჩა - აბრამიანის აუცილებელი ატრიბუტი იყო. მესხურ სოფლებში დღემდეა შემორჩენილი ბასილას პური, რომელიც მესხურ პურთან - სომინთან ერთად და ბედის კვერებთან ერთად ცხვება.

სულ რაღაც ორი-სამი საუკუნის წინათაც კი, ქართულ პურს ჰქონდა საკუთარი მდიდარი ენა/ლექსიკონი. იმ ეპოქის პურის სახელები აბსოლუტურად „უცხო სიტყვებია“ თანამედროვე ქართველისთვის. ჩემ მიერ 2018 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების დროს, გამოკითხულთა 98% არ იცნობს XVII-XVIII საუკუნეში არსებულ პურის სახელებს. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, პური - ზოგადი სახელია ყოველთა პურთა: გამომცხვართა, გაფუებულთა, ან უფოელთა ქრთილისათა და

სიმინდისათა, ფეტვისათა და სხვათა. საბას ლექსიკონში პურის ცომის ორი სახეობა გვხვდება: 1) ცომი - მხოლოდ წყლით მოზეილილი და 2) ცომი - კვერცხით, ერბოთი და რძით მოზეილილი.

ასევე „ლექსიკონი ქართულში“ დასახელებულია პურის და პურეული ნაწარმის სხვა 24 სახელი: 1) შაქრის-პური; 2) წმიდა პური - სეფის-კვერი; 3) კუერი - მრგვალი პური; 4) ლავაში; 5) იაღლავაში; 6) ლოლუა; 7) მადაური; 8) მჭადი - ფეტვისა და სიმინდის პური; 9) მანაშა - შავი მჭადი; 10) ჭიგანა - ავი პური; 11) ქაბრაწოვანი - მეტად დიდი პური; 12) ჯუება - მგრგვალი პური; 13) კეცის პური - ტყუბი/ნატყუპარი; 14) პაქსიმატი - ბერძნულია, ქართულად - ო რ ც ხ ო ბ ი ლ ა ა ნ ჯ მ ე ლ ც ხ ო ბ ი ლ ი; 15) შოთი; 16) ლიკანი - თორნეში ჩაყუდებული პური; 17) სომინი - დიდი პური; 18) ძალა-პურა/კონჩოლი - სუპა, პურის შეჭამადი, პურის წვნიანი; 19) ქალაჯოში - დოს კონჩოლი; 20) ბოლინო - პური - ღვინოში; 21) ჭიმური - (ფლოვი/ჭიმბური) - პური დაფხვნილი, ან ბრინჯი, ან სხვა მარცვალნი მოხარშული, ერბოსა ანუ ზეთში მოხრაკული - სპარსნი ფლავს უწოდენ; 22) ქაბაბი - ფუნთუში; 23) კუპატი-გატენილი პური მოხრაკული; 24) ფუნთუში - კეცში ნამცხვარი.

1935 წელს ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ეთნოლოგიური ექსპედიციის შედეგები გამოქვეყნდა წიგნში „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისთვის“, სადაც მხოლოდ კახეთში მთხრობელები 22 სახეობის პურს/ხორბლის ნაწარმს ასახელებენ და აღწერენ: 1) ლავაში; 2) მადაური; 3) შოთი; 4) ამოკრულა; 5) კუტი; 6) ზედასმულა; 7) უხა-თახთახა-თახახა - სნეულისთვის სპეციალურად გამომცხვარი პურია; 8) ნაზუქი; 9) ქადა; 10) ნიგვზიანი ქადა; 11) ხორცის ქადა; 12) ქადა - მხლის/ლობოსი/ხაჭოსი; 13) კვერიები; 14) ხაჭო-პური; 15) ხაბიძინები იგივე კეცეულა; 16) კუპატი - ქადაზე პატარა, გულიანი პური (სულხან-საბა ორბელიანთან - გატენილი პური ზეთში მოხრაკული); 17) ხმიადი; 18) ფათირი - მინდვრის უსაფუარო პურები; 19) ბაღლის კვერები; 20) თელაური პური; 21) შინაური პური; 22) ანტრია - ცომის ნაჭრები, რომელსაც რძეში ან წყალში ხარშავდნენ.

ამ გრძელ სიას ავსებს, ამავე წიგნში აღწერილი საქართველოს დანარჩენი რეგიონების პურის ენა და ფაქტი სახეზეა: ქართველისთვის პური ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქტია და იგი არასოდეს ყოფილა მხოლოდ საკვები. ეს კი ნიშნავს,



რომ პურის და, საერთოდ, მთლიანად გასტრონომიული კულტურის კვლევა ქართველი ერის ისტორიის საინტერესო დეტალებს გაამხელს.





**ნოდარ შოშიტაშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
უფროსი კურატორი, პროფესორი

ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ თბილისში, ვაკის რაიონში, კუს ტბის მიმდებარე ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს. მას 52 ჰექტარი ფართობი უკავია. მუზეუმში საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა წარმოდგენილი.

„ღია ცის ქვეშ“ ტიპის მუზეუმი XX საუკუნის შუა წლებიდან მრავლად არსებობდა ევროპაში. ამგვარი მუზეუმის დაარსების აუცილებლობა უკვე XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გახდა აქტუალური, რადგან



საქართველოს ეთნოგრაფიული მუზეუმი

ინდუსტრიული განვითარება და დაჩქარებული ურბანიზაცია სწრაფი ტემპით სპობდა ტრადიციული ეთნიკური ყოფის ელემენტებს, მათ შორის ტრადიციული ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშებს. შესაბამისად დადგა დღის წესრიგში ტრადიციული კულტურის ელემენტების დაცვისა და შენარჩუნების საკითხი.

ასეთი სახის მუზეუმის დაარსების იდეა საქა-

# „პატარა საქართველო“ კუს ტბის ფერდობზე



სამეგრელოს კუთხე


რთველოში XX საუკუნის 30-40-იან წლებშიც არსებობდა. ამ იდეის ავტორი იყო აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, რომლის განხორციელებაც შემდგომში მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ზრუნვა მუზეუმის გენერალური გეგმის დამუშავებაზე, მისთვის ადგილის შერჩევაზე ჯერ კიდევ 1950-იან წლების ბოლოს დაიწყო, ხოლო აღნიშნული ტერიტორია 1960 წელს გამოიყო. მუზეუმი დაარსდა 1966 წლის 27 აპრილს.

ეთნოგრაფიული მუზეუმის დაგეგმვისას გაითვალისწინეს საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი და შიდა ლანდშაფტური, კულტურულ-ისტორიული ზონები. მუზეუმის დაარსების მიზანი იყო, ერთ ადგილზე სხვადასხვა კუთხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის წარმოჩენა შესაბამისი ინტერიერითა და ტრადიციული ყოფითი ელემენტების „გაცოცხლებით“, რათა შთაბეჭდილება მოეხდინა დამთვალიერებელზე. აქცენტი თავიდანვე აღებული იყო ექსპონატ-ნაგებობათა ორიგინალობასა და ავთენტურობაზე. სხვადასხვა ეთნოგრაფიულ „კუთხეში“ განლაგებული სახლების ინტერიერს უნდა გადმოეცა კონკრეტული ეპოქის, ძირითადად XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის საქართველოს კონკრეტული ოჯახების სოციალური ყოფა, საოჯახო ურთიერთობანი, შინამეურნეობა და ამ ოჯახებისთვის დამახასიათებელი მატერიალური და სულიერი კულტურა.

დღეისათვის ეთნოგრაფიულ მუზეუმში თანამედროვე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეა წარმოდგენილი, გარდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონებისა, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ მუზეუმის განვითარების გენერალურ გეგმაზეა დატანილი.

მუზეუმის თანამშრომლებმა თავის დროზე ექსპედიციებით შემოიარეს საქართველოს მთა და ბარი, უშუალოდ გაეცნენ ტრადიციული ხალხური





დედაბოძი სოფელი გიორგიწმინდა, კახეთი.  
გოდერძიშვილების დარბაზი, XIX საუკუნე

ხუროთმოძღვრების ნიმუშებს, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს. შეარჩიეს საქართველოს მთისა და ბარისთვის დამახასიათებელი ისეთი ძეგლები, რომელნიც გამოხატავენ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპებსა და ტენდენციებს. ამავე დროს ნაგებობათა შერჩევასა ყურადღება გამახვილდა მათ ესთეტიკურ მხარეზეც, ჩუქურთმებითა და ორნამენტებით განწყობაზე.

მუზეუმის შენება 10 წელიწადს გრძელდებოდა და ოფიციალურად 1976 წლის 7 ივლისს გაიხსნა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, მუზეუმის ნაგებობათა ერთი ნაწილი, განსაკუთრებით მათი გადახურვის კონსტრუქციები დაზიანდა. შესაბამისად, დღეისთვის ძალზე აქტუალურია მათი რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო სამუშაოები დაჩქარდა 2005 წლიდან, მას შემდეგ, რაც გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ახალშექმნილ ინსტიტუციაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შევიდა. საქართველოში განხორციელებულ რეფორმატორულ პროცესებს შორის სამუზეუმო რეფორმა ერთ-ერთი წარმატებული და რეზონანსული აღმოჩნდა.

ეთნოგრაფიულ მუზეუმში 70-მდე ექსპონატ-ნაგებობაა განთავსებული. მათგან საექსპოზიციო ზონაში არსებულ ნაგებობებში ექსპონირებულია ინტერიერის ორიგინალური ინვენტარი და იარაღ-ხელსაწყოები, აქ წარმოდგენილია ავთენტური ხალხური ავეჯი, ქვისა და რკინის ნაჭედი კერები, საკიდელი ჯაჭვები, კიდობნები, სამარილე ყუთები, კერამიკული და ხის დგამ-ჭურჭელი, ხალიჩა-ფარდაგები, ტანსაცმელი, შინამრეწველობის იარაღ-ხელსაწყოები: სართავი, საქსოვი დაზგა, საჩეჩლები, სადღვებლები და სხვა.

მუზეუმის პირველი ექსპონატი-ნაგებობა სიონის ტაძარია, ბაზილიკური ტიპის ნაგებობა V-VII საუკუნეებისა, გადმოტანილი თიანეთის რაიონის სოფელ სიონიდან. იგი 1951 წელს დაწყებული, მდინარე იორის დაგუბებით შექმნილ სიონის წყალსაცავის ფსკერზე ხვდებოდა. ამიტომ დაშალეს და ამ სამნავიანმა ბაზილიკამ მუზეუმში, არქეოლოგიურ ზონაში დაიდო ბინა. ბაზილიკის კედლები შემოსილია სუფთად გათლილი შირიმის ქვით, ხოლო სვეტები და სხვა დეკორატიული დეტალები ქვიშა-ქვისაა. მორთულობაში გამოყენებულია გეომეტრიული, მცენარეთა და ცხოველთა გამოსახულებით შედგენილი რელიეფური კომპოზიციები.



ბაზილიკა დაბა სიონიდან V-VII საუკუნეები



დეტალი ბოლნური ჯვრის გამოსახულებით



მუზეუმის არქეოლოგიურ ზონაში წარმოდგენილია ტრადიციულ სამარხთა მრავალფეროვნება: არქაული პერიოდის (ბრინჯაოს ხანა) სამარხი ნაგებობა დოლმენი, ადრეული შუა საუკუნეების სარკოფაგი ბალიჭიდან ერთ-ერთი უძველესი ქართული წარწერით, აკლდამა და შუა საუკუნეების საფლავის ქვები. დოლმენი ადგილობრივი ძეგლია. იგი მუზეუმში აფხაზეთიდანაა (ზემო ეშერა) გადმოტანილი. დოლმენები საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთშია ცნობილი, სადაც დღემდეა შემონახული როგორც დიდ ჯგუფებად ასევე შედარებით მცირე რაოდენობითაც (ამტყელი, ახანთა, ხაბიო, აჭანდარა...). დოლმენი მეგალითური კულტურის ნიმუშია და მისი მშენებლობის პერიოდი არქაულ ხანას უკავშირდება. მუზეუმში განთავსებული დოლმენი შუა ბრინჯაოს ხანისაა და მისი ასაკი დაახლოებით 4000 წლით განისაზღვრება. ჩვენ ვიზიარებთ მეცნიერთა იმ ნაწილის შეხედულებას, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოში და საერთოდ კავკასიაში დოლმენის მშენებლობა მიეკუთვნება ქართულ კულტურას, ქართულ კულტურულ წრეს და მის შემქმნელად უნდა ვივარაუდოთ კოლხები.

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს შედარებით კონტინენტურმა და მშრალმა კლიმატმა განსაზღვრა აქ ერდოგვირგვინიანი და მიწურბანიანი ქვითკირის სახლების ტიპი - დარბაზი. ხოლო დასავლეთ საქართველოში ნოტიო სუბტროპიკულმა რბილმა კლიმატმა - ხის ორფერდა ან ოთხფერდა ნაგებობანი. მთის რეგიონში კი სავარგულთა სიმცირემ და მტრისგან მუდმივად დაცვის საფრთხემ - რამდენიმე სართულიანი ქვითკირის ციხე-სახლები.

დარბაზული საცხოვრებელი ქართული ხალხური საცხოვრებლის ერთ-ერთი უძველესი ტიპია. დარბაზი ორი სახისა იყო: ერთთვლიანი, დიდი ზომის და წინ დერეფნით (ქართლსა და კახეთ-

ში) და კომპლექსური ანუ „მოდარბაზული“, „დარბაზოვანი“ მესხეთში, თრიალეთში, სადაც ყველა საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსი ჰორიზონტალურად, ერთ ქერქვეშ იყო განთავსებული. დარბაზში ცხოვრობდა დიდი, გაუყოფელი ოჯახი ზოგჯერ 30 და მეტი წევრით. მთავარი სოციალური ელემენტი იყო კერა შუაფეხლი დარბაზის ცენტრში და ოჯახის უფროსის საუფროსო სკამი, ხოლო კონსტრუქციული აქცენტი - დედაბოძი, რომელზეც დაყრდნობილია ბანდუში ანუ ბულაური, მასზე კედლიდან კედელზე გადებული თავზე, ხოლო ყველაფერზე ერთად გვირგვინი.



საუფროსო სკამი, ქართლის დარბაზი

მუზეუმის ტერიტორიაზე დემეტრაშვილების დარბაზი გადმოიტანეს 1973 წელს, კასპის რაიონის სოფელ ყარაღაჯიდან, რომელსაც დღეს თელიანს უწოდებენ. ეს დარბაზული სახლი უნიკალურია იმით, რომ თორმეტკუთხოვანი წყობის გვირგვინი აქვს. მსგავსი ტიპის ბანიანი სახლები კიდევ ხუთია მუზეუმში (გიორგიწმინდის, ჭაჭკარის, რეხის, ახალციხის რაბათის და ხანდაკის).



ერდოგვირგვინიანი დარბაზული ნაგებობა ქართლიდან, სოფელი თელიანი, ინტერიერი



გვირგვინიანი გადახურვა, სოფელი ჭაჭკარი, სამცხე-ჯავახეთი



ეთნოგრაფიულ მუზეუმში განთავსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან არის გადმოტანილი, არსებითად საცხოვრისის სხვა ტიპს მიეკუთვნება. იმის გამო, რომ დასავლეთ საქართველოში კლიმატი გაცილებით რბილი, სუბტროპიკულია და ზამთარში ტემპერატურა იშვიათად ჩამოდის ნულს დაბლა ცელსიუსით, ნაგებობანი ძირითადად ხისგან შენდებოდა. სამშენებლო მასალად უმთავრესად გამოიყენებოდა ისეთი ხის ჯიშები, როგორიცაა წაბლი, მუხა, თელა, ცაცხვი. დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობზე უმარტივესი და უძველესი საცხოვრებელი ნაგებობა იყო ფაცხა. ეს იყო წრიული ან ოთხკუთხა წნული ნაგებობა. კედლები მოწნული იყო ან თხილის შტობისგან, ან როდოდედრონის ანუ შქერისგან. გადახურვისას კი ხმარობდნენ ჭაობის მცენარე ისლს.

მუზეუმში დასავლეთ საქართველოს კარმიდამოებში საცხოვრებელი ნაგებობების შემდეგი ტიპია „საჯალაბო სახლი“, რომლის უძველესი ტიპები ხის მორებისგან იყო აგებული და, რომელსაც ჭარგვალი ეწოდებოდა. მოგვიანებით დაიწყო ხის ძელების ნაცვლად კედლების აგება ჯერ ნაჯახით გამოთლილი, ხოლო შემდგომ დახერხილი ფიცრე-



საჯალაბო სახლი იგივე პიტაფიცარა, სოფელი ონტოფო, სამეგრელო

ბისგან. ხის ძელების დამუშავება ქართული ტიპის ნაჯახით ხდებოდა, ე.წ. თევზის ფხის ტექნიკით.

ხალხური ხის საცხოვრებელი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო განვითარდა, დაიხვეწა და XIX საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს ბარში ე.წ. „კოლხური ოდა“ ჩამოყალიბდა. ოდასახლები მუზეუმში განთავსებულია სამეგრელოს, გურიისა, იმერეთისა და აფხაზეთის კუთხეებში. ოდასახლებში საცხოვრებელი სივრცე სეგმენტირებულია. იგი შედგება სამი ან ოთხი ოთახისგან. ოდას აქვს მისაღები ოთახი, საძინებელი, სტუმრის საძინებელი და საკუჭნაო-სამზარეულო. ოდასახლი როგორც

ნესი, შემდგარია ხიმინჯებზე დაახლოებით 80-100 სმ სიმაღლის ქვის, ხის ან ქვითკირის სვეტებზე. დასავლეთ საქართველოს ნესტიანი კლიმატიდან გამომდინარე ეს აუცილებელი იყო, რადგან აერაციის ფუნქციის მატარებელი იყო და ასეთი შენობა ჯანსაღ საცხოვრებელს წარმოადგენდა.

ძალზე საინტერესოა მუზეუმში განთავსებული აჭარული და ლაზური სახლები, რომლებიც გამოირჩევიან მასშტაბურობით და მშენებლობის დახვეწილი ტექნიკით. ლაზური სახლის კედლები შექმნილია ხისა და ქვის კომბინირებით. ასეთი



აჭარული სახლი სოფელი დიდაჭარა

სახლები გარეგნულად ჰგვანან ევროპაში გავრცელებულ ე.წ. ფახვერკიან სახლებს. ლაზური სახლის ინტერიერში ყურადღებას იქცევს კედელში ჩაშენებული კარადები, ანუ ხის ფიგურული კვეთით გამოყვანილი „დოლაბები“. მაღალი ხელოვნებით არის მოპირკეთებული ქვის ბუხრები, რომლებზეც ამოკვეთილია წრეში ჩასმული მზის სიმბოლოები, ბორჯღალები, სიცოცხლის ხის ორნამენტები და გეომეტრიული ფიგურები.

მუზეუმში საცხოვრებლის გარდა მრავალი საინტერესო ნაგებობაა. მათ შორის ფილიგრანული ჩუქურთმებით, ორნამენტირებით, ხის დამუშავების უზადო ტექნიკით გამოირჩევა აჭარიდან, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩიქუნეთიდან გადმოტანილი საკულტო ნაგებობა „ჯამე“, რომელიც ლაზი ოსტატების მიერ არის აგებული XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია დაახლოებით 8000 ექსპონატზე მეტი, რომელთა ერთი ნაწილი გატანილია საგამოფენო სივრცეში, სადაც გაცოცხლებულია სხვადასხვა კუთხის საცხოვრებელი ნაგებობანი და მოწყობილია ზემოთ აღნიშნული პერიოდის ინტერიერები.

არტეფაქტების დიდი ნაწილი დაცულია საცავებში, და შესაბამისად განაწილებული ხის, ლითონის, ქსოვილების, თიხის, ძვირფასი ლითონის ნაკეთობათა, ქვის, რქისა და ტყავის ფონდებში. მათი საშუალებით ხდება გამოფენათა პერიოდული რეექსპოზიცია.



## ქართული ემიგრაცია



**მარიამ მარჯანიშვილი**  
ფილოლოგიის დოქტორი

ყოველ ადამიანს ცალკე და ყველას ერთად აქვს გარკვეული მიზანი, რომლისკენაც ისწრაფვის, მაგრამ ამ მიზანთაგან ერთს ირჩევს, მეორეს გაუბნობს...

ლეო კერესელიძეს სამშობლოს გრძნობა ყველგან თან ახლდა, ამიტომაც მისი არჩევანი თუ ცხოვრების მიზანი თავისუფლებისათვის სწრაფვის დაუოკებელი ბედისწერა გახდა.

„1906 წლის აპრილს, დუშეთის ამბის გამო, ჩემი უფროსი ძმა ლეო კერესელიძე, ჩემი დეიდაშვილი ნესტორ მაღალაშვილი და მე სამშობლოდან შვეიცარიაში გავიხიზნეთ, - წერს გიორგი კერესელიძე თავის მემუარებში.

... ვიცოდით, რომ რუსეთის მთავრობა ლეოს და ჩემს გაცემას მოითხოვდა. გადავწყვიტეთ, რომ შვეიცარია უფრო საიმედო იქნებოდა, რადგან საფრანგეთი მოკავშირე იყო რუსეთისა და ჩვენს გაცემაზე იქნებ უარი ვერ ეთქვა... ჩავედით ჟენევაში და იქ დავსახლდით. ლეო ავადმყოფობდა. წავიდა ნესტორთან ერთად მთებში დასასვენებლად“ („ქართული ემიგრაცია“ 2013:147).

შვეიცარიაში ჩასულ ლეო კერესელიძეს გულმა ახლა მთებისაკენ გაუნია. თუმცა აქ უკვე იყო ხანმოკლე დროით ნამყოფი, მაგრამ საბოლოოდ უნდოდა თავად ეხილა ამ ქვეყნის მშვენიერი ბუნება და განეცადა თავისუფალი სუნთქვა.

პირველად გაზეთ „დროების“ ფურცლებზე დაბეჭდილ სერგეი მესხის „მოგზაურობის შენიშვნებისა და ფიქრების“ მემუარების გავლენით ეწვია შვეიცარიას, რათა დარწმუნებულიყო ავტორის

## ევროპელი ქალის კვალი კერესელიძეთა ეპისტოლეებში

შეფასებაში, როცა იგი წერდა: „ბუნებით, ადგილის მდებარეობით, თითქმის ჰავითა და ცხოველ-მცენარეებით კავკასიასა და შვეიცარიას შუა დიდი მსგავსებაა. ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ერთი აკლია: შვეიცარიის ტბები. გაუჩინეთ თფილისს გვერდით ჟენევის ტბა, ქუთაისს - ციურიხის ტბა, სადმე ზემო იმერეთში ოთხი კანტონის ტბა წარმოიდგინეთ, და თუ საქართველო შვეიცარიას არ ემგვანება სრულებით თავის ბუნებით, მაშინ რაც გინდათ ის მიიხარით.

**ყოველი შვეიცარიელი ყველაზე პირველად თავის მამულის მოყვარულია. მგონი, არც ერთი მეორე ხალხი არ მოიძებნება დედა-მინაზე, რომელსაც ისე უყვარდეს თავისი პატარა, მაგრამ მშვენიერი სამშობლო, როგორც შვეიცარიელს. ის გრძნობს, რომ თავის ქვეყნის ბედნიერება იმის საკუთარი ბედნიერებაა, და სამშობლოს დამცირება იმის დამცირებაა.**

შვეიცარიელი გრძნობს, რომ თავისუფალი წევრია თავის ხალხისა და არა ვისიმე ქვეშევრდომი. ის ამაყობს თავის სამშობლოთი; არავის მისცემს იმის დამცირების და შეურაცხყოფის უფლებას; ყველა ისე იცავს, ისე უყურებს საზოგადო მამულს, როგორც თავის უძვირფასესს საკუთარ საქმეს; ყველა მზათ არის, მამულს თუ დასჭირდება, არა თუ თავის შეძლება და ქონება, თავის თავიც შესწიროს“ („ევროპა როგორც მასწავლებელი“ 2017:228).

სწორედ, ამ მთებში ყოფნისას გაიცნო ლეო კერესელიძემ თავისი მომავალი მეუღლის ოჯახი. „ორიოდე კვირის განმავლობაში ისე მოხიბლა თავისი საცოლის მამა კოლონელი (პოლკოვნიკი) ლეკულტრი, რომ საქართველო და ქართველობა საოცნებო საგნად გაუხადა“ („ქართული ემიგრაცია“ 2013:147).

ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ მსგავსი მსგავსთან განისვენებს. პოლკოვნიკმა ლეკულტრმა მასში აღმოაჩინა შვეიცარიელი ხალხის ბუნება- თავისუფლებისაკენ სწრაფვა და სამშობლოსათვის თავგანწირვა.

სამართლიანად შენიშნავდა თავის „მოგზაუ-

რობის“ ჩანაწერებშიც სერგეი მესხიც: „შვეიცარიის ყველა სახლებზე ორი სიტყვა აწერია დევიზით „Liberte et patrie“ („მამული და თავისუფლება“).

და ამ ორი, ერთმანეთში განუყოფელი საგნისათვის, ისინი არაფერს არ ზოგავენ: ციურიხელსაც ან სხვა რომელიმე ნემეცური კანტონის შვეიცარიელს რომ ჰკითხოთ: „ნემეცი ხომ არა ხართ თქვენ?“ ის წყრომით შემოგებლვერთ და ამაყათ გეტყვით: „უკაცრავად, უფალო, მე შვეიცარიელი გახლავართ!“ აგრეთვე ჟენეველ შვეიცარიელს, რომ ფრანცუზობა შესწამოთ, თუმცა ძალიან უყვართ ფრანცუზები, მაგრამ მაინც იმავე სიამაყით გიპასუხებენ, რომ „მე ფრანცუზი კი არა, შვეიცარიელი ვარო!“ აი, ამისთანა ხალხი ცხოვრობს იმ მთა-კლდიან და ტბა-მდინარეებთან პატარა შვეიცარიაში, რომელსაც ბევრის მხრით ევროპის საუკეთესო კუნძულს ეძახიან, ხალხი ცოცხალი, მხნე, მშრომელი, თავისუფლებისა და სამშობლოს მოყვარე...“ („ევროპა როგორც მასწავლებელი“ 2017: 228-229).

პოლკოვნიკი არ შემცდარა. ლეო კერესელიძე გახლდათ თავისუფლების იდეალისათვის სიცოცხლის უყოყმანოდ შემწირველი პიროვნება, რომელიც ერის თავისუფლებასთან ერთად სახელმწიფოში მისი სრულუფლებიანობისთვისაც იბრძოდა. რამეთუ ყოველ ხალხს, თვითმპყრობელობის უღელში მგმინავს, უფლება აქვს ეს უღელი გადაიგდოს.

**საერთოდ, ციურიხელებს ძალიან უყვარდათ ყველა კავკასიელი, ისინი როგორც თავის მოძმეს, თავის მეგობარს, როგორც კარგ კაცს ისე უყურებდნენ მათ და სიამოვნებით უმეგობრდებოდნენ. სწორედ, ციურიხში, 1873 წელს, უცხოეთში წასულმა ქართველმა ახალგაზრდებმა, მათ შორის სერგეი მესხის ძმამ ივანე მესხმა და მისმა მომავალმა მეუღლემ კეკე მელიქიშვილმა ჩამოაყალიბეს საზოგადოება „უღელი“: „მისი მიზანი იყო საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ახალგაზრდების გაერთიანება, ევროპული საზოგადოების აზრისა და ლიტერატურის შესწავლა და პოპულარიზაცია საქართველოში, საერთოდ კავკასიაში.**

სამშობლოს განთავისუფლების მიზნით ისინი ცდილობდნენ კონტაქტების დამყარებას სხვა ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. „უღელის“ ყოველი წევრი დიდ ყურადღებას უთმობდა ლიტერა-

ტურის კრიტიკასა და ესთეტიკას. ხელს უწყობდნენ ქართულ ლიტერატურაში ევროპული მხატვრული კულტურის ათვისებას. მათვე შეიმუშავეს ქართული სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენის გეგმა და მთარგმნელობითი კომისია ჩამოაყალიბეს.

„უღელმა“, ევროპულ ცივილურ სამყაროსთან ქართული კულტურის შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მან 1876 წლამდე იარსება. ივანე მესხი ამ საზოგადოების უცვლელი მდივანი გახლდათ“ (მარჯანიშვილი 2011:42).

ადამიანი ყოველთვის ყველაზე საინტერესო მოვლენა იყო და იქნება ადამიანისათვის, ასეთი გახლდათ პოლკოვნიკი ლეკულტრი, რომელიც რუსეთის მთავრობის მოთხოვნით დაპატიმრებულ ლეო კერესელიძესა და მათ თანამდგომებს მაშინვე გვერდით ამოუდგა და მხსნელად მოეკვლინა.

„კოლონელ ლეკულტრმა უმაღლესი მიიღო ზომები. ჩააბარა ჩვენი დაცვის საქმე შვეიცარიის უდიდეს ადვოკატებს: ჟენევის „ბაროს“ ორ ადვოკატს: ადრიან ლაშენალს და ცეზარ ჰიუდრის და ნოვშატელის „ბაროსისა“ - სტრიტმატერს. ლაშენალი იყო ყოფილი პრეზიდენტი შვეიცარიის კონფედერაციისა და სტრიტმატერი ყოფილი პროკურორი ფედერაციულ სასამართლოსი“... („ქართული ემიგრაცია“ 2013:148).

ძმები კერესელიძეების საქმემ ფართო ხასიათი მიიღო და დასავლეთის თითქმის მთელი პრესა აალაპარაკა. წამოიჭრა საქართველოს ეროვნული უფლებების საკითხი. რაკი საქმე საერთაშორისო პრობლემას ეხებოდა, ამიტომ მათ დამცველად საერთაშორისო უფლების ცნობილი ავტორიტეტი ბელგიელი პროფესორი ერნეს ნისი შეარჩიეს. მისი განცხადებით: „საქართველოს დაპყრობა რუ-



ლეო კერესელიძე (მარჯნიდან პირველი) და მართა ლეკულტრი-კერესელიძისა ახლობლებთან ერთად



სეთის მიერ სრულიად უკანონო, რადგან ტრაქტატები ცალმხრივ და ძალმომრეობით იყვნენ დარღვეული რუსეთის მიერ“ („ქართული ემიგრაცია“ 2013:148). ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დაპატიმრებულები გაათავისუფლეს.



მარტა ლეკულტრი-კერესელიძისა

**კოლონელ ლეკულტრის ქმედება, ერთი შეხედვით, თითქმის თემისტოკლეს გადაწყვეტილების ანალოგია: „ვის აჯობებდი სიძედ, ღირსების მქონე ადამიანს, მაგრამ უსახსროს, თუ მდიდარ კაცს, მაგრამ ნაკლებად წმინდა რეპუტაციის მქონესო. თემისტოკლემ უპასუხა: „უადამიანო ფულებს, მე უფულო ადამიანი მირჩევნიაო!“**

ასე რომ, ფედერაციული სასამართლოს თხუთმეტმა მსაჯულმა რუსეთის მთავრობას ძმები კერესელიძეებისა და მალალაშვილის გადაცემაზე უარი უთხრა. ეს გახლდათ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც შვეიცარიამ უარი უთხრა იმათ გაცემაზე, ვისაც იარაღიანი თავდასხმა ბრალდებოდათ. ამას გარდა პროცესმა ფართო გამომხაურება ჰპოვა, როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში, სადაც მხი-

ლებულ იქნა რუსეთის მიერ „ტრაქტატის“ ვერაგული დარღვევა. პროცესმა საქართველოს საკითხი მსოფლიოს წინაშე აამეტყველა და აახშიანა. ამ სამაგალითო ქმედებით შვეიცარიელებმა არა მარტო თავისი სამშობლოს ძლიერი სიყვარული გამოამჟღავნეს, არამედ თავისუფლებისადმი დაუოკებელი წყურვილის მქონე ერისადმი უსაზღვრო პატივისცემაც გამოხატეს, რაც თავისთავად კაცობრიობის ძლიერ სიყვარულს ბადებს. ვინაიდან თითოეულ პატრიოტს საკუთარი კეთილდღეობის ხილვა მხოლოდ საერთო კეთილდღეობაში შეუძლია.

და, რა გასაკვირია, რომ სამშობლოსათვის შეწირული და გულანთებული ლეო კერესელიძე გულში, რომ ჩავარდნოდა პოლკოვნიკ ლეკულტრის ქალიშვილს მარტას, რადგან „ქალების თანაგრძნობა ძლიერი სქესის დიად მისწრაფებისადმი მუდამ იყო ცივილიზაციის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა“. ამასთან, როცა ქალი თავისუფლების მოტრფიალე შვეიცარიელიც გახლათ. მარტა ლეკულტრის ერთადერთი გუშაგი სათნოება იყო. სათნო მხოლოდ ის ქალია, ვისაც შიში არ აიძულებს ერთგულებას, ხოლო ის ვინც შიშის გამოა ერთგული, იგი სულაც არ არის ერთგული.

„...ძილში მესმის საშინელი სროლა... მივხვდი სროლის ხმის მიზეზი: ეს ჩვენი ტყვიები იწვიან და ფეთქდებიან... ვიცოდი რომ ლეოს „ჩემოდანში“ ჰქონდა 20 000 ოქროს ფრანკი. საცოლემ მისცა ყოველ გასაჭირ შემთხვევისათვის. დავავლე ხელი, - მინდოდა მათი გადარჩენა. ამავე დროს ვიფიქრე, - ვაი თუ სხვანი განსაცდელში არიან ჩავარდნილი - მეთქი. დავაგდე „ჩემოდანი“ დავიარე ოთახები, ვერავინ ვნახე... ამასობაში ლეოს „ჩემოდანს“ ცეცხლი მოსდებოდა...“ („ქართული ემიგრაცია“ 2013:161).

ლეო კერესელიძისათვის მარტა იყო ცხოვრების ნამდვილი მეგობარი და უტყუარი თანამგზავრი, თანამდგომი, თანამებრძოლი, თანამძრახველი... მარტა ლეკულტრისათვის კი ლეო იყო ემოციურობის ის ყველაზე მაღალი გამოხატულება, რომელსაც სიხარულს ეძახიან. ეს სიხარული ვრცელდებოდა ცნობიერების მთელ შინაარსზე. იგი იყო თვით სულის ამოხეთქვა. სულის ერთგვარი განუწევრებელი განსჯა, რომელსაც თან სდევდა გრძნობა ძალისა და ძლიერებისა.

ალბათ, ეს სიხარული აძლევდა მარტას მრავალ დაბრკოლებათა გადალახვის შესაძლებლობას. გონისებურად თავისკენ ითრევდა, როგორც ნიშანი ღირსების არსებობისა. ლეო კერესელიძესთან ქალი მუდმივად ბედნიერებისაკენ მიისწრაფვოდა, თუმცა ვერასოდეს აღწევდა სრულქმნას, მაგრამ ამ წინსვლაში იხატებოდა მისი მრავალი ღირებუ-



ლება. ასე რომ, მარტასათვის სამყაროს მორალური მზე ლეო კერესელიძის სიყვარული გახლდათ. „მარტა არაჩვეულებრივი სიღრმის ბუნებისაა, ინტეგრალურად პატიოსანი, თავდადებული სხვისათვის. ლეო იყო და დღემდე რჩება მის კერპად“ (გიორგი კერესელიძე, 15.07.1959 ვებინე). თავის ქმარ-შვილთან ყოფნის სიხარული მარტასათვის ბედნიერებაზე უკეთესი გახლდათ, რადგანაც ბედნიერება ხომ საბოლოოდ ერთხელ და სამუდამოდ მაინც ნავსადგურში მისვლაა, ხოლო სიხარული კი თვით ადამიანის მსგავსად მუდმივი წინსვლაა.

მარტა ლეკულტრმა - ქალმა, დედამ და მეუღლემ, თავისი საკუთარი სურვილების მიდრეკილებებისა და მისწრაფებების თანახმად მათთვის ცოტადან - ბევრი გააკეთა, რაღაცა არარაობიდან წინასწარი დასახული მიზანი განახორციელა.

„მეკითხები თუ რისით იყო მამა ავად: ნერვებით, მალარიით და წვალობის გამო, სულ ნევრები აშლილი ჰქონდა და კინაღამ მოკვდა, პარიზში. დედა, რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად მომკვდარიყო... რატომ ვიყავით ამდენად ღარიბი? მშობლებმა, ხომ ყველაფერი დაკარგენ. შემდეგ, რაც დედას ჰქონდა შვაციარიაში, დახარჯეს; ძალიან ბევრი ქართველი ადამიანის უშველიათ. ასე რომ, 1924 წელს სულ უარაფროთ ვიჯექით... მამა მუშაობას ეძებდა პარიზში, მაგრამ თითქმის არაფერს არ იგებდა, და მალე ძალიან ავად გახდა. დედა კერვის მუშაობა დაიწყო, მთელ ღამეს ათევდა, რომ ლუკმა პური მოეგო. ვერ წარმოიდგენ თუ რა ავად იყო, საწყალი მამა! მართალი ხარ: დედა ჩემი, ნამდვილი გმირია! რომ და ბოლოს დედის დები არ დაგხმარებიათ, უეჭველად ჩვენ შიმშილით მოკვდებოდით. 1933 წლამდე მამა ძლიერ იყო ავად, მაგრამ რაცა ვლებულობდით, დედის ოჯახობიდან ძლივს გვაცოცხლებდა.

მერე დიდება ჩემი მოკვდა, და ფული დაგვიტოვა. შემდეგ კი საჯდომი სკოლა გქონდათ და ამით წესიერად ვცხოვრობდით, მამა კარგად იყო და ვასწავლიდი ხალხს. მის შემდეგ კი, მე და დედა საშინელ მდგომარეობაში ჩავარდით, ქუჩაში გვძინავდით“ (მარიამ კერესელიძე, 30.7.57 პერუ).

მარტასა და ლეოს რთულ და სასტიკ დროში მოუხდათ ცოლ-ქმრული უღლისა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის განევა. ეს იყო რევოლუციების, მსოფლიო ომების, ბოლშევიზმისა და ფაშიზმის სატანური ეპოქა. შვეიცარიულ ქალს, თავისუფალი ქვეყნის შვილს ჰქონდა მტკიცე ნერვები, დიდი ნებისყოფა, აზროვნების ძალა და, რაც მთავარია, მიზანი, რომელსაც სახელად „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, - ერქვა.

საერთოდ, მიზანს რომ ეწიო, საჭიროა საქმე და არა ოცნება. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა,

მარტა ფანატიკურად ამაყოფა მეუღლის უდრეკი სულით, ქმედით- უნარიანობით, პოლიტიკური ალლოთი და სამხედრო ნიჭით. ქალს აოცებდა მისი პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის გზების დიდი უნარი.

შინაგანი იმპულსების ძალისხმევით მარტა ლეკულტრს არ გამოპარვია ლეო კერესელიძის რთული, ზოგჯერ ტრაგიკული არჩევანის არცერთი ნიუანსი, რომელიც მის თვალწინ მიმდინარეობდა. იყო ეს: 1910 წელს ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრება და მისი პრივატ-დოცენტად დანიშვნა; შვეიცარიის სამხედრო შტაბში სამხედრო საკითხებზე ოთხი მოხსენების წარდგენა; ოთხ შვეიცარიულ გაზეთში თანამშრომლობა; 1912 წელს ჟენევაში „ქართველ სეპარატისტთა წრის“ დაარსება და გაზეთ „თავისუფალ საქართველოს“ ფურცლებზე პუბლიკაციების გამოქვეყნება; 1914 წელს „სეპარატისტთა კომიტეტის“ დავალებით ოსმალეთის მთავრობასთან ხელშეკრულების დადება თუ 400 მოხალისით რეგულარული ჯარის ხელმძღვანელობა; 1916 წელს სპარსეთ-ერაყის ფრონტზე მონაწილეობა; შვეიცარიაში, 1918 წელს, საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა; დამოუკიდებელ საქართველოში ლეგიონის უფროსობა და 1919 წელს კი გენერლის ხარისხით ჩეჩენ-დაღესტანში მთავარსარდლობა.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლეო კერესელიძემ კვლავ უცხოეთს მიაშურა. 1925 წლიდან უკვე „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. მერე ცოლ-შვილთან ერთად ჩრდილოეთ მაროკოში, ქალაქ-ნავსადგურ ტანჟერში ცხოვრობდა. 1940 წლიდან იგი გერმანიაში დაბრუნდა და მალე ცოლ-შვილიც ჩამოიყვანა.

მარტას სიყვარული ლეოსთან ეკლიდან თაფლის ალოკვასავით იყო, რადგან ლეო კერესელიძის ცხოვრების გზა მუდამ იყო მშფოთვარე, ზიგზაგოვანი, ქარიშხლიანი და დაუდევარი. მისი სურვილები და მისწრაფებანი მუდამ ბობოქრობაში გახლდათ. ამ გრძნობათა უგულებელყოფა კი უნამლავედა სიცოცხლეს. მაშინ, მარტა მას ქეშმარიტ მიზნამდე მისაღწევ სიცრუისა და ორპირობის ჩირქნარევე წყლულებს უამებდა. და, ამ დროს მათ ურთიერთობაშიც სიხარულისა და აღფრთოვანების წინანდელი ურთიერთობა ბრუნდებოდა.

მართალია, ბედმა ისინი სად არ ატარა, მაგრამ ყველა სიძნელეს მაინც გენეტიკურ კოდში ჩადებულ, - სამშობლოს მიწის ყივილით ამარცხებდნენ.

„იცოდე, რომ თუ კი დედა დღე და ღამე წლების განმავლობაში, დედა მამა ჩემს არ მოურებია თავი, თითქოს იყო თავისი დედ-მამა, საწყალი მამა უკვე პარიზში 1925 წელს მომკვდარიყო. მე თავის დღეში არ მიწახია ისეთი სიყვარული, არც არსად და არავისთან, როგორც სიყვარული ჩემს მშობლებს შორის“ (მარიამ კერესელიძე, 31.8.60 პერუ).

გაგიძლება მომგევნო ნომეხში



**ფოტოებით შემონახული  
საქართველოს ისტორია**



**ირმა კაკელიძე**  
ჟურნალისტი, დოკუმენტალისტი

ჩავლილი საუკუნე ჩვენი ცხოვრების ნაწილია. წამიც კი უკვე წარსულია და მხოლოდ მეხსიერებაში რჩება. გონებას უყვარს წარმოსახვითი მოგზაურობა... სიძველეების დათვალიერება, საოჯახო ალბომები, ფერგადასული ფოტოები ამ სურვილს მეტ გასაქანს აძლევს და თითქოს ხელმეორედ გადიხარ იმ გზას, რომელიც ჩვენმა წინამორბედებმა ერთხელ უკვე გაიარეს. გიჩნდება სურვილი, მოწყდე თანამედროვე ეპოქას, იმოგზაურო წარსულში, დატკბე ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობების ცქერით, პერგამენტის ნაზი სურნელით, მაქმანებიანი კაბების შრიალით და უამრავი რომანტიკული დეტალით, რომლებიც რამდენიმე საუკუნის წინ ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ფოთის ნა-

*ფოქოვჩაძის,  
ჩოქოჩე ნახსიყროის ვასაქოები*

ვსადგურის მშენებლობის გაშლამ, თბილისთან დამაკავშირებელი რკინიგზის გაყვანამ ქალაქში მოსახლეობის მოდინებას შეუწყო ხელი. ახალმოსახლეთა შორის მრავლად იყვნენ სხვადასხვა ეროვნებისა და პროფესიის ადამიანები. ქართველების გარდა ფოთში სახლდებოდნენ რუსები, უკრაინელები, სომხები, ებრაელები, პოლონელები. ბევრი მათგანი დამკვიდრდა ფოთში და თავისი საქმიანობის თვალსაჩინო კვალი დატოვა. ასეთთა შორის იყო ლეონ ფელიქსის ძე იბიანსკი, რომელიც ფოთში 1890 წელს ჩამოვიდა და XX საუკუნის დასაწყისიდან 20 წლის განმავლობაში ფოტოობიექტივით ასახავდა ქალაქის ცხოვრებას.

ფოტოგრაფიის არსებობის მანძილზე ფოტოხელოვნება აჩვენებდა ხალხს მათგან შორს მომხდარ ამბებს, ინახავდა და ინარჩუნებდა მათ სახეებს, რომლებიც დროის უღმობელ სვლას მიჰქონდა წარსულსა და დავიწყებაში. ფოტოხელოვნების სიბლი შეჩერებული წამის განუმეორებლობაა. ფოტოხელოვანთა ფოკუსში ძირითადად პორტრეტები და არქიტექტურა ხვდებოდა, ასევე აქტუალური თემატიკა იყო საოჯახო ფოტო. აღსა-



ელენე ფირალიძვილი  
(ფოტოგრაფის მეუღლე)



ლეონ ფელიქსის ძე იბიანსკი



ნიშნავია, რომ საოჯახო ფოტოალბომების შექმნა არც თუ იაფი ჯდება და, შეიძლება ითქვას, იმ დროისათვის ფუფუნებას წარმოადგენდა. ფოტოგრაფიის ოსტატებს შორის დასაწყისისათვის საქართველოში მცხოვრები, წარმოშობით არაქართველი ფოტოგრაფები სჭარბობდნენ.

ლეონ იბიანსკი იყო პირველი ფოტოგრაფი, რომელმაც ქალაქ ფოთში გახსნა საკუთარი ფოტოატელიე, ამჟამინდელ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის შენობაში პირველ სართულზე. რევოლუციამდელი რუსეთის იმპერიაში ფოტოგრაფია სწორედ იმ ხანად იწყებდა გავრცელებას და სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მოსახლეობაში, თუმცა საკუთრივ ფოტოგრაფობა საკმაოდ რთული პროფესია იყო. განათების შერჩევას, ნეგატივის გამჟღავნებას და შემდეგ დაბეჭდვას მახვილი თვალი, ალღო და მოთმინება სჭირდებოდა, საერთოდაც, დიდად შრომატევადი საქმე გახლდათ.

ლეონ იბიანსკი მაღალი დონის ფოტოხელოვნად მიიჩნეოდა, იმდენად, რომ იგი და მისი ატელიე რევოლუციამდელი რუსეთის კატალოგში შეიტანეს. ერთნაირად მაღალხარისხოვანია მისი კაბინეტური და ღია ცის ქვეშ გადაღებული ფოტოები. მას სოლიდური ფოტოთეკა დარჩა, რომელიც ფასეულია დღესაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ სწორედ მის მიერ არის გადაღებული ქ. ფოთის გა-

ნაშენიანების, ფოთის ნავსადგურის მშენებლობის მნიშვნელოვანი ეტაპები, რომლებიც დაკავშირებულია ფოთში ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობასთან. მისმა ობიექტივმა აღბეჭდა ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების სურათები, შემოგვინახა მრავალი ადამიანის სახე. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იხილოს ლეონ იბიანსკის შემოქმედების ნიმუშები წიგნში „ფოტო ობიექტივში აღქმული დრო“ / ირმა კეკელიძე.-თბ., 2013.

მოგვიანებით, სავარაუდოდ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ლეონ იბიანსკიმ ფოტოატელიე ქალაქის ცენტრში, რუსთაველის რკალისა და კიროვის (ამჟამინდელი წმინდა გიორგის) ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე სახლში გადმოიტანა. გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ეს შენობა აიღეს და იქ კოლხეთმშენის მუშა-მოსამსახურეებისათვის ახალი საცხოვრებელი სახლი ააშენეს და ეს ატელიე სახლის იმ ნაწილში განათავსეს, სადაც ამჟამად „ვითიბი-ბანკია“. მაგრამ იქ უკვე სხვა ფოტოგრაფი მუშაობდა.

ალექსანდრე გვაძაბიას შვილიშვილი იგონებს, რომ მისი დიდი ბაბუა, ალექსანდრე, პორტში მანგანუმს ეზიდებოდა... შემდეგ დალაქად დაიწყო მუშაობა სასტუმროში, სადაც ხშირად სტუმრობდა ლეონ იბიანსკი. ალექსანდრე დაინტერესდა ფოტოგრაფიით და ლეონის რეკომენდაციით ორი



გურულები



ახალგაზრდა ქალი და ბიჭუნა აჭარულ სამოსში



წლის მანძილზე სწავლობდა ამ ხელობას. გარკვეული მიზეზების გამო ლეონ იბიანსკის ქალაქის დატოვება მოუხდა და ფოტოგადაღებები მისმა მოსწავლემ, ალექსანდრე გვაძაბიამ გააგრძელა. ალექსანდრე გვაძაბია ამ საქმეს მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდა.

ლეონ იბიანსკი გარეგნულად წარმოსადეგი მამაკაცი გახლდათ. მან ქუთაისში გაიცნო კათოლიკე ქართველი ულამაზესი ქალბატონი ელენე ფირალიშვილი და დაქრონინდა მასზე. ახალშეუღლებულები თავდაპირველად ცხოვრობდნენ ფოთში, მადამ პეტუხოვას სახლში ქირით, ამჟამინდელ წმინდა გიორგის ქუჩის NN6-ში (შენობა აღებულია 2016 წელს). მოგვიანებით კი მათ იყიდეს სახლი 8 მარტის ქუჩაზე. ლეონს 4 შვილი ჰყავდა: ალფრედი, მეჩისლავი, სოფიო, ნინა. მეჩისლავი ფოთის ფეხბურთელთა პირველი გუნდის წევრი იყო. იგი პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა. ალფრედი და ნინა რეპრესირებულები იყვნენ 1937-ში. სოფიო მუშაობდა ნავსადგურში ჯერ ტელეგრაფში, შემდეგ მოლარედ. ლეონ იბიანსკის შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ფოთში, მათ შორის სოფიოს მხრიდან – შვილთაშვილი ვახტანგ ალანია ოჯახით. იგი არის ცნობილი გადამზიდავი კომპანიის - „სოფმარის“ დამფუძნებელი და დღემდე აგრძელებენ მოღვაწეობას ქალაქში - ქალაქისთვის!

იმ პერიოდის ფოტოგრაფები ფაქტობრივად მემატრიანეები იყვნენ, თანაც ყველაზე მიუკერძოებელი მემატრიანეები! სამწუხაროდ, ლეონ ფელიქსის ძე იბიანსკი მდიდარი ფოტოკოლექციიდან ჩვენამდე მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია. ფოტოების ძირითადი ნაწილი და ნეგატივები განადგურდა... ფოტოარქივის გადარჩენილი ნაწილი შემოგვინახა ლეონ იბიანსკის შვილიშვილმა, რუსუდან ნაკაშიძემ. დღეს ეს ფოტომასალა და ფოტოგრაფის ფოტოაპარატი ინახება ქალბატონ რუსუდან ნაკაშიძის მემკვიდრის, ვახტანგ ალანიას სახლში.

იცვლება დრო, უცვლელი რჩება ადამიანის მისწრაფება - შეაჩერო დრო და მომავალს შემოუნახო წამი-წარსულის გასაღები!

P.S. თხრობა ეყრდობა ლეონ ფელიქსის ძე იბიანსკის შვილიშვილის, რუსუდან ნაკაშიძის ზეპირ მოგონებებს და შვილთაშვილის, ვახტანგ ალანიას ნაამბობს. ფოტომასალაც ასევე აღებულია მისივე საოჯახო არქივიდან. სტატიაში გამოყენებულია რუსული ინტერნეტ-რესურსი: Фотографы и фотографические ателье дореволюционной России. Поти. Ибянский Леон Феликсович.

<http://www.rusalbom.ru/foto-atelie.html>

**რეცენზია, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები****ალექსანდრე ლორია**

გასული წლის ბოლოს თითქმის ერთდროულად გამოვიდა ცნობილი ქართველი მეცნიერის, პროფ. როლანდ თოფჩიშვილის ოთხი მონოგრაფიული ნაშრომი – „ოსები ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში“, „კავკასიელთა თანამედროვე ეთნოცენტრისტული ეთნოგრაფია და საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემები“, „შავ-შეთისა და კლარჯეთის ტოპონიმები XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსულ დოკუმენტებში“, „მამაკაცის საერთო კავკასიური სამოსის გენეზისის შესახებ“. გარდა ამ ბოლო წიგნისა, სხვა სამი, ძირითადად, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის მოვლენებსაც ეხება უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ კვლევასთან ერთად. რაც შეეხება ბოლოს დასახელებულ წიგნს, საკმარისია მის ანოტაციას გადავხედოთ, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას მასზე.

როგორც ცნობილია, საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციური სივრცის განუყოფელი ნაწილი იყო და შემოქმედებითად გარდაქმნიდა ხოლმე არსებულ მიღწევებს, რაც კავკასიის სხვა ხალხებში ვრცელდებოდა. წიგნის რედაქტორია ნათია ჯალაბაძე. მას წამძღვარებული აქვს რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე. მეტიც, გამოცემის სრული ტექსტი მოცემულია აგრეთვე უცხო ენებზე, შეიცავს 206 გვერდს, დართული აქვს ფერადი ილუსტრაციები და მათი სრული ნუსხა.

წიგნი – „ოსები ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში“ მონოგრაფიულად აშუქებს ოსების განსახლების ისტორიას საქართველოში, იძლევა კრიტიკულ შეფასებებს იმ ავტორთა დებულებებისა, რომლებიც ცდილობენ დაამახინჯონ რეალობა, ქმნიან „მითებს“, აყალბებენ ქეშმარიტებას, თავიანთ ნებაზე თარგმნიან ან იმგვარ ინტერპრეტაციებს ავრცელებენ, რაც ახლოსაც კი არ არის სინამდვი-

**ისტორიული სიმართლის დასაცავად**

ლესთან. მკვლევარი, წიგნის ვტორი რ. თოფჩიშვილი თანმიმდევრულად ეხება მათ და ავლენს სიცრუესა და შეუსაბამოებებს, ობიექტურად აფასებს იმ შეხედულებებს, რომელთა მიზანია სეპარატისტული, პოლიტიკური მისწრაფებების განხორციელება. ნაშრომში უამრავი ფაქტია მოცემული, თუ როგორ ხდება ქეშმარიტად არსებულის გაყალბება, სინამდვილის დამახინჯება, მიჩქმალვა, უგულებელყოფა.

ანოტაციაში ნათქვამია: „...წიგნი საქართველოში ოსთა მიგრაციასა და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ეხება...ოსურ პრობლემებზე ბევრი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია და კრებული გამოქვეყნდა, მაგრამ ისტორიის გამყალბებლები და ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები თავიანთ „პოზიციაზე“ არიან - მათთვის ხომ არც წერილობითი წყარო, არც საბუთი არ არსებობს...“ ისინი „იმპერიის პოლიტიკური წრეებისგან არიან ნაქეზებული. რეალური წარსული კი ყველა ჩვენმა თანამემამულემ და დაინტერესებულმა უცხოელმა უნდა იცოდეს“. ამ თვალსაზრსით, ეს წიგნი უაღრესად დიდ როლს ასრულებს, რასაც ხელს უწყობს მნიშვნელოვანი ქეშმარიტი დოკუმენტების შიგადაშიგ რუსულ ენაზე წარმოჩენა.

როგორც ანოტაციაშია გადმოცემული, წიგნის შექმნის ინიციატორია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი ოთარ კვესიტაძე. რედაქტორები არიან: ვ. გოილაძე, ა. თაბუაშვილი, მ. ტყავაშვილი. წიგნი შედგება 102 გვერდისგან, დართული აქვს „საქართველოში ოსთა მიგრაციის ამსახველი რუკები, მოცემულია „დამოწმებული ლიტერატურა“.

წიგნი „კავკასიელთა თანამედროვე ისტორიოგრაფია და საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემები“, პოლიტიკურ ნაშრომს წარმოადგენს მეცნიერულ დონეზე, რომელშიც აშკარადაა მხილებული, რა მავნე ზრახვები აქვთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, როცა ისტორიის ფალსიფიკაციას ეწევიან. ანოტაციაში ნათლადაა ნათქვამი: „კარგა ხანია, საქართველოს თითქმის ყველა მეზობელი ისტორიის გაყალბებითაა დაკავებული, რასაც ისინი საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის დამახინჯების ხარჯზე ახდენენ...ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაწყებულმა ამ ეთნოცენტრისტულმა ქმედებებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა...ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ქართველებისათვის საქართველოში ადგილი აღარ რჩება. ცრუისტორიის შემქმნელები ფაქტობრივად ქართულ მიწა-წყალზე აცხადებენ პრეტენზიას, რაც თანამედროვე საქართველოს უსაფრთხოების პრობლემებს უქმნის. წიგნში სწორედ კავკასიელი მეზობლების ასეთ ეთნოცენტრისტულ ისტორიოგრაფიაზეა ყურადღება გამახვილებული“.





წიგნის რედაქტორები არიან: მ. არეშიძე, ე. ბუ-  
ბულაშვილი, ა. თაბუაშვილი. აქვს შესავალი და ბო-  
ლოთქმა. ტექსტი დაყოფილა ოთხ ნაწილად. შედ-  
გება 218 გვერდისგან. ძირითად ნაწილს მოსდევს  
ე. წ. „დანართები“, რომელიც რამდენიმე ნაშრომს  
შეიცავს. ერთ-ერთი არის რ. თოფჩიშვილის სტა-  
ტია „ისევ ერთი დამახინჯება საქართველოს იტო-  
რიისა“ (რუსულ ენაზე), მიმართული ჩეხეთისა და  
სლოვაკეთის მართლმადიდებელი მიტროპოლი-  
ტის, ქრისტეფორეს ერთი ეპისტოლეს წინააღმდეგ,  
რომელშიც დამახინჯებულად იქნა წარმოდგენილი  
ჩვენი ისტორია. სხვათა შორის, საქართველოს კა-  
თალიკოს-პატრიარქს ქრისტეფორესთვის დაუსვა-  
მს ამასთან დაკავშირებით კითხვა, იმას კი უარუყ-  
ვია ამ ეპისტოლეს ავტორობა. ეს ერთხელ კიდევ  
უსვამს ხაზს, თუ რა მეთოდებით ებრძვიან მავანნი  
საქართველოს ჭეშმარიტ ისტორიას.

„დანართში“ მოცემულია აგრეთვე ენდრიუ  
ანდერსენის (კანადა) სტატია, რომელშიც მხილებუ-  
ლია „ოსეთის“ ხელმძღვანელობის მზაკვრული გა-  
მოსვლები და მოწოდებები. ასევე, აქვე ქვეყნდება  
სერგო ვარდოსანიძის, ვახტანგ გურულის, ლევან  
ჯიქიას წერილი „ვლადიმერ პუტინის ხუთი ტყუილი  
საქართველოს შესახებ“, გიორგი ასტამაძის „გაყალ-  
ბებული ისტორია პოლიტიკის სამსახურში?“ და მი-  
სივე გამოსვლა ინგლისურ ენაზე, რომელიც „რადიო  
იმედში“ შედგა. ამას მოყვება მისი წერილი პუტინის  
ტყულებთან დაკავშირებით ინგლისურ ენაზე. აქვე  
ქვეყნდება მისივე „რადიო იმედში“ გამართული სა-  
უბარი (რუსულ ენაზე). ამ მონაკვეთის დასასრულს  
რუსულ ენაზე გამოქვეყნებულია დიმიტრი გულიას  
მოკლე გამონათქვამი, რომელშიც ის აცხადებდა  
თავის მტკიცე პოზიციას ქართველებთან თანაცხო-  
ვრების აუცილებლობაზე. ამგვარ გამონათქვამს  
წარმოადგენს ამ ნაწილში გამოქვეყნებული ვ. აბა-  
ევის მოკლე გამოსვლაც ერთ-ერთ რუსულ გაზეთში.

ამგვარი ფაქტები, რომლებიც მრავლადაა, ადა-  
სტურებს იმას, რომ არა მარტო ქართველი მეცნიე-  
რები, არამედ სხვებიც კარგად ხედავენ გაყალბებე-  
ბს და მათ სანაწილადგეგო დასკვნებს აკეთებენ. ამ  
წიგნის სათაურშივე გამოთქმულია აზრი, რამდენად  
სახიფათოა საქართველოს ამჟამინდელ პირობებში





სეპარატისტთა გამოხდომები საქართველოს ნამ-  
დვილი ისტორიის დამახინჯებითა და გაყალბებით.

მეოთხე წიგნი – „შავშეთისა და კლარჯეთის ტო-  
პონიმები XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყის-  
ის რუსულ დოკუმენტებში“- სამეცნიერო გამოცე-  
მაა (ქართული, თურქული, ინგლისური). როგორც  
ანოტაცია გვაცხობინებს: „წიგნი ეძღვნება ისტო-  
რიული საქართველოს მხარეების - შავშეთისა და  
კლარჯეთის ტოპონიმებს. წიგნში შეტანილია სო-  
ფლების, სოფლის ცალკეული უბნების, საზამთრო  
და საზაფხულო საძოვრების, მთების, მდინარეების,  
მაზრების სახელწოდებებიც. ისინი ამოკრეფილია  
მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის რუსული დოკუმენ-  
ტებიდან... წიგნი განკუთვნილია როგორც ფართო  
სამეცნიერო წრისათვის, ასევე ისტორიული საქა-  
რთველოს ამ ეთნოგრაფიულ მხარეებსა და თურ-  
ქეთის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ეთნიკური  
ქართველებისათვის, რომელთაც ენის ფაქტორის  
გამო ჯერ კიდევ იშვიათად მიუწვდებათ ხელი ამ ტი-  
პის ინფორმაციაზე“.

წიგნის რედაქტორები არიან: რ. მალაყმაძე,  
ერდოღან შენოლი (ერეკლე დავითაძე). წიგნი შე-  
ადგენს 162 გვერდს. ავტორი „ბოლოთქმაში“ გა-  
მოთქვამს თავის განზრახვას, ტოპონიმებისა და  
საველე-საექსპედიციო მასალების შეერთებით მკი-  
თხველ საზოგადოებას კიდევ ერთი ანალოგიური  
ნაშრომი წარუდგინოს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აქ წარმოდგენილი  
ნაშრომები, გარდა მეცნიერული კვლევისა, გამო-  
ირჩევა ინფორმაციული დანიშნულებითაც. ნაშრო-  
მებს ახლავს გამოყენებული და არსებული ძირი-  
თადი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხები,  
მითითებები და შენიშვნები, რაც ერთიორად ზრდის  
როლანდ თოფჩიშვილის აქ განხილული ნაშრომე-  
ბის მნიშვნელობას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, ჩვე-  
ნს ბიბლიოთეკებში, უმეტეს შემთხვევაში, სავსებით  
მივიწყებულია ეთნოგრაფიული ხასიათის თემატუ-  
რი მასობრივი ღონისძიებები. ეს ნაშრომები კარგ  
საშუალებას წარმოადგენს ამგვარი აქტივობის შე-  
მდგომი გამოცოცხლებისათვის.





**ნინო დოლიძე**

კლუბ "ექვსნის" ხელმძღვანელი  
ხაშურის ბავშვთა და მოზარდა შემოქმედებითი  
განვითარების ცენტრი

ისე მოხდა, რომ თითქმის ერთმანეთის მიყოლებით წავიკითხე სამი ქართველი ქალის სამი ძალიან შთამბეჭდავი წიგნი. ვგულისხმობ ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“, ზაირა არსენიშვილის „ვა სოფელს“ და ლანა ლოლობერიძის წიგნს „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება.“

სამივე ტექსტში მთავარი მოქმედება მეოცე საუკუნის საქართველოში ხდება, თავისუფლებანართმეული, გაძარცვული და დანგრეული ქვეყნის ცხოვრება მხოლოდ ფონი და მოცემულობა არაა, ცოცხალი ორგანიზმია, ცოცხალი პერსონაჟი და მისი არსებობა და ყოფნა განაპირობებს სხვა დანარჩენს. ამ წიგნებში ძალიან ნათლად დავინახე სიტყვა „სამშობლოს“ მნიშვნელობა. საქართველო, ქვეყანა, მშობელია, რომელიც ბადებს წიგნის ავტორებს და პერსონაჟებს, ზრდის და სიცოცხლის ბოლომდე ხელჩაკიდებული დაჰყავს სიყვარულის და თავისუფლების სახელით სიკეთის და სინათლის მხარეს.

ამ წერილში მინდა გადმოვცე ჩემი შთაბეჭდილებები ლანა ლოლობერიძის წიგნზე „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება.“

ზაირა არსენიშვილი, ავტორის მეგობარი და განუყოფელი მოკავშირე, მახლობელი (თავად ზაირა არსენიშვილს უყვარდა თურმე ეს სიტყვა - მახლობელი), ლანა ლოლობერიძის წიგნში ბევრჯერ გვხვდება. მათი საერთო ბედისწერა, ბუნება და ცხოვრების გზა ფილმებზეც აისახა და კინოდ იქცა, რაც დიდი ილბალია (ვიტყვი ამ ცოტა არასაყვარელ სიტყვას და აქვე მოვუბოდიშებ მას უსიყვარულობისთვის) ამ სფეროსთვის.

მათთან მეგობრობდა და ფილმებზე ერთად მუშაობდნენ მწერალი ერლომ ახლედანიც. როგორც ლანა ლოლობერიძე იხსენებს, ფილმის სცენარზე მუშაობისას ხშირად ისეთი კამათი და ჩხუბი ჰქონდათ გამართული, მშვიდი და აუღელვებელი ერლომ ახლედანიც აღელდებოდა, ბობოქრობდა და საკუთარ თავს არ ჰგავდაო.

წიგნი ავტორის ბავშვობის ამბებიდან იწყება და თანდათან მოიწვეს, მოდის რელსებზე შემდგარი ვაგონივით, ვინრო, ცარიელ სივრცეში, გაუკვალავი, ხეებით დაბურულ უპორიზონტო ადგილზე და

# მკითხველის ქოიური

თანდათან შლის სურათს, ადამიანებითა და ამბებით, პოეზიითა და შემოქმედებითი ძალით სავსე პეიზაჟს. აქ იმდენი ადამიანი და თავგადასავალია, ყველას ინტერესს გასწვდება. დაწყებული იქიდან, თუ როგორ იქცევა დიქტატორული მმართველობა და სახელმწიფო, სად ქრებიან ადამიანები და რა დაკარგა საქართველომ, გაგრძელებული, ბათლომე ხუციშვილის, ლანა ლოლობერიძის ბაბუის, გასაოცარი ისტორიით, ბიძის - რაჟდენის ამბით, რომელიც საქართველოში პირველი ფიზიკოსი ყოფილა და რომლის დიპლომზეც ხელს ალბერტ აინშტაინი აწერს, მისი დეიდების განათლების საოცარი გეოგრაფიით (დიახ, არ მოგესმათ და, როცა წიგნს წაიკითხავთ, თავად მიხვდებით), მშობლების სიყვარულით და სხვა, კიდევ მართლაც ერთმანეთზე საინტერესო ამბით.

ამ წიგნში ასევე შეხვდებით კოტე მარჯანიშვილს და მისი თეატრისთვის საჭირო რეკვიზიტის, ხავერდის ამბავს, ამისთვის ცეკას მდივანი, ლევან ლოლობერიძე, მძევლად რომ აიყვანეს. წაიკითხავთ საბჭოთა კავშირის მმართველობის, ტერორის, ცენზურის, სტალინის, მიქოიანის, რეპრესირებულების, გადასახლებულების, დახვრეტილების და გაუჩინარებული ადამიანების სულისშემძვრელ ისტორიებს, შიშთან ბრძოლას, შეურიგებლობას, არდანებებას, გადარჩენას, დარჩენას და საბოლოო გამარჯვებას, რადგან ბოროტს ყოველთვის სძლევს კეთილი; გაეცნობით ლანა ლოლობერიძის ერთმანეთზე საუკეთესო ფილმების და ქართული კინოს ცხოვრების ქრონიკას, ყველა რეჟისორის გულშემატკივარი და ობიექტური, სამართლიანი შემფასებელი რომაა მთხრობელი; მისი პირადი ცხოვრების, სიყვარულის, სწავლის, განათლების, მუშაობის და დაულავი შრომის ქრონიკას, გაიგონებთ მისი უამრავი მეგობრის სიცილს, მოისმენთ მათ ლექსებს, განცდებს და ყველა ხმა გეტყვით, რომ თავისუფლებას მოაქვს ბედნიერება.

ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მინდა აღვნიშნო თხრობის სტილი და ხასიათი, ავტორის განწყობა, რომელიც ყოველთვის ხალისით და ბედნიერების სურვილითაა სავსე, მუდამ კეთილგანწყობილია და ამ ყველაფრით მოცული იტევს ამდენ ძალას და ენერგიას, პათეტიკური მეჩვენება, მაგრამ ნამდვილად ასეა - მთელ ეპოქას.



ლანა ლოლობერიძის



## ხელოვნება



### დავით გიგინეიშვილი

საუბარი მინდა დავიწყო იმით, რომ XXI საუკუნეში ციურიხის ოპერა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო საოპერო კომპანიად იქცა - წელიწადში 250 წარმოდგენა იდგმება და მათში მონაწილეობენ საოპერო სცენის გამოჩენილი ვარსკვლავები. სპექტაკლები იწერება ვიდუოზე და ვრცელდება დღე და ბლუ-რეი დისკებზე. ციურიხის ოპერა ციურიხის ტბასთან, მშვენიერ მოედანზე Sechseläutenplatz-ზე არის განლაგებული. ოპერის შენობა არის მონუმენტური - ნეოკლასიკურ სტილში, თეთრი და ნაცრისფერი ქვისგან აგებული და შემკული ცნობილ კომპოზიტორთა - ვაგნერის, ვებერისა და მოცარტის ბიუსტებით. მაგრამ, გარეთა პომპეზური ზომების მიუხედავად, თეატრის დარბაზი პატარაა, სულ 1100 მსმენელზეა გათვლილი და მოიცავს მხოლოდ 3 იარუსს. მესამე იარუსი ფართეა და სპექტაკლზე დამსწრეთა საკმაო რაოდენობას აკმაყოფილებს. ამ მხრივ ლონდონის "კოვენტ-გარდენს" წააგავს. შიდა დიზაინი არის თვალწარმტაცი, ნეოროკოკოს სტილში. ოპერის შენობა აგებულია 1891 წელს, მისი ინტერიერი და ექსტერიერი 1984 წელს განაახლეს და ძველთან შედარებით, დღეს ის თანამედროვე სახით წარმოგვიდგება.

მე, ისე როგორც ალბათ ოპერის ყველა დიდ ქომავს, კარგა ხანია ნატვრად მქონდა ციურიხის ოპერაში მოხვედრა. ქალაქში რამდენჯერმე ნამყოფი ვარ სამეცნიერო მივლინებებით - მაგრამ ხან წარმოდგენის შემსრულებლები არ იყვნენ ჩემთვის მომხიბვლელები, ხან თავადაც წარმოდგენა, ხან რა და ხან რა. გასათვალისწინებელია ასევე ძალზე მაღალი ფასები ბილეთებზე. 2020 წლის 12 იანვარს ოპერაში როსინის „კონკია/La Cenerentola“

## სალამო ციურიხის ოპერის თეატრში

სრულდებოდა. შემადგენლობაშიც ნამდვილი ვარსკვლავები იყვნენ: ანჯელინა - ჩეჩილია ბარტოლი, დონ რამირო - ხავიერ კამარენა, დანდინი - ოლივერ ვიდმერი და დონ მანიფიკო - ალესანდრო კორბელი. ამ უკანასკნელისათვის საოპერო კარიერა თითქმის დასასრულს უახლოვდება, მაგრამ რა გასაკვირიც არ უნდა იყოს - ციურიხის ოპერაში გამოსვლა მისი დებიუტი იყო. ოპერის თეატრში აკრედიტაცია არ გამჭირვებია, ციურიხის ოპერის პრესასთან ურთიერთობის კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამო. გამოგიტყდებით, როსინის ეს ოპერა მრავალჯერ მქონდა მოსმენილი, როგორც აუდიო და ვიდეო ჩანაწერებით, ასევე მსოფლიო თეატრების დიდი სცენებიდანაც. ამიტომ, გარდა ვოკალური შეჯიბრებისა, დიდს არაფერს ველოდი. მაგრამ სპექტაკლმა სასიამოვნოდ გამაკვირვა. ატმოსფერო თეატრში იყო ინტიმური, რასაც პატარა სივრცე და ჩემი ადგილი (პარტერის 11 რიგი) ქმნიდა. ორკესტრი ისმოდა კარგად და სრულ დეტალებში, თუმცა ამას ვერ ვიტყვოდი ხმებზე. თუკი მომღერალი ნახევარ ხმაზე ან პიანოზე მღეროდა, მისი ხმა კარგად არ ისმოდა. ასე გამოჩნდა სამივე ქალის პერსონაჟი: ანჯელინა (ჩეჩილია ბარტოლი/Cecilia Bartoli), ტისბე (ლილიანა ნიკიტეანუ/Liliana Nikiteanu) და კლორინდა (მარტინა იანკოვა/Martina Jankova) ოპერის დასაწყისში. ოპერის სიუჟეტის მიხედვით, შემდგომ დონ მანიფიკო გამოდის სცენაზე და თავის ქალიშვილებს მოუთხრობს უცნაური სიზმრის შესახებ ("Miei rampolli femminini").

ციურიხის ოპერის საშტატო ორკესტრის როლში ხშირად მონაწილეობს ძველებური ინსტრუმენტების ორკესტრი 'La Scintilla', რაც ამ სალამოსაც ასე იყო, (ხელმძღვანელობდა იტალიელი დირიჟორი - ჯანლუკა კაპუანო/Gianluca Capuano). უკვე ვოკალურ ზენიტს გადასული ალესანდრო კორბელი (Alessandro Corbelli), დონ მანიფიკოს როლს არტისტულობის მხრივ კარგად ასრულებდა. მის არიაში ყურადღება მიიპყრო ჩასაბერი ინსტრუმენტების აქცენტებმა, რადგან აუთენტური ინსტრუმენტები თანამედროვე ინსტრუმენტებისაგან განსხვავებით სხვანაირად ჟღერენ. როდესაც სცენაზე დონ რამირო გამოჩნდა, ჩემთვის დარბაზი „განათდა“ (სცენა და დუეტი ანჯელინასთან „Un soave non so che“). კამარენა (Javier Camarena) იმ სალამოს ბრწინვალე ფორმაში იყო - არ ზოგავდა ხმას, ნო-



ტებს წელავდა, არ ერიდებოდა მაღალ „დო“-ებს და ზემოთაც კი ავიდა! მაშინ გახდა ნათელი, რომ დარბაზს აკუსტიკის შესავსებად - ახალგაზრდა და ვოკალურად ჩინებულ ფორმაში მყოფი მომღერალი ესაჭიროებოდა. დეკორაციები არ იყო გადატვირთული. კოსტიუმები XIX საუკუნის ეპოქის შესაფერი გახლდათ. მაგრამ სწორედ აქ, მოულოდნელად, გაბედულმა და, ამავე დროს, კომიკურმა დეტალმა ფერადოვნება შესძინა სპექტაკლს (კერძოდ, ალიდოროს თეთრი ფრაკი და ანგელოზის ფრთები, დები - ტისბეს და კლორინდას ბრწყვი-ალა და ვერცხლისფერი ქერცლით დაფარული კაბა). დანდინის როლში ოლივერ ვიდმერი (Oliver Widmer) გამოდიოდა. ვიდმერი ჩინებულად თამაშობდა, მით უფრო, რომ რეჟისორის ჩანაფიქრით იგი კომიზმის ცენტრში იყო ამ სპექტაკლში - მაგრამ აღვნიშნავ, რომ თავისი იერით, გარეგნობით, სილალით (როდესაც სმოკინგი და სხვა აქსესუარები ეცვა), ვიდმერის გმირი არისტოკრატს უფრო ნააგავდა, ვიდრე მსახურს. მაგრამ კომიზმი მაინც იყო - სუფლიორი უნმენდს მას შავ ლაკირებულ ფეხსაცმელს, დანდინი სულ ცდილობს მსახურად გადაცმულ დონ რამიროს განვალებას - ხან შარფი ან პალტო უვარდება, ხან ხელთათმანი, ერთი სიტყვით -ის აქსესუარები, რაც მარჯვე მსახურს უნდა მიეტანა მისთვის. პრინცის როლში გადაცმული

ეს ძველი ბარტოლი იყო. ალიდოროს (ფილოსოფოსისა და ანჯელინას კეთილმსურველი ჯადოქარი) როლში გამოდიოდა მაღალი და ტანადი რუსი ბანი სტანისლავ ვორობიოვი - რომლის ხმამ სასიამოვნოდ გამოაცა და გადამიყვანა წარსული საუკუნის დასაწყისში. მან კარგ ტემპში შეასრულა თავისი დიდი არია პირველი აქტის ბოლოს, მაგრამ პარტიის ტრადიციული ბელ-კანტოს სირთულეები მაინც გაუჭირდა ('La del ciel nell'arcano profondo'). მეორე აქტის ცნობილ, დაძაბულ დუეტში, სადაც დანდინი დონ მანიფიკოს საიდუმლოებას უმხელს (რომ იგი პრინცი კი არა, არამედ მისი მოსამსახურეა) შეიტანეს კომიკური პანტომიმა: დანდინი ოთახში შემოფრენილ ბუზს ებრძვის, ქარიშხალი სრული ტექნიკური ინოვაციებით იყო დადგმული - ნამდვილი წვიმით, ქარისა და ჭექა-ქუხილის კარგი იმიტაციით, რასაც ცეცხლის გაჩენა მოჰყვა და ბოლოს ქარიშხალი ჩიტების გალობით დასრულდა. შემდგომ ცნობილ სექსტეტში ('Siete voi? - Questo è un nodo') დონ რამირო თოკით აბამს ყველა მონანილეს ერთმანეთთან. მთელი ოპერის მანძილზე დანდინი ავლენს ღორმუცელობას ტკბილეულის მიმართ. არც ფინალურ გუნდში ანჯელინას რონდოს წინ არ ღალატობს იგი ტრადიციას და საქორწილო მაგიდიდან ჩუმად „დაითრევს“ ტორტის დიდ ნაჭერს. სპექტაკლი გამოვიდა ცოცხალი, ეფექტური,



დანდინი თავს უფლებას აძლევს, რომ ქალიშვილების სილამაზის შესაფასებლად მათი სხეულის ინტიმური ადგილებს თითებით შეხებოდა. დებიც ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ - ერთმანეთს ეპაექრებოდნენ და ცრუ პრინცს გადაჭარბებულ არშიყობაში ნებას რთავდნენ. საერთოდ, მოქმედება ისე მიმდინარეობდა ოპერაში, რომ ტექსტი საერთოდ საჭიროც არ იყო - ჟესტები, მოძრაობა და დინამიკა ყოველივეს გამოხატავდა. ამას თან ერთვოდა ბარტოლის ემოციურობა, ვოკალური სისწრაფე და მისი ხმის ტრადიციული მოქნილობა. თუმცა მის ხმას ეტყობოდა ცვლილებები - უხეში ქვედა ნოტები და უკვე მოყრუებული შუა და ზედა რეგისტრი. მიუხედავად ამისა, ემოციურად და ტექნიკურად -

იუმორითა და ფერებით სავსე. ვოკალური გუნდის ცენტრში აღმოჩნდა ხავიერ კამარენა და ჩეჩილია ბარტოლი. აღვნიშნავ, რომ კამარენამ მეორე აქტის ურთულეს ტენორის არიაში ('E allor se non ti spiaccio') არ დაიშურა ძალები, რათა პუბლიკისთვის სიამოვნება მიენიჭებინა: რამდენიმე მაღალ დო-ს ერთი რეც მიაყოლა. რასაც ვერ ვიტყვოდი ჩეჩილია ბარტოლიზე, კამერულ პროგრამაში, სავარაუდოდ, მისი სისუსტეები ნაკლებად გამოჩნდებოდა. დიახ, სამწუხაროდ, ეს უკვე ის ბარტოლი არაა, რაც ჩვენ, მუსიკის ქომაგებს, გვახსოვს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამის მიუხედავად, ჩემს ციურიხის მოგზაურობაში სპექტაკლი დასამახსოვრებელი და ძალზედ სასიამოვნო მოვლენად დარჩება.





**ანა გვირიშვილი**      **თორნიკე რობაქიძე**  
„არტუბანის“ დამფუძნებლები

რომელ სტუდიაში მივიყვანო ბავშვი ხატვაზე? სად შევისწავლო ცეკვა თუ სხვა სახელოვნებო მიმართულება? ეს კითხვები ერთხელ მაინც გავგჩენია, ალბათ, თუმცა პასუხის მოძიება მარტივი არ იყო.

აქამდე არ არსებობდა ონლაინ სივრცე, სადაც თავს მოიყრიდა ყველა სახელოვნებო სტუდია თუ სასწავლებელი. როდესაც ადამიანი აღნიშნული არჩევანის წინაშე დგებოდა, უწევდა ინფორმაციის მოძიება სოციალურ ქსელებში ან მეგობრებსა თუ ახლობლებთან მიმართვა რჩევის მისაღებად. აქვე აღვნიშნავთ, რომ ინტერნეტში ყველა სტუდია არ არის ან თუ არის, არასრული ინფორმაცია აქვთ მითითებული. შედეგად ადამიანს უწევდა დარეკვა და დეტალების დაზუსტება. გადანყვეტილების მიღებაც საკმაოდ დიდ დროსა და რესურსთან იყო დაკავშირებული.

გვინდა გიამბოთ [www.artubani.ge](http://www.artubani.ge)-ის შესახებ, რომელიც არის პირველი ონლაინ სახელოვნებო პლატფორმა საქართველოში. ის გააერთიანებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არსებულ ხელოვნების ყველა სტუდიასა თუ სკოლას.

არტუბანი დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს, რომ მარტივად მოიძიონ მათთვის სასურველი სახელოვნებო სტუდია ქალაქის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, ფასისა და სხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ საიტი, თითოეულ სტუდიაზე განთავსებული ინფორმაციის ქვეშ, შეფასებისა და თავისი აზრის გაზიარების საშუალებას აძლევს მომხმარებელს, რაც კიდევ უფრო ამარტივებს არჩევანს.

„ჩვენი ამოცანაა: მოვიძიოთ საქართველოს

# Artubani.ge

## ახალი ონლაინ პლატფორმა, რომელიც ყველა სახელოვნებო სტუდიას გააერთიანებს


სხვადასხვა ქალაქში არსებული სახელოვნებო სკოლების მონაცემები, დავუკავშირდეთ მათ მფლობელებს, მოვიპოვოთ სასურველი ინფორმაცია, ფოტოები და განვათავსოთ საიტზე. რა თქმა უნდა, სამუშაო პროცესი საკმაოდ რთულია და დიდ დროსა და რესურსს მოითხოვს, მაგრამ ჩვენ ამისთვის მზად ვართ. ვფიქრობთ, რომ ამ საქმით ხელოვნების სფეროს განვითარებას შევუწყობთ ხელს“ - ამბობს არტუბანის ერთ-ერთი დამფუძნებელი **თორნიკე რობაქიძე**.

არტუბანი ხელს უწყობს ნიჭიერ ხელოვანთა ცნობადობის ზრდას. რუბრიკაში „გაიცანი ხელოვანი“ სხვადასხვა განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეული ადამიანების შესახებ წაიკითხავთ სტატიებს და გაეცნობით მათ შემოქმედებას. როგორც დამფუძნებლები ამბობენ, წინ დიდი გეგმები აქვთ.



**ღირსაუდი მამუღიშვიდაძე**

# მღვდელმონაქმე გრიგოლ ფერაძის სახლ -მუზეუმი ბაკურციხეში



**რომანოზ ფერაძე**

პროფესორი

ზემო ბაკურციხეში, ცივგომბორის მთის კალთაზე, მდებარეობს წმინდა გიორგის ეკლესია. იგი მე-17 საუკუნეშია აგებული. ეკლესია ბაზილიკის ფორმისაა და დღესაც ამაყად გადაჰყურებს ალაზნის ველს. მაგრამ ამ ეკლესიის დიდებულება იმანაც განაპირობა, რომ მის ეზოში მდებარეობს წმინდა მღვდელ-მონაქმე გრიგოლის (ფერაძე) სახლ-მუზეუმი.

გრიგოლ ფერაძის სახელი გამორჩეულად ძვირფასია ქართველი ხალხისთვის. იგი არის გმირობის, კაცთმოყვარეობისა და პრინციპულობის მაგალითი ადამიანებისათვის. გრიგოლ ფერაძემ, ქართველმა მეცნიერმა და საეკლესიო მოღვაწემ, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა, სამშობლოს ერთგულმა შვილმა და სხვა მრავალი სიკეთით შემკულმა ახალგაზრდა კაცმა, სხვის გადასარჩენად განირა თავი. სწორედ ამის გამო გახდა იგი ერთდროულად ორი ეკლესიის - საქართველოსა და პოლონეთის ეკლესიების წმინდანი.

გრიგოლ ფერაძის წინაპრები, მამის მხრიდან, იმერეთში სახლობდნენ. ისინი სასულიერო პირები იყვნენ. მამა, რომანოზ ფერაძე, წლების განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა ეკლესიაში მოღვაწეობდა. ბოლოს, 1898 წელს იგი კახეთში, ბაკურციხის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. სწორედ სოფელ ბაკურციხეში, 1899 წლის 13 სექტემბერს დაიბადა გრიგოლ ფერაძე.

გრიგოლ ფერაძის სახელობის მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნა 2018 წელს, თუმცა მუზეუმის დაარსებას წინ დიდი და მრავალწლიანი მუშაობა უძღოდა. წმ. გრიგოლ ფერაძის საზოგადოებამ შეისყიდა მომავალი მუზეუმის ადგილას მდებარე სხვა მოსახლეების სახლის ნანგრევები და გადასცა ეკლესიას; შემდეგ ფერაძეთა ძველი სახლის ნანგრევებს

ჩაუტარდა კონსერვაცია; მუზეუმის შენობა ორ-სართულიანი ნაგებობაა, რომლის პირველი სართული წარმოადგენს სარდაფს და იქ განთავსებულია მარანი და სატრაპეზო. ზედა სართულზე განლაგებულია ძველი სახლის დაკონსერვებული ნანგრევები, სადაც დაიბადა წმინდანი. შენობის შიგნით ჩატარდა დარბაზის რეკონსტრუქცია, თავი მოეყარა სხვადასხვა არქივებიდან საექსპოზიციო მასალებს, რომლებიც განთავსდა მოძრავ და უძრავ სტენდებზე.

მუზეუმის დათვალიერება იწყება ძველი სახლიდან, სადაც კედელზე ჰკიდია გრიგოლ ფერაძის მშობლებისა და უახლოესი ნათესავების ფოტოები. აქვეა წმ. გრიგოლის ემიგრაციაში წასვლამდე ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები. ემიგრაციაში ყოფნის პერიოდი აღბეჭდილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობითა და თემატური პრინციპით შედეგენილ სტენდებზე. მუზეუმის მეორე, ჩრდილოეთ მხარეს, გალერეასთან მოწყობილ უძრავ 4 სტენდზე გამოფენილი ექსპოზიცია მთლიანად ეძღვნება პოლონეთის პირველი მარშლის, იუზეფ პილსუდსკის ნებართვით პოლონეთის არმიაში მიწვეულ ქართველ ოფიცრებს, რომელთა სულიერი მოძღვარი იყო არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე.

ყველა სტენდზე ფოტოებს ახლავს ახსნა-განმარტება ქართულ და ინგლისურ ენებზე. გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმს არა მარტო შემეცნებითი და ინფორმაციული დატვირთვა აქვს, არამედ იგი ახალგაზრდა თაობის სულიერ და ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელოვანი კერაც არის.



გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმი ბაკურციხეში



## მოგონება

# ეკუნიკარული ჟანრები – კლარა რამიშვილი



თუ ვინმეს ჰქონია შეხება ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებასთან წინა საუკუნის 50-იანი წლებიდან, მას შეუძლებელია, არ დამახსოვრებოდა მშვენიერი, სიმპატიური ქალბატონი კლარა რამიშვილი. რეალურად ის იყო თითქმის ნახევარი საუკუნე ბიბლიოთეკის სამეცნიერო მუშაობის ე.წ. ფორვარდი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ის ლეგენდარული თამარ მაჭავარიანის არჩეული და გამობრძმედილი პირი იყო. თამარ მაჭავარიანმა და თამარ დონდუამ დანიშნეს ის თავის უფროსად. ქალბატონმა კლარამ შეძლო მათი ოცნების ასრულება - მხარეთმცოდნეობის განყოფილება გარდაქმნა ქართველოლოგიის განყოფილებად. ახლა, როცა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს განყოფილების რეორგანიზაცია, მაშინ, საბჭოთა დროს, ბიბლიოთეკაში ისეთი განყოფილების ორგანიზაცია, რომლის დასახელების ანალოგიური განყოფილება რუსეთის საჯარო ბიბლიოთეკებში არ იყო, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მხარეთმცოდნეობის განყოფილების არსებობა საჯარო ბიბლიოთეკებში შეიძლებოდა, რადგან საქართველო მხარე იყო. აი, კავკასიოლოგიის კვლევის სტრუქტურული ერთეულის არსებობა კი - დაუშვებელი. ამიტომაც 1936 წელს დაარსებული კავკასიოლოგიური კაბინეტი გარდაქმნეს

1937 წელს მხარეთმცოდნეობის განყოფილებად და მორჩა. ქალბატონი კლარა 1953 წელს მივიდა მაშინდელ საჯარო ბიბლიოთეკაში. თამარ მაჭავარიანმა მაშინვე დაინახა მასში ის ძალა, რომელიც გახდა იმის საფუძველი, რომ ეს პატარა გოგონა დაიყენეს თავიანთი საკრალური განყოფილების ხელმძღვანელად. ქალბატონ კლარას ჰქონდა ალლო, სიდინჯე, ნებისყოფა, სტრატეგია და ამ თვისებებმა 4-კაციანი განყოფილება აქცია 20-კაციან ბიბლიოგრაფიულ ცენტრად. ბოლოს სახელიც შეუცვალა და ამას არ დასჯერდა: გაჩნდა ახალი ნატვრა - ილია ჭავჭავაძის მემორიალური კაბინეტი; შემდეგ - მიმდინარე პერიოდიკის აღწერის ჯგუფი; ერთი სიტყვით: ბიბლიოთეკის შიგნით უზარმაზარი კვლევითი ცენტრი. ეს მაშინ, როცა ეს ფუნქცია წესით წიგნის პალატას უნდა ეკისრა. იმდენი ქნა, რომ წიგნის პალატასაც აღიარებინა: რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიის წარმოება საჯარო ბიბლიოთეკის საქმე გახდა. მერე მიმდინარეს მიადგა. ამას აკეთებდა ისე, რომ ვერ ეწინააღმდეგებოდა მაშინდელი საჯარო ბიბლიოთეკის ლეგენდა ნიკოლოზ აკერმანი. არადა, ეს კაცი დირექტორის მეუღლე იყო და საცნობო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ქალბატონ კლარას არ აინტერესებდა ორდენები - ჩუმად, აუღელვებლად აფართოებდა განყოფილების პროფილს. ახლა კადრები: ვინც საუკეთესო მოდიოდა ბიბლიოთეკაში, სამი მთავარი ამომრჩევლის თვალთახედვის არეში ხვდებოდა: ნიკოლოზ აკერმანის, მერი მელაძისა და კლარა რამიშვილის. მათგან არჩევაში მერი მელაძე პირველი იყო (არჩევის კრიტერიუმი: ენების ცოდნა, ინტელექტი, სხედოგრაფებისათვის ლამაზი კალიგრაფია, მუშა-ფუტკარი), მეორე - ნიკოლოზ აკერმანი (კრიტერიუმი: სილამაზე, ინტელექტი) და შემდეგ კლარა რამიშვილი. თავდაპირველად თამარ მაჭავარიანი წყვეტდა ამ საკითხს, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ქალბატონი კლარა და ამაში ხელს უწყობდა ბუნებრივად გამომუშავებული ხედავ, გუნდური მუშაობისა და მკითხველთან ურთიერთობის არაჩვეულებრივი უნარი.

საუკეთესო იყო კლარა რამიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი პერიოდიკის ბარათული კატალოგები. ხშირად მათიანეებში (წიგნის პალატის საცნობარო ბიულეტენები) ვერ ნახავდი იმას, რასაც -ქართველოლოგიაში. მაგალითად: კონსტანტინე გამსახურდიამ დაუნუნა ილია ჭავჭავაძეს „გლახის ნაამბობის“ დასაწყისი. ამაზე




ერთი ამბავი ატყდა. მაშინდელმა ცნობილმა პედაგოგმა მეთოდე კაკაბაძემ მიწაში ჩადო ლამის კონსტანტინე. ეს წერილები წიგნის პალატამ არ აღწერა - დაინდეს კლასიკოსი. კლარა რამიშვილის კატალოგში კი იყო. ერთიც მინდა გავიხსენო: ალექსანდრე კარტოზიას დირექტორობის დროს ჩეჩნეთიდან იყო დელეგაცია, საქართველოს უნდა გადაეცა ჩეჩნეთისათვის კავკასიოლოგიური ლიტერატურის ჭარბი ეგზემპლარები, მათ შორის, - რევოლუციამდელი გამოცემები. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ იყო დაყენებული. საქართველო ეხმარებოდა ჩეჩნეთს ომის ჭრილობების მოშუშებაში. ქალბატონ კლარას დაევალა ჭარბი ცალების ბიბლიოგრაფიის შედგენა. საღამოს დამიძახა და მითხრა: ამ ჭარბ ცალებში წერა-კითხვის ბიბლიოთეკის ცალები არ გაყვესო. იქ არ აღმოჩნდა ეს ცალები, მაგრამ მე გული დამწყდა: ჩვენი ბიბლიოთეკის ყოველ ცალს თავისი ისტორია აქვს. ცრემლი მოადგა, მე რომ ვბურტყუნებდი უკმაყოფილო. „დაიცა, აქ დარჩი, ავალ დირექტორთანო“. არ ვიცი, რა უთხრა დირექტორს, ბატონმა ალექომ დამიძახა და მკითხა: „ამ წიგნებს მაღაზიებში თუ ვიშოვითო“. შემდეგ ამოიღო ჭიბიდან ათასი ლარი (საკუთარი ფული) და გადმომცა: ორ დღეში უნდა ვიშოვოთო. ქალბატონი კლარა და მე მაღაზიის დახლებზე ვეძებდით სხვადასხვა გამოცემას. ბიბლიოთეკის ფონდებიდან ერთი წიგნიც არ გარიცხულა. მე და ქალბატონი კლარაც დავმეგობრდით. მე არ მახსოვს მასთან ისეთი საუ-

ბარი, რაღაც რომ არ გესწავლა. არც ვინმეზე ცუდი რომ ეთქვას. მისი მეუღლე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემაში ერთ-ერთი მთავარი პირი იყო. მისი რძალი, ცხოვებული ნუნუ პირველი, ქართველოლოგიის განყოფილების უკეთილშობილესი თანამშრომელი იყო. პენსიაში გასვლის დღეს ქალბატონ კლარას სუფრა მოუწყეს. მეც იქ ვიყავი. სუფრაზე ქალბატონმა კლარამ მადლობა გადაიხადა და ამოიღო ჩანთიდან ოქროს საათი - „ეს საათი თამარ მაჭავარიანმა მაჩუქა პენსიაზე რომ მიდიოდა, მას - რუსუდან ნიკოლაძემ და მე მიწადა, ჩემს მომდევნო გამგეს ვაჩუქოო“. ქალბატონმა ჟანამ კი ეს საათი იმავე დღეს იშვიათ გამოცემათა განყოფილებას გადასცა და დღეს ის წიგნის მუზეუმის სეიფში ინახება.

პენსიაზე რას გააჩერებდი ქალბატონ კლარას. საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში მიიწვიეს. დიდი ამაგი აქვს მას ეროვნული ბიბლიოთეკისადმი. დიდი ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო. ქალბატონი კლარას დაკრძალვაც ამის მაგალითია. მისი გარდაცვალება მისი დაკრძალვის შემდეგ გავიგე. პანდემიის შიშით არ გაგვაგებინეს. კლარა რამიშვილი სულ განიცდიდა, მისი მასწავლებლის და წინამორბედი ხელმძღვანელის, ამბროსი ხელაიას შვილიშვილის -ქალბატონი თამარ დონდუას დაკრძალვას ვერ დაესწრო ბიბლიოთეკაო. რას მოიფიქრებდა, რომ მის დაკრძალვაზეც იგივე მოხდებოდა?

ლევან თაქთაქიშვილი



## თინა ჭურაძის ხსოვნას

რთულია წარსულ დროში მოიხსენიო ადამიანი, რომელიც ძალიან გიყვარდა, რომელიც 41 წელი შენ გვერდით შრომობდა, შენთან ერთად იზიარებდა საერთო ჭირ-ვარამსა და საერთო სიხარულს.

თინათინ ჭურაძემ ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. პროფესიით ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტმა სწრაფად აულო ალლო საბიბლიოთეკო საქმეს და მალევე გახდა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული

განყოფილების ერთ-ერთი ღირებული თანამშრომელი. იგი გამოირჩეოდა თავისი ცოდნით, პასუხისმგებლობის გრძნობით, მკითხველებისადმი გულისხმიერებითა და თანამშრომელთა მიმართ პატივისცემით. ამავე დროს იყო საოცრად თავმდაბალი, იუმორით სავსე და სიცოცხლისმოყვარე ადამიანი, არაჩვეულებრივი მეგობარი...

აი, ასეთი კოლეგა წააართვა ვერაგმა დაავადებამ ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს. თინა ჭურაძე თავგანწირვით იბრძოდა სიცოცხლისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, დამარცხდა. წავიდა და დატოვა თბილის მოგონება მასზე, როგორც ნამდვილ პროფესიონალსა და საიმედო მეგობარზე. თინა ჭურაძე 8 აგვისტოს 68 წლის გახდებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები



## ნაადრევი გამოსათხოვარი - ნანა აბრამიძე



ქალაქ გორის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ღრმა მწუხარებით მიიღეს ის ამბავი, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა მათი ხელმძღვანელი, ძვირფასი მეგობარი და კოლეგა ნანა აბრამიძე. ნ. აბრამიძე დაიბადა ქალაქ გორში 1955 წლის 15 ოქტომბერს. აქ მიიღო საშუალო და უმაღლესი განათლება, აქ გაატარა მთელი შრომითი საქმიანობა, იყო ამ ქალაქის ღირსეული მკვიდრი.

ნანა აბრამიძე სრულიად ახალგაზრდა დაინიშნა ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის ჯერ რიგით ბიბლიოთეკარად და ძალიან მალე მისი ხელმძღვანელი გახდა. აქ მუშაობდა იგი სიცოცხლის ბოლო დღემდე. იყო რეგიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების ერთ-ერთი უთვისაღსაჩინოესი მოღვაწე. თავისი ხანგრძლივი შრომითი საქმიანობის განმავლობაში ჩამოყალიბდა უმაღლესი კვალიფიკაციის ბიბლიოთეკარად. მის პროფესიულ ზრდას დიდად შეუწყო ხელი 2003 წელს ქართველ ბიბლიოთეკართა ჯგუფთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთთვიანმა სტაჟირებამ. ნ. აბრამიძე მუდამ ცდილობდა გაეფართოებინა თავისი თეორიული და მეცნიერული ცოდნის ფარგლები, კოლეგებში კიდევ უფრო გაეღვივებინა ინტერესი ბიბლიოთეკარის პროფესიისადმი. იგი მუდამ ესწრებოდა ქვეყნის მასშტაბით გამართულ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციებს. მისი ინიციატივით ბიბლიოთეკა გახდა საბიბლიოთეკო ასოციაციის აქტიური წევრი. ნ. აბრამიძე არა მარტო საკუთარ პროფესიულ სრულყოფაზე ზრუნავდა, არამედ შეძლებისმაგვარად ყველას უწყობდა ხელს, ღრმად დაუფლებოდა ბიბლიოთეკარის სპეციალობას. მისი ინიციატივით ხშირად იმართებოდა ბიბლიოთეკართა სემინარები, რაც პროფესიულ განვითარების საუკეთესო პირობებს უქმნიდა მოქმედ ბიბლიოთეკარებს.

ბიბლიოთეკაში 30-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ნანა აბრამიძე ბევრ ახალგაზრდა სპეციალისტს დაეხმარა პროფესიულ სრულყოფაში. მისთვის წარმატებული საქმიანობისა და მართვის უნარის აღიარებას წარმოადგენდა სახელმწიფო ჯილდოს „ღირსების ორდენის“ მინიჭება. ამას გარდა, ნანა აბრამიძე ღირსეულად ატარებდა ქართული კულტურის ამაგდარისა და, ასევე, შიდა ქართლის რეგიონის კულტურის მუშაკის წოდებებს, მიღებული ჰქონდა სერტიფიკატები: „საბიბლიოთეკო სპეციალისტი“, „ინფორმაციის სპეციალისტი“, „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურება“, აგრეთვე - სიგელები განათლების სამინისტროსაგან, დარგში განეული წვლილისათვის, მრავალი სამადლობელი წერილი სხვადასხვა ორგანიზაციიდან და ა.შ.

თვალში საცემი იყო ნ. აბრამიძის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მკითხველების მიმართ, პედაგოგიური ტაქტი, ზრუნვა იმისათვის, რომ მკითხველს საუკეთესო პირობები შექმნოდა ბიბლიოთეკაში მუშაობისათვის. მისი ინიციატივით და ამერიკის საელჩოს დახმარებით გორის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა „ამერიკის კუთხე“. როგორც ხელმძღვანელი, იგი გამოირჩეოდა კოლეგიალობით, თანამშრომლებისადმი ყურადღებით, ყველას ავ-კარგის ცოდნით, კომუნიკაბელობით. იყო კარგი მეგობარი, სანიმუშო მოქალაქე, კეთილშობილი ადამიანი. საზოგადოებრივ საქმიანობას ბუნებრივად უთავსებდა პირადულს, რაზედაც თვალნათლივ მეტყველებდა მისი ღირსეული ოჯახი.

ნანა აბრამიძის უეცარმა გარდაცვალებამ უსაზღვრო ტკივილი მიაყენა მის ახლობლებს, მეგობრებსა და ჩვენ -კოლეგებს, რომლებსაც გვიჭირს წარმოვიდგინოთ ბიბლიოთეკა მის გარეშე. უაღრესად დასანანი ამგვარი ადამიანის ასე ნაადრევად წასვლა ცხოვრებიდან. მას ბევრი ჩანაფიქრი დარჩე განუხორციელებელი.

გორის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები



**საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება. მოვლენები, ფაქტები**

**პანდემიის პერიოდში დისტანციურ რეჟიმში ჩატარებული კულტურულ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო - ინფორმაციული ღონისძიებების**

**ქრონიკა**

**აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის  
საჯარო ბიბლიოთეკა**

**10 აპრილი**

საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში ჩატარდა ვირტუალური ლიტერატურული საღამო - „საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე და ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრული სამყარო“.

**14 აპრილი**

ქართული ენის დღისადმი მოეწყო ვიდეოღონისძიება - „ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა!“

**16 აპრილი**

მარკ ტვენის დაბადებიდან 185 წლის იუბილესთან დაკავშირებით „ამერიკულ კუთხეში“ ჩატარდა „ტომ სოიერის თავგადასავალის“ ვიდეოგახილვა.

**23 აპრილი**

ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში მოეწყო ვიდეონარდგენა - „ჩარლი ჩაპლინის ფილმოგრაფია“.

**1 მაისი**

ჩატარდა ვირტუალური პოეზიის საღამო „პოეზიის დრო“.

„ამერიკულ კუთხეში“ გაიმართა ამერიკისმცოდნეობის დოქტორის, მარიამ ხატიამვილის, საჯარო ონლაინლექცია „ჯაზი - ამერიკული მუსიკალური მიმდინარეობა“.

**4 მაისი**

ფრიდონ ხალვაშის დაბადების 95 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო საიუბილეო ვირტუალური საღამო - „არავის ვბაძავ, - ესა ვარ, რაც ვარ“.

**6 მაისი**

ონლაინპლატფორმა - ZOOM-ის მეშვეობით მოეწყო ფილოსოფიის დოქტორის, ლალი ანთიძის, საჯარო ვიდეო-ლექცია მასწავლებლებისათვის - „კრიტიკული აზროვნება, მისი ინდიკატორები“.

**8 მაისი**

საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში მოეწყო ახალი წიგნების ვიდეონარდგენა.

**12 მაისი**

გაიმართა მწერალ გიორგი კეკელიძის SMS პოეზიის - მეტაფორული აზროვნების მინიატიურული ნიმუშების ვიდეონარდგენა.

**14 მაისი**

ჩატარდა საბიბლიოთეკო ვიდეოგაკვეთილი სახელწოდებით „ხალხის ნაერთი ძალა - მიწიერი „სასწაულია“.

**21 მაისი**

მოეწყო ვიდეოშეხვედრა პოეტ იაშა თანდილავას დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით.

**25 მაისი**

ბიბლიოთეკის მკითხველებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის ჩატარდა პროფესორ ნაირა ტაბიძის ვიდეოლექცია „საიდან იწყება სამშობლო“.

**26 მაისი**

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის ვიდეოლექცია - „26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“.

**1 ივნისი**

საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებამ ჩატარა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „მსოფლიოში ყველაზე საბავშვო დღესასწაული“. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ვიდეოზღაპრის - „მუმინების ხეობა და მისი ბინადარნი“ ჩვენება (ტუვე იანსონის წიგნების მიხედვით).

„ამერიკულ კუთხეში“ ჩატარდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ვიდეოჩვენება - „პატარების ღიმილი და ბედნიერი სახეები - ყველაზე დიდი სიმდიდრეა ამქვეყნად“ .

**4 ივნისი**

პოეტ ცისანა ანთაძის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოეწყო პირდაპირი ეთერი - „ცხოვრება თვითონ გვთავაზობს მუსიკას, რომელსაც ფეხი უნდა ავუწყოთ“.





### 10 ივნისი

მოენყო ბიბლიოთეკის ფონდში დაცული ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნებისა და დისკებზე ჩანერილი ხმოვანი წიგნების ვიდეო-წარდგენა მიზნობრივი აუდიტორიისათვის.

### 15 ივნისი

მოენყო მწერალ აკაკი მახარაძის ახალი წიგნის (ტრილოგია) „იდუმალი ფრონტის რაინდი“ ვიდეორჩვენება.

### 16 ივნისი

მოენყო მწერალ ოტია იოსელიანის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ვიდეომიმართვა - „გაზაფხული უმერცხლოდაც მოვა, მერცხალი არ მოვა უგაზაფხულოდ“.

### 17 ივნისი

ჩატარდა პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის ვიდეო-ლექცია - „ბათუმის ისტორიიდან“.

### 22 ივნისი

აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა ვირტუალური ლიტერატურული საღამო - „აკაკი და ქართველი თერგდალეულები“.

კინოდრამატურგ სულიკო ჟღენტის დაბადებიდან 95 წელთან დაკავშირებით გაიმართა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება - „მთავარია არა ის, თუ როგორ იცოცხლე სიკვდილამდე, არამედ ... როგორი სახით შერჩები მარადისობას ...“

## ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება

### 23 აპრილი

პროექტით „აჩუქე წიგნი“ შედგა პოეტ მაკა ბლიაძის ვიდეოჩართვა ბორჯომის ცენტრალური პარკიდან. პოეტმა ქალბატონმა წაიკითხა საკუთარი ლექსები და ცენტრალურ ბიბლიოთეკას მკითხველებისათვის სასაჩუქროდ გადასცა წიგნები.

### 9 მაისი

პროექტით „ფარაჯიანი ლექსები“ შედგა ვიდეოჩართვა ფაშინაშვილზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად. მეორე მსოფლიო ომში დაღუპული პოეტის, მირზა გელოვანის, ბიოგრაფია და ლექსები წაიკითხა ღონისძიებების კოორდინატორმა ნანა ჩაჩანიძემ.

### 26 მაისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა და ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას, დაბადების დღის აღსანიშნავად შედგა ვიდეოჩართვა.

### 1 ივნისი

ღია ცის ქვეშ გაიმართა ასფალტზე ხატვის კონკურსი - „ნორჩი მხატვარი წაკითხულის ირგვლივ“. ბორჯომის საბავშვო ბიბლიოთეკის მკითხველებმა დახატეს საყვარელი ნაწარმოებების პერსონაჟები.

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი

ყოველი კვირის სამშაბათს, ზუგდიდის ბიბლიოთეკა გვთავაზობს პირდაპირ ეთერს რუბრიკით „მოძღვრის საათი“, რომელსაც უძღვება დეკანოზი ანდრია კემულარია.

### 6-22 მაისი

სოციალურ კამპანიას #დარჩისახლში შეუერთდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი ამავე სახელწოდების ფოტოკონკურსით - „დარჩი სახლში“, ხოლო საკონკურსო თემა იყო პანდემიური ყოველდღიურობა. საკონკურსო ფოტოები აიტვირთა ბიბლიოთეკის FB გვერდზე, ხოლო გამარჯვებული like-ების მეშვეობით გამოვლინდა. გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

### 7 მაისი

პირდაპირი ეთერი ზუგდიდის ბიბლიოთეკაში დაეთმო მხარეთმცოდნეობით გაკვეთილებს, ლაშა ჭიქიამ მსმენელებს შესთავაზა საინტერესო ლექცია სახელწოდებით „ანტიკური კოლხეთი-მითი თუ რეალობა ცაიშის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით.“ ონლაინ ლექციამ დიდი დაინტერესება გამოიწვია. შედგა საინტერესო დისკუსია. პირდაპირ ჩართვას ესწრებოდა 2 147 ადამიანი.

### 8 მაისი

ონლაინ რეჟიმში გაიმართა დიკა სალაყაიას პოეზიის საღამო - „ჩაისუნთქე ბედნიერება“. ონლაინ საღამოს ესწრებოდა 4469 მსმენელი.

### 14 მაისი

ონლაინ რეჟიმში გაიმართა რაულ ჩილაჩავას პოეზიის საღამო - „მგონია, თითქოს მათიანეს ფურცლავს დრო-ჟამი“.

### 21 მაისი

ონლაინ რეჟიმში გაიმართა შეხვედრა მწერალ გური ოტობაიასთან (გულადი ფეტელავა). შეხვედრას ესწრებოდა 1064 მსმენელი.

### 4 ივნისი

ონლაინ შეხვედრების მხარეთმცოდნეობითი გაკვეთილების რუბრიკაში ლექცია წაიკითხა ბელა მოსიამ თემით - „რწმენა-წარმოდგენების უნიკა-



ლური სულიერი მასალები ქართულ ფოლკლორში“. შეხვედრას ესწრებოდა 2900 მსმენელი.

**18 ივნისი**

ზუგდიდის ბიბლიოთეკის ონლაინ შეხვედრების ფარგლებში გაიმართა ნესტან ფიფიას ლექცია „სიტყვა, როგორც დროსივრცული მიკრომოდელი“. შეხვედრას ესწრებოდა 2 025 მსმენელი.

**25 ივნისი**

გაიმართა ლაშა გვასალიას ლექცია „როგორ იწყებოდა ლიტერატურა“. შეხვედრას ესწრებოდა 2 038 მსმენელი.

**მარნეულის ბიბლიოთეკა**

**3 აპრილი**

გაიმართა ონლაინ შეხვედრა საბავშვო მწერალთან, ვასილ გულეურთან. მწერალი ესაუბრა ბავშვებს, მისცა სასარგებლო რჩევები, თუ რა წიგნები წაეკითხათ კარანტინის დროს.

**13 აპრილი**

ონლაინ შეხვედრა საბავშვო მწერალ თამარ ადამიასთან. შეხვედრის ფარგლებში მწერალმა მსმენელებს გააცნო თავისი შემოქმედება.

**16 აპრილი**

მწერალმა შორენა ხუხუამ ფეისბუქ-ლაივის რეჟიმში ისაუბრა ორი ქართველი მწერალი ქალის, ნინო ხარატიშვილისა და ლელა ლაშხის შემოქმედების შესახებ. საუბრისას იგი ძირითადად შეეხო ამ მწერლების გამორჩეულ რომანებს - „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ და „ჟაკლინი“.

**1 მაისი**

წიგნის განვითარების ისტორიის შესახებ ფეისბუქ-ლაივში ისაუბრა მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა მარია მენთეშაშვილმა.

**5 მაისი**

შედგა ბლიც-ინტერვიუ ჟურნალისტ ლელა ხარშილაძესთან, რომელიც, ამავე დროს, მარნეულის ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველია.

**9 მაისი**

მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ინგა გოგოჭურმა პატარებს წაუკითხა რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „მუხა“.

**10 მაისი**

ფეისბუქ-ლაივის რეჟიმში თავის შემოქმედებაზე ისაუბრა ადგილობრივმა ახალგაზრდა და ნიჭიერმა პოეტმა კოკი ხარშილაძემ.

**12 მაისი**

შედგა ფეისბუქ-ლაივი აზერბაიჯანულ ენაზე, რომლის დროსაც ადგილობრივმა ახალგაზრდა მწერალმა ქამრან კირიაკოვმა ისაუბრა თავის რომანზე „ერთი ნაკბეჩი ვაშლი“!

**18 მაისი**

შედგა ფეისბუქ-ლაივი ქართულ ენაზე, რომლის დროსაც ადგილობრივმა ახალგაზრდა მწერალმა ქამრან კირიაკოვმა ისაუბრა თავის რომანზე „ერთი ნაკბეჩი ვაშლი“!

**27 მაისი**

მარნეულის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ინგა გოგოჭურმა პატარა მკითხველებს წაუკითხა გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „საზიარო ყვავი“.

**1 ივნისი**

მარნეულის ბიბლიოთეკის მეგობრებმა, საბავშვო მწერლებმა ვასილ გულეურმა და ირმა მაღაციძემ, ონლაინ-ჩართვის საშუალებით პატარა მკითხველებს მიულოცეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

**16 ივნისი**

გაიმართა კონკურსი გამომსახველობით კითხვაში, რომლის ინიციატორი იყო ხოჯორნის სკოლა, თანაპარტნიორი და მხარდამჭერები - მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკა და მარნეულის კულტურის ცენტრი.

**მცხეთის შოთა რუსთველის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა**

ბიბლიოთეკამ პანდემიის პირობებში განახორციელა ონლაინ-პროექტი „მცხეთელი პოეტების პოეზიის ხუთი წუთი“.

ამ პროექტის ფარგლებში საკუთარი ლექსები წაიკითხეს:

**6 ივნისი** - ეთერ კიკნაძე

**9 ივნისი** - იამზე ელიზბარაშვილი

**23 ივნისი** - თენგიზ ხუციშვილი





**COVID-19-თან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ბიბლიოთეკებისათვის**



საქართველოს რეპროდუქციული  
ტექნოლოგიების ცენტრი,  
ბრომის, ჯანდაცვის დეპარტამენტი და  
სოციალური დაცვის სამსახური

დანართი №36

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი  
ერთად შევქმნათ უსაფრთხო სამუშაო გარემო!

**ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ბიბლიოთეკებისთვის**

**ზოგადი რეკომენდაციები:**

- შემოშუშავეთ პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა;
- დაწესებულების შესასვლელთან განახორციელეთ თერმოსკრინინგი, რათა გააკონტროლოთ, როგორც პერსონალის, ასევე, ვიზიტორების ჯანმრთელობის მდგომარეობა, ტემპერატურის გაზომვით;
- პირი, რომელიც ატარებს თერმოსკრინინგს ვალდებულია ეკეთოს პირბადე და იცავდეს 1 მეტრიან დისტანციას;
- თერმოსკრინინგის დროს დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში უზრუნველყავით შესაბამისი საიზოლაციო ოთახის მოწყობა და დაუკავშირდით 112-ის ცხელ ხაზს;
- საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყენებული ოთახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
  - შესაძლებელია ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაცია;
  - აღჭურვილია დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით (სკამი/სავარძელი/ტახტი);
  - ხელმისაწვდომია ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი ნიჟარა და თხევადი საპონი ან ხელის სანიტაიზერი;
  - ყოველი გამოყენების შემდეგ ოთახი უნდა დამუშავდეს სველი წესით.
- დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხოს შესაბამის ფორმაში;
- დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების დაშვება შენობაში;
- თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ განცხადებები COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- უზრუნველყავით საპნის და სადეზინფექციო ხსნარების დისპენსერების, ხელის საშრობების, ერთჯერადი ხელსახოცების დისპენსერების და მსგავსი მოწყობილობების გამართული მუშაობის მუდმივი რეჟიმი;
- შესასვლელში განათავსეთ დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- უზრუნველყავით პერსონალისა და ვიზიტორების შესვლა დაწესებულებაში მხოლოდ ნიღბებით;
- უზრუნველყავით დაწესებულებაში ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელები ერთჯერადი ხელსახოცები) სარგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ხელების დაბანა და გაშრობა, ხელების დასამუშავებლად გამოიყენეთ არანაკლებ 70%-იანი სპირტის შემცველობის სადეზინფექციო საშუალებები;
- წიგნების/დოკუმენტების გამცემი პირი აღჭურვეთ ხელთათმანებით;
- სათანადო ადგილებში (საპირფარეშო, ონკანის სიახლოვეს) განათავსეთ ხელის ჰიგიენის წესები;
- გამოყავით ჰიგიენის კუთხეები, ხელის ჰიგიენის საშუალებების განთავსებისთვის და მიაწოდეთ პერსონალს/ვიზიტორებს (შესაბამისი თვალსაჩინოების საშუალებით) ინფორმაცია ჰიგიენის საშუალებების სწორად გამოყენების შესახებ;
- უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება (ფეხის პედლის შესაძლებლობით), რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მეშვეობით;



- დახურული სივრცეები უზრუნველყავით ბუნებრივი ვენტილაციით. თუ ამის შესაძლებლობა არ არის გამოიყენეთ ხელოვნური ვენტილაცია, გარედან შემოსული ჰაერის მომატებული კონცენტრაციით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით. დააწესეთ საინჟინრო კონტროლი მის გამართულ მუშაობაზე;
- განახორციელეთ მონიტორინგი ამ წესით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებაზე.

**სამკითხველო დარბაზი:**

- უზრუნველყავით ვიზიტორთა განთავსება მაგიდებთან წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე, იმგვარად, რომ დაცული იყოს უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2მ). შეგიძლიათ გამოიყენოთ ადგილების მარკირება;
- აკრძალეთ ჯგუფური მუშაობის პრინციპი;
- უზრუნველყავით ხშირად შეხებადი ზედაპირების (მათ შორის კარის და ფანჯრის სახელურები, კიბის მოაჯირები, ლიფტის ღილაკების და სხვა) დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით არანაკლებ 3-ჯერ დღეში;
- უზრუნველყავით კომპიუტერისა და მისი აქსესუარების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით ყოველი გამოყენების შემდეგ;
- ყველა სამუშაო ავეჯი გამოყენების შემდეგ დაამუშავეთ სადეზინფექციო ხსნარითა და მშრალი ხელსახოცით;
- დარბაზის შესასვლელში უზრუნველყავით ხელის სადეზინფექციო არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხსნარისა და გამოყენების წესების განთავსება (დარბაზის დროებით დატოვების შემდეგ დაბრუნებისას აუცილებელია სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება);
- გამოყავით პირი, რომელიც კონტროლს გაუწევს რეკომენდაციების დაცვას სამკლითხველო დარბაზში.

**საცავი და სპეციალური ფონდები:**

*საბიბლიოთეკო დოკუმენტები (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ნოტები და ა.შ) გაცემამდე ითვლება ე.წ. „პირობითად სუფთა წიგნებად“.*

*დოკუმენტები, რომლებიც მომხმარებლებისგან/მკითხველებისგან ბრუნდება ითვლება „პირობითად ინფიცირებულ წიგნებად“.*

- გამოყენებული, მომხმარებლისგან/მკითხველისგან დაბრუნებული დოკუმენტები განთავსეთ კარანტინში 3-5 დღის განმავლობაში;
- საკარანტინე დოკუმენტების განსათავსებლად გამოყავით სპეციალური მაგიდები ან თაროები.

**სანიტარული კვანძების დასუფთავება:**

- სანიტარულ კვანძში დაცული უნდა იყოს სისუფთავე, რისთვისაც წინასწარ უნდა განისაზღვროს საპირფარეშოების დასუფთავების წესი, პერიოდულობა, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა;
- სანიტარული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები (<https://www.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=f70ca25e-e850-4deb-9d7d-8b058b934d2d>);
- უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების წმენდა და დეზინფიცირება ხორციელდება დაბიძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;
- საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ უნდა გაირეცხოს და გაშრეს;
- დალაგების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ინდივიდუალური დამცავი საშუალებები: ხელთათმანები, ნიღაბი, წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას), ან ერთჯერადი წყალგაუმტარი ხალათი;
- დასუფთავების დროს თავიდან უნდა იქნას აცილებული მხეფებისა და აეროზოლების წარმოქმნა;
- დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, ხელთათმანების გახდის შემდეგ,





აუცილებელია ხელების დაბანა;

- სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით. სივრცე უნდა იყოს კარგად ვენტილირებადი.

**პერსონალისა და მომხმარებელთა ვალდებულებები:**

*ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას.*

- დაიცავით ჰიგიენის წესები;
- სამუშაო პროცესი განახორციელეთ დამსაქმებლის/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- მისაღმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვის (არანაკლებ 2 მ) შესახებ;
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- გამოიყენეთ არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვიში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ☎ 15 05 ☎ 116 001




**გიოხგი კეკელიძე, ამიხან გამყიყიძე**

2020 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ეროვნულ ბიბლიოთეკასა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შორის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის თანახმად, ეროვნული ბიბლიოთეკა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ერთად გახსნიან რეგიონალურ ბიბლიოთეკებში კორონავირუსთან (COVID-19) და ჯანმრთელობის პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებულ საინფორმაციო კუთხეებს. საინფორმაციო კუთხეების მიზანია, ჯანმრთელობის საკითხებზე, მათ შორის კორონავირუსთან დაკავშირებით, ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

# საქართველოს კარლამუნდის ეროვნული ბიბლიოთეკის პარტნიორობით ახალი ორგანიზაცია დაფუძნდა



MULTIFUNCTIONAL  
CENTRE FOR EDUCATION  
AND CULTURE

არასამუნარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

## განათლებისა და კულტურის მულტიფუნქციური ცენტრი

Multifunctional Centre for Education and Culture

ორგანიზაცია აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოს ყველა რეგიონის ბიბლიოთეკასთან და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებასთან



ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები:

1. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა;

2. საგამომცემლო საქმიანობა;

- ა) ცენტრმა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამები;
- ბ) ცენტრმა იმუშაოს ფართო კულტურული, სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სამოქალაქო მიზნების მისაღწევად;
- გ) ცენტრი ძირითადად მოიცავს საქართველოს ბიბლიოთეკებს, არქივებს, მუზეუმებს, უმაღლეს სასწავლებლებს, პროფესიულ სასწავლებლებს, საინფორმაციო, მულტიფუნქციურ ცენტრებს, ამ სფეროთი დაინტერესებულ სხვა ორგანიზაციებს ან კერძო პირებს;
- დ) ცენტრი უზრუნველყოფს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში ფართო საგანმანათლებლო და კულტურული საქმიანობის განხორციელებას, პირადი თუ დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი პროექტების საშუალებით.



 [www.fb.com/MCECGEORGIA](http://www.fb.com/MCECGEORGIA)

მის. გუდიაშვილის ქ. 7, თბილისი 0107

mcecgeorgia@gmail.com



